43
1884
3

ივერია

1884

№ III, მარტი

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1884

შინაარსი.

I. განკიცხული (დასასრული) ა. მოჩხუბარიძისა. . 3

II. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში (დასასრული) თ. ჟორდანიასი. 61

III. სნეული ოჯახი (ლექსი) თ. რ. ერისთვისა . . 94

IV. ღამით მზიანი ქვეყანა ანუ შვეცია და ნორვეგია (დასასრული) რ. ჯაჯანაშვილისა . . . 95

V. თვით-მმართველობა საზოგადოთ და ქალაქისა კერძოდ (წერილი ქუთაისიდგან) მანელისა . . 119

VI შინაური მიმოხილვის მაგიერი 145

VII. განცხადება. . . . . . , ... 159

VIII «ივერიის» ფოსტა (ყდაზედ).

Ძ5
ი-32

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

1492
43
1884 | 3

წელიწადი მერვე

№ III

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1884

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Марта 1884 г.

განკიცხული

(დასასრული) *)

თავი VII

ექიმებმა გამომიცხადეს, რომ საავათმყოფოში დარჩენა ველარას მარგებდა და საჭირო მხოლოდ წმინდა ჰაერი-ღა იყო. ამისთვის მე ისევ ჩემს ძველს სახლი'ს პატრონთან გადაველ, სადაც რამოდენიმე ხანს ვაპირებდი დარჩენას და შემდეგ კი სოფელში გამგზავრებას; მე მსურდა მოშორებულიყავ ყველას, ჩავმარხულიყავ სოფლის მყუდროებაში, დაობლებული, განმარტოებული ყველასაგან, მარტოდ მივცემოდი ჩემს მწუხარებას. ასე ვფიქრობდი, ასე ვამბობდი და წასასვლელადაც კი სრულიად მომზადებული ვიყავ, როდესაც მოულოდნელმა შემთხვევამ ეს გადაწყვეტილობა მთლად გადამიბრუნა...

ერთს დილით, როდესაც სახლის პატრონს გავუსწორდი და უკანასკნელს ბარგს ვალაგებდი, ბიჭმა წიგნი შემომიტანა, გადმომცა და დაუმატა:

— ფოჩტალიონმა მოიტანა.

მე ვუთხარ სტოლზედ დაეგდო და იმან აღასრულა ჩემი სურვილი. მთელის ქვეყნისაგან მოწყვეტილს, იმედი აღარა მქონ-

---

*) «ივერია» № 2, 1884 წ.

და, რომ ვისგანმე ისეთს წიგნს მივიღებდი, რომელსაც ჩემი გართობა მაინც შესძლებოდა.

დავკეტე ჩემოდანი, წუნარად და მოწყენილი მივედ სტოლთან და ისე ავიღე წერილი, როგორც კაცმა, რომელიც მხოლოდ თავის მოვალეობას აღსრულებდა: ჩემთვის მოეწერათ წიგნი და, მაშასადამე, უნდა წამეკითხა.

წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, როდესაც გავხსენ წერილი და შემდეგი წავიკითხე:

«ლევან! პირველსავე ნახვაზედ შემიყვარდი, იმ პირველის სიყვარულით, რომელიც კი შეუძლიან ნორჩს და ჯერედ გამოუცდელს გულს... რა იყო ამის მიზეზი, რად ამოგირჩიე შენ და არა სხვა, ეგ მე არ ვიცი და არც გამოკვლევას გამოვუდგები. მაგრამ ამას კი ვერ დავმალავ, რომ პირველად შენგან გავიგონე თანამგრძნობელი სიტყვა, პირველად შენს ნახვაზედ წამჩურჩულა გულმა: «ეს არის ვისაც მართლა უყვარხარო, მხოლოდ ეს გაფასებს, მხოლოდ ამას ესმის შენი გულის პასუხიო!...» წამჩურჩულა და საკმაო იყო, რომ სასიამოვნო მადლობით აღვსებული ჩემი გული, ავსებულიყო სიყვარულითაც, მით უფრო, რომ მას არაოდეს არ გაეგონა ტკბილი საუბარი მეგობრისა... ასეთ კაცად მეჩვენე პირველში და ასეთ სურათად ჩაიხატე ჩემს ოცნებაში. დრომ და შენმა საქციელმა ამ პირველის მოქმედების შემდეგ გაგხადა ჩემს უფლად, მბრძანებლად!... მას შემდეგ არ ყოფილა მსხვერპლი, რომელიც შენ მოგეთხოვა და მე წუთს დავფიქრებულიყავ მის შესაწირავად... არ ყოფილა წუთი, როდესაც შენ მოშორებოდი ჩემს ფიქრს, აზრს, გონებას... სხვა საგანზედაც კი რომ მეფიქრა, რომელსამე მედიდურს სურათს რომ დავკვირვებოდი, მისი მედიდურობა მხოლოდ შენით შეიქნებოდა,

იქვე, შენ მეხატებოდი, შენით ცხოვლდებოდა...

,,შენ შემოგტრფოდი, შენ გერწმუნებოდი, შენით ვიბრუნებდი სულს და მხოლოდ შენ იყავ ბრწყინვალე სხივად ჩამოდგომილი ჩემს ცხოვრებაში...

,,შენ გადასწყვიტე, რომ ჩვენ ერთმანერთს ვერ მივემგუთვნებოდით, რადგანაც მე მაბრკოლებდა მოვალეობა ქმრიანის დედა-კაცისა და შენ კი... შენ კი მოვალეობა სვინიდისიანის კაცისა!... მე გადავწყვიტე დავმორჩილებულიყავ შენს სიტყვებს, გადავწყვიტე მით უფრო, რომ შენი სიტყვები თვით ზეციდგან შთაგონებულ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა... ეს გადავწყვიტე და დავმორჩილდი ჩემს ბედს... ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ შენის სიახლოვით, ვკმაყოფილდებოდი შენის ცქერით, შენთან ლაპარაკით და, უმეტესს ბედნიერებას მოკლებული, ამასაც ვჯერდებოდი... ღმერთო!... მაშინ მეტად ბედნიერი ვიყავ, რომ ჩემს გულში სხვა სურვილს ჰქონოდა კიდევ ადგილი, მეტად დამონებული წმინდა გრძნობით, რომ უმეტესზედ მეფიქრა... მაგრამ... შენ არ განიკითხე უბედური, არ მოიწადინე ავათ-მყოფის განკურნება... შენ მიღალატე უღმრთოდ, უკაცურად, ბოროტად!.. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ისე ტკბილად და ნაზად ჩამჩურჩულებდი, როდესაც ისეთის სიტკბოებით ავსებდი ჩემს გულს, მთლად ჩემს არსებას—ბოროტად მღალატობდი, მასხარად მიგდებდი!.. რადა, რა დავიშავე?.. ის თუ რომ წრფელის გულით შეგიყვარე, გენდე და მთელი ქვეყანა გადავივიწყე, რომ მისი ადგილი შენ დაგეჭირა?.. ძნელია, ლევან! მეტად ძნელი, როდესაც საყვარელი გღალატობს, გატყუებს, როდესაც გგონია, რომ მას უყვარხარ და სტყუვდები!.. თუ, შენზედაც სოფიომ იმოქმედა?.. იმან მიგიმხრო, მიგიზიდა, რომ ჩემი სიცოცხლე უმეტესად გაემწარებინა?.. არ მემართლე-

ბოლი, თორემ შენ იცი! ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თუ ამაზედ მეტს ხანს ვერ გასწევდა შენი სიყვარული, რად შემომეპარე, როგორც გველი, რად მომიწამლე ისეც დაშხამული არსება, რად წამართვი მოსვენება?.. ნუ თუ მეტად არა გღირდი?..

«ნეტა რას ამბობდა შენი გული, როდესაც ერთსა და იმავე დროს მეც მათრობდი ტკბილის ტიტინით და სხვასაც წიგნებსა სწერდი, რომელშიაც ჩემს გულ-წრფელს გატაცებას და სიტკბოებას მასხარად იგდებდი, ფეხ-ქვეშ ლახავდი?.. შენ მოჰკალ ჩემი გული, დაამცირე ჩემი ღირსება, დაამცირე ჩემს ქმარზედ უმეტესად, რომელმაც ხელიც კი შემახო, ცემით მოისურვა ჩემი დამორჩილება... შენ იმაზედ მეტად დამნაშავე ხარ, ხარ იმიტომ, რომ კაცობრიობაზედ უკანასკნელი რწმუნება შენ გამომაცალე, დამიკარგე... დამიკარგე და მეც გადავწყვიტე გადავიხადოთ ამ დამცირებისთვის ყველას, ყველას და... ჩემის საქციელით ერთხელ მაინც არის გაგრძნობინოთ...

,,მაგრამ რა გაგრძნობინოთ უღონომ, მოუმზადებელმა, ყველასგან დაჩაგრულმა...

«ვათავებ ამ წერილს. უეჭველია ისეც თავი მოგაწყინა, ან არა და ამასაც ისე სასაცილოთ გახდი, როგორც ჩემი გულ-წრფელი სიყვარული გაჰხადე!..

,,მაგრამ სადამდინაც უნდა მივიდეს ჩემი ცხოვრება, იცოდე რომ მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები... იცოდე ეს ყველა და... არ იქნება, არა სთქვა, არ იქნება ერთხელ სინიდისმა არ წაგჩურჩულოს:—«შემეძლო მისი დახსნა და არ დავიხსენ!»

,,როდესაც ამ წერილს მიიღებ, შორს იქნება თავის ქმრისგანაც, შენგანაც, როდეს-ღაც შენი გულ-წრფელი და ეხლა კი თქვენგან განკიცხული» «მარი.»

მეტად მძიმე და ძნელი ასატანი იყო ეს წერილი ჩემთვის, რომ მისი ძალა მაშინვე სრულიად მეგრძნო, მისი მოქმედება მაშინვე გამოაშკარავებულიყო.

მე ვიდექ გაბრუებული, დაფანტული და გონება ველარ მომეკრიბა. მარტო თავი მიბრუოდა, ტანზედ თითქოს ჭიანჭველები დაცოცავდენ და თმა აღმა ტურშიალით მიდიოდა. მე მეჭირა წიგნი, მაგრამ თვალებისა არა მჯეროდა.

კარგა ხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში, სანამ წერილის ხელახლად გადაკითხვას შევიძლებდი, სანამ მის ნამდვილს მნიშვნელობას შევიტყობდი. როგორ, მარი მე მამტყუნებდა სწორეთ იმაში, რასაც თითონ იმას ბრალად ვდებდი, რამაც მომიწამლა სიცოცხლე და თავ-განწირულებამდის მიმიყვანა?..

პირველი აზრი, რომელმაც თავში გამირბინა იყო, რომ მარი ეხლაც ცრუობდა, მატყუებდა და გული უმეტესად შემიწუხა იმისმა საქციელმა, მაგრამ რა ცოტა ხანმაც გაიარა, მე დავრწმუნდი, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლო იყო.

მარი მე აღარა მხედავდა, მთელმა თვეებმა გაიარა, რაც ჩვენ ერთმანერთს დაშორებული ვიყავით, იმას დიდი ხანია რაც უნდა გადავვიწყებოდი მეც და ჩემი მდგომარეობაც, თუ მართლა ისეთი ქალი იყო, როგორიც პროფირუშკამ გამაცნო... მაშ რა უნდა მეფიქრა?.. არა, მარი არა სტყუოდა, მარი მართალსა მწერდა, ის მართალი იყო, გადაწყვიტა გულმა, მაგრამ გონება მაინც ბოროტად ჩამძახდა: ,,ის წიგნი, რომელიც პროფირუშკამ გაჩვენა, რაღა იყო?..“

იქნება პროფირუშკამ შესთხზა, იმან მოიგონა?... მაგრამ მაშინვე დავრწმუნდი, რომ პროფირუშკას სისულელე ამას ვერ მოახერხებდა...

ამ მწარე წუვეტებაში ვიყავ და სრულიად მავიწყდებოდა,

სოფიო, რომელიც ყველაფერს იკისრებდა, ყველაფერს მოიქმედებდა, ოღონდაც არის მარი გაეუბედურებინა. მაშ მარის ვუყვარდი, იმასაც არ ეღალატა ჩემთვის, ყველაფერი და მმის საქმე იყო და მე და მარი კი იმათი ინტრიგის მსხვერპლი?.. ღმერთო, რა მემართებოდა?.. ერთბაშად თავ-ბრუ დამეხვა, გუნება ამერია, ტვინი ირყეოდა. მე უფრო დავეცი დივანზედ, სანამ დავჯექი, გულში ადუღებული სისხლი ყელში მომებჯინა და სასულესთან მომადგა, წამიჭირა ყელში და მთლად ააცახცახა. ტირილი მინდოდა, ცრემლები მახრჩობდა, მაგრამ გახურებულს თვალებს ნამი არ ეკარებოდა, დაყვირება მინდოდა— პირში სიტყვა მიწყდებოდა. ასე ვეგდე, რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში დ რაღასაც ვლუღლუღებდი და ვკანკალებდი, როგორც პატარა ბავშვი—სული ვერ მომექცია: ცოტა ხანს შემდეგ რამოდენადმე დავმშვიდდი, თუმცა ძლიერ დასუსტებული ვიყავ, და რა წამს წამოდგომა შევიძელ, მაშინვე გავეშურე პროფირის სახლისკენ.

იმან მომატყუა და პასუხი უნდა მოეცა. მე გადამავიწყდა ნათესაობაც, ჩემი დამოკიდებულებაც. თვალ-წინ ერთიღა მეხატებოდა: ჩემს წინ იდგა მტერი, მტერი მოქმედებით, რწმუნებით და მიმართულებით.

თავი VIII

პირველსავე შესვლაზედ კარებში მაშო შემხვდა და უეჭველია, მეტად შესაშინებელი სახე მედო, რადგანაც ის ყვირილით უკან მიაწყდა.

— სად არის მარი?!

— მოითმინეთ, დამშვიდდით. მიპასუხა გაფითრებულმა გოგომ.

მე თავ-დავიწყებამდის მივსულვიყავ, რა დროს მოთმენაზედ იყო ლაპარაკი? მთლად ვინთებოდი.

— სად არის, სად?.. მითხარ გაფიცებ ყველას, ჩქარა მითხარ.

— ქალ-ბატონი წუხელ... ვეღარ გაათავა მაშომ.

— წუხელ რა? მოუთმენლად ვკითხე იმას.

— წუხელ სადღაც წაბძანდა!.. ტირილით დაიწყო იმან.

— მაშ მართალია, ყველაფერი მართალია?

— მეც კი არაფერი შემატყობინა... წყენით და ისევ ტირილითვე გააგრძელა იმან.

— პროფირ სადღა არის? თან-და-თან ვიმღვრეოდი.

— ბატონი დღეს დილიდგანვე გავიდა და არ დაბრუნებულა.

— მაშ სოფიო მიჩვენე, ის მაინც შინ იქნება?

— არც ის გახლავს შინა.

— სად არის, მითხარ... ეხლავე უნდა ვიპოვო, ეხლავე უნდა ვნახო...

— რა მოგახსენოთ... დღეს დილით მთელს ქალაქს გაეგო ქალ-ბატონის წასვლა.

— მერე... მითხარ მაშო, მითხარ ღვთის გულისათვის ყოველისფერი, ნურას დამიმალავ...

— მოგახსენებთ... თქვენ როგორ დაგიმალავთ, თქვენ, რომელიც ქალ-ბატონს ისე უყვარდით.

— ოჰ, ღმერთო! წამოვიძახე მოუთმენლად, რადგანაც ამ სიტყვებმა მწარე ტკივილი მაგრძნობინეს და მარის ამბის შეტყობა ისე მიგვიანდებოდა.

— დღეს დილით, ბატონის და ქალ-ბატონის ნათესაობა მო-

ვიდა, ყველანი აქ შეიყარნენ, რომ ქალ-ბატონმა საქვეყნოთ თავი მოგვჭრაო, გარეთ აღარ გაგვესვლებაო... ცოტა რჩევის შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, მარი ეპოვათ და გიჟად გამოეცხადებინათ... ამისთვის წავიდნენ ვისთანაც საჭირო არის, რომ უოვლის ფერი მოაწყონ, მოახერხონ...

— ღმერთო, მაგათ ჩემი გაგიჟება უნდათ მაგ უღმერთოებს. —დავიძახე მე და გავბრუნდი კარებისკენ:—ეხლავ წავალ ყველას შევატყობინებ, გავაგებინებ. რა უღმერთობასაც აპირებენ!..

ის იყო კარებში გასვლას ვაპირებდი, როდესაც პროფირი შემეფეთა.

— ოჰო... შენც მოსულხარ? წარმოსთქვა იმან შემოსვლის უმალ, დაიფარა პირზედ ხელები და სკამზე დაეცა.

მე მეტად ბევრი საკუთარი მწუხარება მქონდა, რომ მისთვის ყურადღება მიმექცია, მეტად ბევრი ვარამი მიტრიალებდა გულში, რომ შემებრალებოდა.

— დასტკბი, გაიხარე ჩემის უბედურებით! წარმოსთქვა იმანვე:—გამარჯვებული შენ დარჩი—მე მივედ ახლოს და დავაცქერდი. ის მე გამარჯვებულს მეძახოდა. რაში ხედავდა უღირსი ამ გამარჯვებას?

მე დავიკრიფე გულ-ხელი და პირ-და-პირ დავიწყე:

— რა უყავ მარის?..

— გაიქცა. მოკლედ მიპასუხა იმან.

-- რად მიიყვანე მანდამდის, რად მომატყუე?

— იმიტომ რომ მე და შენ ვიბრძოდით და მებრძოლოთ ყველა საშუალება ეპატიებათ. აიღო პირისახიდგან ხელები პროფირმა, წამოდგა, თითქოს გაიმართა წელში და ისე მიპასუხა.

მე გამაშტერა ამ კაცის ურცხობამ. ის მიყურებდა პირ-და-პირ, თითქოს სანაქებო საქმის ჩამდენი კაცი, რომელიც

დარწმუნებული იყო თავის მოქმედების უცოდველობაში.

— მაშ ის წიგნი შენგან იყო შეთხზული?

— დიახ, მოკლედ მომიგო იმან.

— იქნება მარისაც უჩვენე მაგ გვარი წიგნი?

— შენცა და მარისაც.

— მერე აგრე ურცხვად, უსვინდისოდ ლაპარაკობ?

— დიახ, ვლაპარაკობ... ვლაპარაკობ იმისთვის, რომ მებრძოლთ ყოველის ფერი, გესმის, — ყოველის ფერი მიეტევება მეთქი მოპირდაპირეს დასამარცხებლად... შენ და მარი კი ჩემი მოწინააღმდეგენი იყავით.

მე მაკვირვებდა პროფირი, რადგანაც იმას ვიცნობდი, როგორც დამცირებულს, მშიშარას, დავრდომილს; ვიცნობდი, როგორც უბედურს, თავ-მოხრილს, უხასიათოს, რომელიც მუდამ თავ-მდაბლად გამოიყურებოდა, გაბედვით სიტყვას ვერ წარმოსთქვამდა და დღეს კი მაღლა აეღო თავი, პირდაპირ შემომყურებდა, სიტყვას პირ-და-პირ გაბედვით მეუბნებოდა. ეს ცვლილება მით უფრო მაკვირვებდა, რომ დღემდის დარწმუნებული ვიყავ პროფირისგან მარის სიყვარულზე და მის დაკარგვას ეს კაცი სასო-წარკვეთილებაში ჩაგდების მაგიერ, რაღაცა გაბედულს მტკიცე გულადათ შაექნა. მე მოველოდი მენახა დაცემული, მტირალი, ქვე-მძრომსავით მიწაზედ მხოხავი, ველოდი მენახა ჩემს ფეხთა-ქვეშ, ვხედავდი კი ამაყად მაყურებელს, ამაყად მოლაპარაკეს. თუ, უბედურებას გაეხადა ასე გულ-კაჟად?.. რაც უნდა ყოფილიყო, როგორც უნდა დამსვედროდა პროფირი, მაინც და მაინც მისი საქციელი მეტის-მეტად საზიზღარი იყო, რომ სხვა რიგად მჩვენებოდა.

— მე მეგონა, დავიწყე მე — რომ თქვენ მარტო უხასიათო კაცი ხართ და თქვენს უხასიათობას გაუხდიხართ სხვების სა-

თამაშოდ... მეგონა რომ სწორედ ეს მდგომარეობა გხდიდათ უბედურად და, თუმცა ეს შეუსწორებელი გარემოება არ არის, მაგრამ მაინც მებრალებოდი... მებრალებოდი, როგორც უბედური, დაცემული, რომელიც გრძნობდი შენს სატკივარს, შენს მომწამლავს მდგომარეობას და ვერ გეშველა, რადგანაც ძალა არ გქონდა, ღონე ვერ მოგდევდა... ასეთს კაცად მეჩვენებოდი დღემდის და თუმცა თავის დღეში თქვენს მეგობარს ვერ დავარქმევდი ჩემს თავს, მაგრამ გულით კი მსურდა თქვენი შველა... მე ვხედავდი თქვენს სისამაგლეს და მეგონა, რომ ეს შედეგი იყო თქვენის უბედურებისა... დიახ, ასე გიყურებდი, ასე ვფიქრობდი დღემდის, მაგრამ დღეს, ეხლა დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვყოფილვარ, ვტყუვდებოდი... შენ შენს სისამაგლეში ისე გამაგრებული ყოფილხარ, ისე შეგთვისებია ეგ გრძნობა, ისე შედუღებულხარ შენს სისამაგლეს, რომ შენის მოქმედებით კიდეც ამაყობ.

— ლევან! მკაცრად გამაწყვეტინა იმან, მაგრამ მე მინდოდა გამეთავებინა, პირ-და-პირ მეთქვა, რასაც იმაზედ ვფიქრობდი.

— ნება მიბოძეთ... დავიწყე ისევ მე.

— მე აღმიკრძალავს! კვალად დაიწყო პროფირმა.—აღმიკრძალავს შენთვის მაგ ლაპარაკის გაგრძელება... მე არა მსურს მეთქი შენი გაგონება! თითქმის დაყვირებით გაათავა იმან.

— მეც არა მსურს გავჩუმდე და ყველაფერს პირ-და-პირ გეტყვით. ავიმაღლე მეც ხმა.

— შენ გავიწყდება, რომ ჩემს სახლში ხარ.

— არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახლის პატრონმა თავისი უფლება უნდა დაივიწყოს.

— რომ არ მოისურვონ?

— ძალით აღასრულებინებენ.

პროფირუშკას თვალები აენთო და მედგრად შემომხედა, მაგრამ იმ ჟამად ვეღარა მიპასუხა-რა.

— მაშ რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან? ცოტა უფრო დამშვიდებით დაიწყო პროფირმა.— რისთვის მოსულხარ?

— იმისთვის რომ გითხრა: საზიზღრად მოიქეც და ამ საზიზღრობისთვის თავის დროზედ პასუხს გამცემ...

— ეხლა, ეხლა რაღა გინდა?

— უნდა მითხრა, რა უყავ მარის, სად არის მარი?

პროფირმა კიდევ შემომხედა და გარკვევით წარმოსთქვა:

— რომელის უფლებით ითხოვ მაგ ანგარიშს, ვინა ხარ და რა ხარ მარისა?

— მე?.. მე, რომელის უფლებით ვითხოვ ანგარიშს?.. მე შემეძლო მაგაზედ არ მეპასუხნა, რადგანაც შენის მოქმედებით შენ თითონვე დაჰკარგე მაგ კითხვის უფლება, თუ ეგ უფლება ოდესმე გქონია...

— მე ქმარი ვარ, ჯვარ-დაწერილი ქმარი, გამაწყვეტინა პროფირმა.

— შენ იყავ ვაჭარი, რომელმაც ძალით დაისაკუთრე მარი... მაგრამ საქმე მაგაში არ არის... შენა მკითხე და გიპასუხებ... მე მალაპარაკებს ბუნებრივი გრძნობა, გრძნობა პატიოსანის კაცისა, რომლის მოვალეობაც არის გამოესარჩლოს ყველა დაჩაგრულს, წინა აღუდგეს ყოველ უსამართლობას!..

— და ამ შემთხვევაში მარტო მაგ გრძნობით ხელმძღვანელობ?

— არა, და მე ამაყად საქვეყნოდ შემიძლიან ამის წარმოთქმა... მე მიყვარს მარი და უყვარვარ იმასაც... ეს გრძნობა არის ბუნებრივი, თავის-თავად დაბადებული... არც ერთი ჩვენგანი არა ცდილა, რომ ის გაჩენილიყო. მე არა მრცხვენიან ამ გრძნობისა... და სწორედ ესა მდებს მოვალეობას მით უმეტე-

სად თავი გამოვიდო მარის გულისთვის... ეხლა, როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა ჩვენს შორის, შეგვიძლიან ჩვენი ლაპარაკი გავაგრძელოთ... რა იქნა მარი?

— შენ მსაჯულის კილოთი მკითხავ მაგას...— კიდევ სცადა პროფირმა ჩემი შეყენება და დაუმატა:— თითქოს უფლება რამ გქონდეს.

— მთელი საათი გელაპარაკეთ, დაგიმტკიცეთ — რომ უფლება მაქვს... მაშ მიპასუხეთ...

— რომ არ გიპასუხოთ?

— მიპასუხებთ, გარწმუნებთ რომ მიპასუხებთ.

— არა, რას იზამთ, რომ არ გიპასუხოთ?

— მოგკლავთ, დაგახრჩობთ ეხლავ ჩემის ხელით...— გააფთო-რებული მივვარდი პროფირს და დავუწყე ნძრევა...— გესმის, მოგკლავ მეთქი, დაგახრჩობ... მე თითონ არ ვიცი რას გი-ზამ, მხოლოდ გათქმევინებ-კი...

მე ვანძრევდი, ვატრიალებდი პროფირს და დიდი ხნის ნაავად-მყოფარს, არ ვიცოდი, ღონე საიდამ მეძლეოდა... იმ ხანში სიბრაზე მახრჩობდა და პროფირის სიკვდილიც ისე შე-მეძლო, რომ ჩემი თავისთვის ანგარიში ვერ მიმეცა, რას ვშვრე-ბოდი, რა ჩავიდინე.

— ლევან, რას ჩადი? გამიშვი... ყველაფერს გეტყვი.— შე-მომესმა პროფირის შეშინებული ხმა და მსწრაფლად გამო-ფხიზლებულმა თავი დავანებე.

ჩემს წინ იდგა გაფითრებული, შეშინებული კაცი, რო-მელსაც სახე დაჭპრანჭოდა, თმა აბურძგნოდა და წარმოუდგენ-ლად მღელვარებდა. იმისი არეული თვალები ეხლა სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა: იმათ დაეკარგათ თავიანთი სი-ამაყე, მედიდურობა და ჩემ წინ იდგა რაღაცა დამონებული,

მოშლილი კაცი. ის მთლად ცახცახებდა. მე დავინახე, რომ მისი მდგომარეობა იმ გვარი იყო, რომელსაც კაცს ყველაფრის გამოთქმევინება შეეძლო. მეტად ძვირფასი იყო მარის ამბავი, რომ გვიანობას მოვყოლოდი.

— მითხარ, რა იქნა მარი, დავიწყე უფრო დამშვიდებულმა.

— მარი საავადმყოფოშია.

— როგორ თუ საავადმყოფოში?

— მარის გაქცევას შენც შეიტყობდი.

— ვიცი.

— ის გაიქცა ვიღაცა ურცხვს და საძაგელს კაცთან... მარომ საქვეყნოდ თავი მოშჭრა მეცა და მთელ ნათესაობასაც... მთელს ქალაქში მეტი სალაპარაკო აღარა აქვთ-რა... ჩვენ გარჩიეთ მარი გიჟად გვეცნო და ქვეყნისთვის მისი მოქმედება სიგიჟის შედეგად დაგვენახვებინა... ასე გარჩიე მარის სახელისთვის და ჩემის სახელისთვისაც...

ისე ამბობდა ამ სიტყვებს პროფესორი, თითქოს მართლადაც საკვირველად მოაზრებულად ემოქმედა და მართლადაც დარწმუნებული იყო, რომ მარის სახელის დასაფარად უკეთესს ვერას მოიგონებდა.

— როგორ! ვკითხე გაკვირვებულმა.—თქვენ კარგად-მყოფი ადამიანი საგიჟეში შეაგდეთ?... შეაგდეთ მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენს სახელს ქვეყნის ლაპარაკი არ შეხებოდა? კარგად-მყოფი ადამიანი გიჟებთან დაამწყვდიეთ?... მაგისთანა სასჯელი იკვიზიციასაც-კი არ მოუგონია!

— მაშ რა მექნა? დაიწყო ისევ პროფესორმა.—გამომეცხადებინა, რომ ჩემი ცოლი გარყვნილი, ზნეობით დაცემული დედა-კაცია?... რომ იმან შეურაცჰყო უწმინდესი მოვალეობა ცოლისა და ურცხვად გადალახა უჩირქო სახელი ჩემი გვარისა?...

— ვინ მიიყვანა მანდამდის?... ვკითხე მევე და მევე ვუპასუხე.—თქვენმა პირუტყულმა საქციელმა... თქვენ ისურვეთ მოკვლა მისი კაცობრიულის გრძნობისა, ისურვეთ დამორჩილება ისეთის ხასიათისა, რომელიც ძალას ვერ მორჩილდება, ისურვეთ მისი დამონება, მოტეხა და როდესაც ნახეთ, რომ შრომამ ამაოდ ჩაგიარათ, ყველაზედ საზიზღარი მოქმედება ჩაიდინეთ?... ღმერთო ჩემო!... კარგად მყოფის ადამიანის საგიჟეში შეგდება, არც ერთს ველურს მტარვალს თავში არ მოსვლია. მე თვითონ ვგიჟდებოდი, როდესაც მარის მდგომარეობას წარმოვიდგენდი. ერთად გიჟებთან, საერთო ოთახში, მარისაც ისე უნდა მოჰპყრობოდენ, როგორც დანარჩენებს?... მასზედ ზრუნვა უნდა ჰქონოდა მინდობილი მოუხრელს და გაუთლელს დარაჯებს, გულ-გაქვავებულებს, რომელთაც უბრალო სულიერი მოძრაობის შესაკავებლად მარტო კეტის მეტი არა იცოდნენ-რა... მე ვეღარა ვძლებდი იმ ოთახში, სული მიგუბდებოდა. თვით პროფირ მეჩვენებოდა რაღაც უსაძაგლეს ცხოველად, რომელიც სწამლავდა ყველას, ვისაც კი მიეკარებოდა. თვით ის ჰაერიც-კი, რომლითაც პროფირი სუნთქავდა, თითქოს იწამლებოდა და საზიზღრად მოქმედებდა კაცზედ.

მე აღარ ვიცოდი, რა რიგად დამეწყო ლაპარაკი, რა მეთქვა... ერთის მხრით დაუჯერებლად მეჩვენებოდა ჩვენს დროში ხალხი ისე დაცემულიყო, რომ მთელი ქვეყნის გამოსულელება შეძლებულიყო, რომ მისთვის ეკისრებინათ სრულიად კარგა მყოფის ადამიანის გიჟად გამოცხადება, თუნდა ამ გვარს საქციელს უბედურის სახელი უბრალო ჭორიკანაობისგანაც დაეხსნათ!?

მეორეს მხრით იდგა ქმარი და რწმუნებით მეუბნებოდა, რომ მარი ნამდვილად საგიჟეში დამწყვდეულიაო, ნამდვილ გი-

ჟად ცნობილიო!...

«უეჭველია, ეს ყველა რამდენიმე პირის მოსყიდვით მო-უხერხებია პროფირს», ვიფიქრე მე და ხმა მაღლა დავუმატე:

—თქვენი საქციელი მეტად მკაცრია, მეტად ველური... მე მაგას ვერ მოვითმენ.., მთელს ქვეყანას შევსძრავ, შევატყობინებ სადაც საჭიროა არის და მარის განვათავისუფლებ...

— რას ამბობ? შეშინებით წამოიძახა პროფირმა.—ქვეყანას უნდა გააგებინო?.. მაშ შენ მარის მტერიცა ყოფილხარ და ჩემიც.

ამ კაცს სახე ისევ საქვეყნოდ ლაპარაკის და გამოაშკარავების შიშმა დაუმასხინჯა... ისა კისრულობდა ყოველ სისაძაგლეს, ჩაიდენდა ყოველ ავაზაკობას, სთავსდებოდა მასთან, ოღონდაც არის ამაზედ ქვეყანას არ ელაპარაკა, ქვეყანას არა შაეტყო-რა!?

ის მზათ იყო ათობით და ოცობით კაცი შაეწირა რომელიმე მოქმედების დასაფარავად და ესევე მოქმედება ხვალვე გაემეორებინა დამშვიდებულის რწმუნებით, რომ მისი სინიდისი წმინდაა, თუ მის საქციელზედ ქვეყანა არ ილაპარაკებდა.

— დიაღ, მაგ შემთხვევაში, მე თქვენი მტერი გახლავართ, გუპასუხე მე.—და ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები გამოვაამკარავო თქვენი საქციელი...

ამ სიტყვებზედ გამოვბრუნდი და გამოსვლა მინდოდა, მაგრამ პროფირი წინ გადამიდგა და ხვეწნით გამიმეორა:

— აღარც მარის სახელი გებრალება?

— მარის სახელი?.. ის დამნაშავე არ არის, ყოველი მისი საქციელი, შენი ჟიუტობის და ავაზაკობის შედეგია...

— ვთქვათ, რომ ეგრეა, მაგრამ... მარიზედ ხომ მაინც ილაპარაკებენ?

— დეე ილაპარაკონ, თუ მაგისთანა დამცირებულები იპოვებიან!..

— მარიც ეგრე უყურებს, ეგრე ესმის?

— ეგრე უნდა უყუროს, ეგრე უნდა ესმოდეს.

— რომ არ უყურებდეს?

— მით უარესი მისთვის... მაგრამ, მარი ცხოვრებაში საკმაოდ გამოიცადა, რომ ქვეყნის ლაპარაკს ყურადღება მიაქციოს.

— ერთი-ორი დღე მოიცადე... მე მივიღებ ჩემს თავზედ ზრუნვას, ჩემთანვე დავიბრუნებ და მაშინ...

— როგორ, მარი ისევ თქვენთანვე უნდა დაბრუნდეს?.. თქვენ გონება დაგიკარგავსთ!..

-- აქ თავისუფლად და მოსვენებით იქნება.

— მოსვენებით იქნება?! გამაშტერა მისმა საუბარმა.—აქ, სადაც ყველა ამცირებდა, ცხოვრებას ჯოჯოხეთად უხდიდა. აქვე უპირებდენ დაბრუნებას, რომ ყოველი დღე, ყოველი წუთი მოეწამლათ იმისთვის. და ეს კაცი კი რაღაცა მოსვენებაზედ ლაპარაკობდა... არა ბატონო, მარი აღარ დაბრუნდება თქვენთან. მე მივდივარ და იმედი მაქვს განვათავისუფლო მარი, იმედი მაქვს დავიხსნა თქვენის ხელიდგან და იმედი მაქვს თქვენც აღარ მოიწადინებთ მის დაბრუნებას... ამ დროს კარებში გამოჩნდა სოფიო, რომელსაც თმა ასწეწოდა და თვალები არეოდა. სახეზედ ჩამონადენს ოფლს ჩამოერეცხა უმარილი და უსიამოვნოდ ზოლ-ზოლად დაესვა მისი ჩაყვითლებული ლოყები. ის მთლად კანკალებდა სიანჩხლისგან, ეტყობოდა უკანასკნელი სიტყვები მის სმენასაც მისწვდომოდა.

ის იდგა გაასპიტებული, გააფთრებული და ისე მიყურებდა, თითქოს თვალებით ჩაყლაპვას მიპირებდა.

— ჩვენო დამღუპაო! მკაცრად მომიბრუნდა. — ვინ მოგცა აქ შემოსვლის ნება?

მე შევხედე სოფიოს და იქამდის დამცირებულად მეჩვენა, რომ პასუხის ღირსადაც-კი არ გავხადე. მე ისევ პროფირს მივმართე, რადგანაც მინდოდა, უბრალო ლაპარაკის და აქეთ-იქით წუპეტების მაგიერ, მარის განთავისუფლება უფრო მშვიდობიანად მომეხერხებინა.

— ბატონო პროფირ!... გირჩევთ ეხლავ წამოხვიდეთ და მარი საავად-მყოფოდგან გავანთავისუფლოთ... გირჩევთ, რადგანაც ამით შეგიძლიანთ თავიდგან აიცდინოთ უბრალო ყაყანი და ლაპარაკი, რომელიც თქვენ ისე გაშინებსთ.

— ჩემს ძმას ეგ არ შეუძლიან.—ჭირვეულად დაიკივლა სოფიომ.— მაგას თუ ის ლაფი, რომელიც მარიმ თავზედ დაგვასხა, არაფრად მიაჩნია, მეც შემეხება მაგათი საქმე, მე არ მივცემ მაგის ნებას!...

— თქვენ? მივუბრუნდი სოფიოს. — რომლის უფლებით ლაპარაკობთ მაგას?...

— როგორ თუ რომლის უფლებით? შემომიტია იმან და სიბრაზით დაუმატა:

— პროფირს თავისი თავი თითონ ეკუთვნის. მაგან თუნდა თავი მოიკლას, როდესაც საქმე პირადად მაგას შეეხება, მაგრამ, როდესაც მაგისი საქციელი მთელს ნათესაობას, გვარეულობას ლაქასა სდებს, მაშინ არ მივცემ ნებას, არა... არ მივცემ მეთქი, თუნდა მაგისთვის თავის გადადება მომინდეს.

— მარის არ უყვარდა პროფირ და ძალად შეირთო, მარის არ უნდოდა ქმართან ცხოვრება და ძალად იჭერდით... იჭერდით, ყოველს სიმცირესაც-კი აყენებდით... თქვენ გინდოდათ ის იმ სახლში დაგებორკილებინათ, სადაც ყველანი მტრად ჩამო-

ჭკიდებოდით, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგვექციათ და რომელსაც იმან მოიწადინა ძალით იმის მოპოვება, რაზედაც უფლება უნდა ჰქონოდა და ნებით არ აძლევდით... რომელსაც ძალით აასრულა თავისი განზრახვა, თქვენ ამას ლაფის დასხმას ეძახით, გეშინიათ საქვეყნოდ გამოაშკარავებისა?.. თქვენი საქციელი?... თქვენს საქციელს, ზნეობით სავსე ქალბატონო, გვარეულობის სახელის დამცველო!... თქვენს საქციელს რაღა დავარქვათ? თქვენს საქციელს, რომელიც გველობით და ბოროტებით სავსე იყო და სავსე არის... თქვენ, რომელიც მარის ცხოვრებაში წვეთ-წვეთობით ასხავდით საწამლავს, რომელიც დღითი-დღე მოაზრებულის და გამუდმებულის საქციელით ამ შედეგამდის მიიყვანეთ?... მიბძანეთ, რა დაუძახო თქვენს საქციელს?...

— ვინ მოგცათ ეგ ნება... დაიწყო სოფიომ, მაგრამ მევე გავაწყვეტინე, რადგანაც მისი მოქმედება გულზედ ბოღმასავით მაწვებოდა და ეხლა-კი შემთხვევა მეძლეოდა ყველაფერი გამომეთქვა.

— თქვენ ჩაიგდეთ ხელში თქვენი უხასიათო ძმა, თქვენ გაიგეთ მისი სისუსტე, შეიპყარით, დაიმორჩილეთ და თქვენი სურვილის იარაღად გახადეთ, თქვენის წადილის სათამაშოდ გადააქციეთ... და რა ამოირჩიეთ დროს გასატარებლად?... —უბედური ქალის წვალება, რომელსაც დამშვიდებულის სინიდისით სისხლსა სწოვდით, სიცოცხლეს უმწარებდით....

— გამიგონე... სოფიო წამოდგა წინ და ხელი მოსაკიდებლად გამოიშვირა.

— გამეცალე! დავუყვირე მე, რადგანაც მისი მოკარებაც კი მეგონა გამაჭუჭყიანებდა, ცხელ რკინასავით დამწვავდა.—გამეცალე! გავუმეორე მე და დავუმატე:—ეხლა ყველაფერი გითხა-

რით, ყველაფერი, რაც კი გულს მოსვენებას არ აძლევდა. ეხლა თქვენთან გავათავე და მე ვიცი, როგორც მოვიქცევი...

მე გამოვბრუნდი და ჩემს სმენამდის მოაღწია პროფირის შეშინებულმა ხმამ:

— სოფიო, რა ჰქენ?!.. დააბრუნე თუ ღმერთი გწამს, დააბრუნე!..

— გაჩუმდი! გააწყვეტინა სოფიომ და დაუმატა:—მიბძანდეს და რაც გაარიგოს...

ამ სიტყვებზედ კარი მივიხურე და თუმცა ვეღარ გავიგონე, და-ძმას შორის რა მოხდა, მაგრამ წარმოდგენილი კი ისე მქონდა, რომ პროფირს მთელი წამება უნდა გამოეარა.

თავი IX

გამოსვლის უმალ მე გავქანდი იმ საავათ-მყოფოსკენ, სადაც კარგად მყოფი ადამიანი გიჟებთან ერთად დაემწყვდიათ. პირველსავე მისვლაზედ, საავად-მყოფოს მოსამსახურემ კარი გამიღო და ღიმილით მითხრა:

— თქვენს მოწყალებას. უეჭველია, ავად-მყოფის ნახვა უნდა?.. დაიგვიანეთ, ძალიან დაიგვიანეთ. დაუმატა იმანვე.

— ვინ არის აქ უფროსი, ვის აბარია ეს საავად-მყოფო? ვკითხე მე.

— უფროსი?.. გაიმეორა იმან ჩემი კითხვა, მოიქექა თავი და დაუმატა:—უფროსი, ბარონ ზ...იცა...

ის ლაპარაკობდა წყნარად, არა ჩქარობდა და მე კი აღარ მიყურებდა, მე, რომელიც ამბის ჩქარა შეტყობის სურვილით, ვინთებოდი.

— მაშ წამიყვანე იმასთან. მოუთმენელად წარმოვსთქვი.

— იმასთან?.. იმასთან არ იქნება... იმიტომ რომ «ისინი» ქალაქში დგანან...

მე მაკვირვებდა ამ კაცის გაუგებრობა. საავათ-მყოფო ისე თავ-დანებებული როგორ იქნებოდა, რომ ერთ-ერთი ექიმი მოუშორებლად იქ არ ყოფილიყო.

— «ისინი» განა აქამდის აქ იქნებიან? ღიმილით გააგძელა იმან და ამიხსნა:—ისინი განა პატარა ვინმე ბძანდებიან, ღენერალია.. უმთავრესი ექიმია, ესე იგი, ნაჩალნიკი.

— მაშ, აქ ექიმი არავინ არის?

— არის, მაგრამ, ეს არის ეხლა გავიდა აქ, ახლოს, ნაცნობები ჰყავს და იქ ქაღალდის სათამაშოდ დაჰპატიჟეს.

— ავათ-მყოფებისთვის თავი როგორ დაუნებებია? წარმოვსთქვი მე.—იქნება ექიმები რა წუთში დასჭირდეთ?

— აქ რა ავათ-მყოფებია?.. მოჰყვა ისევ მოსამსახურე.— სულ გიჟები არიან, ეგენი ადამიანებათაც კი აღარ ჩაითვლებიან... მაგათი ავათ-მყოფობა აშკარაა, ექიმი რად უნდათ?.. თუ ვინმე გაჭირვეულდება, ურჩობას დაიწყებს, გადავაცვამთ გიჟის პერანგს, დავასხამთ ცივს წყალს და ამითი გათავდება.

მე თვალ-წინ წარმომიდგა უბედური ავათ-მყოფების მდგომარეობა და მათ შორის მარი, ამ უგულო მხეცების ხელში, რომელთაც მათზედ ზრუნვა მინდობილი ჰქონდათ. სწორედ ვგიჟდებოდი.

— დაუძახე ექიმს, ჩქარა, საჭიროა.

— მე არ შემიძლიან. გადაწყვეტით მიპასუხა იმან.

— შენ არა სთქვი, ექიმი აქვე ახლოს არისო, უეჭველია ის გიბძანებდა, თუ საჭირო შევიქენ, დამიძახეო.

— დიახ, მაგრამ მე კარებს ვერ მოვშორდები, რადგანაც,

დამიწყო იმან განმარტება, შეიძლება რომელიმე გიჟი...

— მაშ სხვა ვინმე გაგზავნე. გავაწყვეტინე მე.—ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, საჭირო საქმე მაქვს.

— აბა ეხლა ვინ გავგზავნო?.. აგერ ათი საათი სრულდება. მოსამსახურეებს სძინავთ.

— მაშ რა ვქნა, მითხარ მაინც, რომელს სახლშია, ვისთან.

— აი ეგ შეიძლება... აქვე გახლავთ, პირ-და-პირ. გაბრუნდებით მარჯვნივ, გასცდებით ერთს ქუჩას, მეორეს... მესამეს და მეოთხეზედ მარცხნივ... მაგრამ არა, მოითმინეთ, ამერია...

— თუ ღმერთი გწამს!. შენ ნამდვილად არა გცოდნია... გააღვიძე ვინმე, დაუძახე, ფულს გაჩუქებ.

— წასვლა კი შეიძლება, მიპასუხა იმან, რა კი ფულის ხსენება გაიგონა,—რატომ, წავალ, წავალ, მაგრამ აქ ვიღა დადგება?

ამ კითხვაზედ შემოეღო კარები და ოთახში შემოვიდა ექიმი. ის ცოტა გადაკრულსა ჰგვანდა, რადგანაც რაცრაცებდა და პირიდგან არყის სუნი ამოსდიოდა.

შემოსვლის უმალ იმან შემომხედა და მკაცრადა მკითხა:

— რა გინდათ?

— ერთი ავად-მყოფი მოიყვანეს, ჩემი ნათესავია და იმის ნახვა მინდა...

— ამ შუა ღამისას? შემომხედა იმან.—განა არ იცით, რომ ამ დროს ვიზიტები აღკრძალულია?

— ჩემი შემთხვევა ჩვეულებრივი კი არ არის!.. თქვენ არ შეიძლება, რომ უარი მითხრათ... მხოლოდ ნება მიბოძეთ შევატყობინოთ...

— მაშ ჩემს ოთახში მობძანდით. გამიძღვა წინ და ჩვენ შე-

ბედით ერთს პატარა ოთახში, სადაც მოზრდილი ლამპა საკმაოდ ანათებდა.

მე წარმომიდგა თვალ-წინ ლამაზი, უმაწვილი სახე, რომელიც რაღაცა უცნაურს ხაზებს დაესერა და სრულის აპატიის ბეჭედი დაესვა.

— ვინა ბძანდებით. შესვლის უმალ მკითხა მასპინძელმა.

მე დავუსახელე ვინც ვიყავ.

ამ სიტყვებზედ ის თითქოს მოცოცხლდა, ერთს წუთს ჩაფიქრდა და შემდეგ ხელების გამოშვერით წამოიძახა:

— ლევან, ნუ თუ შენა ხარ?

მეც დავაკვირდი და მომაგონდა ერთი ჩემი ამხანაგთაგანი, რომელიც სწორეთ უნივერსიტეტში იმ წელიწადს ათავებდა კურს, როდესაც მე შევდიოდი. ერთმა შემთხვევამ ჩვენ მაშინ დაგვამეგობრა, მაგრამ შემდეგში ხანმა დაგვაშორა და თითქმის სრულიად გადაგვავიწყა ერთმანერთი.

წარმოიდგინეთ, რა რიგად გამიხარდებოდა იმისი ნახვა, გამიხარდებოდა მით უფრო, რომ ვიქტორ, ასე ეძახდენ იმ ექიმს, იყო პატიოსანი და საიმედო კაცი.

პირველისავე მისალმების შემდეგ მე დაწვრილებით ვუამბე მარის თავს-გადასავალი და ვიქტორმა სრულის თანაგრძნობით მიიღო ნაამბობი.

იმან შემატყობინა, რომ ნება არა ჰქონდა მარი ჩემთვის ეჩვენებინა, მაგრამ ეს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ამ შემთხვევაში კანონს ვერ დაემორჩილებოდა, თუნდა იქვე ანძალოზედ ჩამოეკიდნათ. მიამბო, რომ დღეს საავათ-მყოფოში ყოფნა ამის რიგი ყოფილიყო, იმას მიეღო მარი, რომელიც სხვა გიჟებთან ერთად დაემწყვდიათ, მაგრამ უბედურის ქალის ხვეწნისთვის ვეღარ გაეძლო და ცალკე ოთახში გადაეყვანა.

ჩვენ გავწიეთ ზევით პალატებში და მივედით იმ ოთახის კარებთან, სადაც მარი იყო.

ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ყოველ მიახლოვებაზედ რა-დაცა გვარს სიხარულს და მასთანვე მტანჯავს სიამოვნებასა ვგრძნობდი. გულს ფართხალი გაჰქონდა, თითქოს ციება მო-რეული ვძაგძაგებდი, კრიჭა შეკრულსავით კბილები ძალზედ მო-მეჭირა და ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა.

მარისთან ხელახლად შეყრის ბედნიერება ისე ახლო იყო და მე კი ისე უბედური, ისე განდევნილი ბედისაგან, რომ თვით ამ ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა, ჩემს მოღალატედ არ გარდაქცეულიყო, მოახლოებული ბედნიერება არ გაეფთხო და ნეტარება საუკუნოდ არ დამეკარგა.

კარებთან ვიქტორი შესდგა და მითხრა:

— აი ოთახი, და მე კი თავს დაგანებებ. დილამდის აქ იყავ და ხვალ ჩვენს უფროს შევატყობინებ ამ საქმეს... თუ ვინი-ცობაა მარის განთავისუფლება აქედგან ვერ მოხერხდა, მაშინ სხვა გზას ვნახოთ.

ამ სიტყვებზედ ის გაბრუნდა და, რამდენადაც მისი ფეხის ხმა წყნარდებოდა, იმდენად მე გული მიცემდა.

კარები, მარტო კარები-ღა მაშორებდა მარის! ეს ცოტა ბედნიერება არ იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ წუთებში, რა გა-უბედავი შევიქენ. რამდენჯერმე კარის გასაღებად მიტანილი ხე-ლი ჩამომივარდა, რამდენჯერ ხელი მოვკიდე თითონ კლიტეს და გული ჩამჩიჩინებდა მხოლოდ ერთხელ გადამეტრიალებინა, ცოტა გადამეწია, მაგრამ დადუნებული და თვით მოქმედებას მოკლებული ძარღვები გაუნძრევლად რჩებოდა. გული კი ფარ-თხალებდა და ძალზედ დაგა-დუგი გაჰქონდა.

ბოლოს, როგორც იყო გავბედე და ძალა დავატანე ჩემს

თავს. გაღო კარი და თვალ-წინ წარმომიდგა მარი!... მარი, რომელიც თეთრს თავისუფალს ტანისამოსში, გაშლილის ხშორის თმებით, ნახევრად მიწოლილი საგებელზედ და ფერ-მკრთალი, ანგელოზს ემზგავსებოდა!..

მე დავიბენ, წავბარბაცდი და რაოდენსამე ხანს თვალებ დაბნელებული ვიდექ.

როდესაც გონს მოვედ, ჯერ კიდევ კარებს არ გავცდენოდი და მარი კი წამომდგარიყო, დაჰყრდომოდა სტოლს და გაშტერებული შემომყურებდა.

— ლევან! წყნარად, თუმცა მღელვარებით წარმოსთქვა იმან. —თქვენა ხართ?.. ცხადია?..

— მარი! მეტი ვეღარა მოვახერხე-რა და გავქანდი, რომ გულში ჩამეკრა.

ღმერთო, რა იგრძნო ჩემმა გულმა მარისთან მიახლოვებაზედ?.. რა მტანჯავი, მოუსვენარი და აღმაშფოთებელი სიტკბოებას!.. მე ვეხვეოდი, ვტიროდი, ვიცინოდი... ვგრძნობდი ცეცხლს, რომელიც ძარღვებში, გულში, მთელს სხეულში დარბოდა, ვგრძნობდი მის სიმხურვალეს, სიცხეს და ძალას, მაგრამ ამასთანავე რაღაცა უმაღლეს, ციურს ბედნიერებას, სიამაყეს!.. მარი ხელში მეჭირა, ის მეკვროდა მკერდზედ, დამმორჩილებოდა და სწორეთ ამითი ვგრძნობდი ჩემს თავს მეფეთ, ქვეყნის უფლად!.. იმ წუთებში ისეთი ძალა მომეცა, ვეფხვს, ლომს რომ შევყროდი, ხელ-და-ხელ შევებმებოდი და, უეჭველია, გამარჯვება მე დამრჩებოდა!.. ასე აპატიოსნებს, აამაყებს, ასეთს რწმუნებას აძლევს თურმე კაცს წმინდა უებრო სიყვარული! მარის მე ვუყვარდი,—ქვეყანა ჩალად მიმაჩნდა. ვის რას შევეპოვებოდი?! მთელს ქვეყანას, ჯოჯოხეთს, ზეცას საბრძოლველად გამოვიწვევდი...

არ ვიცი, როგორ დიდ-ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა, როდესაც მარი პირველი მოვიდა გონს, პირველი გამეშვებინა, და პირველმა დაიწყო.

— ქმარს ლევან! ნუღარა მტანჯავ... შენ ხომ არ გიყვარვარ და რაღად მამცირებ?

— მარი! რას მეუბნები? გატაცებით ვუპასუხე. — თუ შენ არ მიყვარხარ, თუ შენი დამცირება მინდა, მაშ რაღა მიყვარს, ვიღას ამაღლებას ვისურვებ?

— ვისაც წიგნებსა სწერდი, ვის წინაშეც ჩემს გულ-წრფელს სიყვარულს მასხარად ხდიდი. რისთვის მომექეც ეგრე, რა დაგიშავე?

პირველში არ მესმოდა, მარი რას ამბობდა, მაგრამ მაშინვე მომაგონდა მარის წერილი, რომელიც წინა-დღით მომივიდა და ყველაფერი აშკარა შეიქნა. სოფიოს და პროფირისგან შედგენილმა წიგნებმა, კინაღამ მე და მარი საუკუნოდ დაგვაშორეს.

შეყვარებულს გულს მალე სჯერა საყვარლის სიტყვა, მას უცოდველად და წმინდათ ხედავს. მე და მარისაც დიდ ხანს ლაპარაკი არ მოგვინდა, რომ ერთმანერთი დაგვერწმუნებინა ჩვენს სიმართლეში. ესევე გვსურდა ორთავეს და აღძრული ფიქრების გაქარვებას ეს უფრო მეტად შველოდა

ორთავემ სიხარულით გავიგეთ, სიხარულით დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიყვარული წმიდა და პატიოსანი ყოფილიყო.

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ? მეუბნებოდა მარი და მეხვეოდა, რომ მოალერსებით გამაძღარიყო თითონ და მეც გავეძღე. ყოველ მოხვევნაზედ, მისი რბილი, კუპრსავით შავი თმა ეფინებოდა ჩემს სახეს. ყოველი ბეწვი ცალკედ და ყველა ერთად

ნაზად მიცივლიგებდა, სასიამოვნოდ მიღუტუნებდა და მთელს სამოთხეს გადმიშლიდა.

თავი X

პირველი ალერსის შემდეგ მარიმ მიამბო თავისი თავ-გადასავალი, რომელსაც აქვე გადმოგცემთ. «როდესაც» დაიწყო მარიმ, «შენის დასწრებით მე და ჩემ ქმარს შუა ის უსიამოვნო ლაპარაკი მოხდა და პროფესორმა გთხოვათ, რომ მარტონი დაგვეტოვებინეთ, კარგა სიჩუმის შემდეგ, იმან დაიწყო:

«—მაშ არ იშლი და მაგ მასხარას ლაპარაკს აჰყოლიხარ?

— მე არავის ლაპარაკს არ აჰყოლივარ. ვუპასუხე მე და დავუმატე: — მე წინადვე არ მინდოდა შენ მოგთხოვებოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე... ეხლა-კი გადავწყვიტე, უეჭველად თავი დაგანებო.

— მერე ცხოვრებას რითი აპირებ? მკითხა იმან და დამაცქერდა. — ეს ხომ იცი, რომ შენი სამშობლო არავითარს საგანს არ მოგცემს?

მე ვუპასუხე, რომ რუსეთში წავიდოდი, საქმეს გავიჩენდი რასმეს და ცხოვრებისთვის მოვემზადებოდი.

— ეგ სულ იმ ბიჭბუჭების ლაპარაკია, რომელნიც რაღაცა ამაღლებულს აზრებს ჟვარებიან და საქმით-კი მხოლოდ იმასა ცდილობენ, რომ ლამაზი ქალები გვერდით იყოლიონ.

— თუ თქვენ ოთხმოცის წლის ბებერი მაგასვე ცდილობთ და საძრახისად არ მიგაჩნიათ, მაგისთვის ყმაწვილ-კაცს რაღათა ჰკიცხავთ? გაჯავრებით მივუგე და დავუმატე: — იმათთან ცხოვრება არა სჯობს?... კაცი სასიამოვნო სახეს მაინც უყურებს!

ამ სიტყვებზედ პროფირი აენთო და ჩემი პასუხიც სწორედ იმის გასაჯავრებლად იყო ნათქვამი... იქნება გამამტყუნო ამ გვარ ქცევისთვის, მაგრამ რა მექნა, როდესაც ჩემსავე უნებურად მისი წყენა მწყუროდა, მისი შეურაცხ-ყოფა მასიამოვნებდა.

— მაშ, იქნება მართლა გგონია, რომ ლევანს უყვარხარ? დაიწყო პროფირმა და ავაზაკურის, ბოროტის თვალით დამიწყო ცქერა.

— ეგ სულ ერთია ჩემთვის: ვუპასუხე მე და დავუმატე: — იმას თუ არ უყვარვარ, სხვა შემიყვარებს და ეს სხვა, ვინც უნდა იყოს, შენზედ უკეთესი ხომ იქნება!

ამ სიტყვებმა სრულიად გააბრაზეს პროფირ და გაანჩხლებით დაიძახა:

— იქნება შენა გგონია, რომ გეხუმრები?... აჰა, წაიკითხე. ამოიღო რაღაცა ქაღალდი და გადმომიგდო.

მე ავიღე ეს ქაღალდი, დავხედე და თვალებისა არა მჯეროდა... ეს იყო სწორედ ის წერილი, რომელიც შენს მაგიერ შეედგინათ, რომელშიაც ისე მასხარად მიგდებდი, ისე მამცირებდი და შეუბრალებლად ფეხ-ქვეშ სთელავდი ჩემს გრძნობას.

კარგად იყო მოსაზრებული ეს წერილი. მართლადაც ისე ვერა მომტეხდა-რა, როგორც შენდამი რწმუნების შერყევა... ჩემს თავს ულონოდ, დამცირებულად და მასხარად გახდილს ვხედავდი... მერე ვისგან?... ვინც მთელს ქვეყანას მერჩია, მთელს ჩემს სიცოცხლეს შეადგენდა, ვინც მაკავშირებდა ამ სოფელს, და სიცოცხლეს შესაძლებელად მხდიდა!..

როდესაც პროფირ ან სოფიო ჩემს დამცირებას ცდილობდნენ, ამას კიდევ ვიტანდი, რადგანაც მე თავადაც ამითვე

ვუპასუხებდი, ამ გვარადვე ვექცეოდი, მაგრამ წარმოიდგინე, ამ გვარი საქციელი მეგობრისგან, როგორ უნდა მიმეღო?

ამ წერილზედ თავს ბრუ დამეხვა და იმავ ადგილს, უსიტყვოდ, გაუნძრევლად ჩავიკეცე, ცრემლები მახრჩობდა, რადგანაც გაცხელებული თვალები იქამდის გამიხურდა, რომ მომდგარს ნამს მსწრაფად აშრობდა და უკუ აგდებდა.

ბოლოს პროფირ მოვიდა, მომკიდა ხელი და წყნარად მკითხა:

— ახლა რაღას იტყვი?

— არ ვიცი. იმედ-გადაწყვეტით და დაფანტვით ვუპასუხე. ან სხვა რა უნდა მეპასუხნა?

— გჯერა კიდე ლევანის სიყვარული?

ამ სიტყვებმა, შენმა სახელმა, სიყვარულის გახსენებამ გული რამოდენადმე მოალბო; გადმომვარდა მწვავი, მდუღარე წვეთი, მას მოჰყვა მეორე, მესამე და გზა გახსნილი ცრემლი მოსწყდა შეუწყვეტელ ნაკადულად. მე ვტიროდი, ვტიროდი გაუწყვეტლივ, მოუსვენრად და მთლად ვთრთოდი ამ ტირილის დროს.

— რას მეტყვი? წყნარადვე გაიმეორა პროფირმა: — ამის შემდეგ ლევანის ნახვას კიდევ ისურვებ?

— არ ვიცი... დამეხსენ, მომშორდი, ოღონდაც კი მომშორდი და რაც გინდა ჰქენ! ვუპასუხე გულ-დაწყვეტილმა და იმედ-დაკარგულმა. მარტოდ დარჩენა მეჭირებოდა, რომ მარტოდ მივცემოდი ჩემს გლოვას და მწუხარებას.

— იმ კაცმა შენ დაგამცირა. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ფროფირმა. — მე მოგაშორებ იმას.

მეტად შეწუხებული ვიყავ, მეტად დიდი ვარამი მაწვა

გულზედ, რომ მაშინ პროფირის სიტყვების მნიშვნელობა მოშეაზრა.

— წადი, წადი! რაც გინდა ჰქონ კუპასუხე იმას და იმანაც აღარ გამამეორებინა ეს სიტყვები.

პროფირ საჩქაროდ გავიდა და მე მარტო დავრჩი, დავრდომილი, იმედ-გადაწყვეტილი... ყველაფერს ავიტანდი, ყველაფერს გავუძლებდი, მაგრამ შენგან მასხარად აგდება მეტად თავ-ზარ დამცემი იყო.

პირველი აზრი, რომელიც თავში მომივიდა, იყო, რომ თავი მომეკლა, რადგანაც უშენოდ სიცოცხლე არ მესმოდა, მაგრამ, როდესაც ჩემს მდგომარეობას დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ბრძოლა კიდევ შესაძლებელი ხდებოდა და გადავწყვიტე, განმეგრძო, განმეგრძო უკანასკნელ საშუალებამდე.

მე მინდოდა ბრძოლა გამეწია ყველასთვის, ვინც-კი ჩემს კაცობრიულს უფლებას ფეხით გადალახვას ცქადდა, დარწმუნებული ვიყავ, რომ თუ აქ ამ ზნეობით აღჭურვილი ხალხი გარს მეხვია, ქვეყანაზედ სხვა ხალხიც იპოვებოდა, ისეთი ხალხი, სადაც სიმართლეს მკვიდრი ნიადაგი ექნებოდა და გადავწყვიტე მეპოვნა ეს ხალხი.

კარგა · ფიქრის შემდეგ, ისევ შენ წარმომიდგე თვალწინ და პირველი სიტყვები იყო საყვედური იმ საქციელისთვის, რომელსაც პროფირისაგან მოტანილი წიგნი მიაშკარავებდა, მაგრამ მალე აზრი შევიცვალე და გუნებაში ეჭვმა გამირბინა. მე ვიძახდი: იქნება ტყუილია, იქნება ის წერილი ჩემი ქმრისაგან არის შედგენილი; ჩქარა ეს ეჭვიც განქრა და მისი ადგილი დაიჭირა რწმუნებამ, რომ შენ ეგრე მკაცრად ვერ მოიქცეოდი, მაგისთანა უკაცურს საქმეს ვერ ჩაიდენდი.

ეს იყო გონების ნაწარმოები თუ გულისა, გადაწყვეტით

ვერ გეტყვი, მაგრამ მათგან რომლისაც უნდა ყოფილიყო, გა-
სამარჯვებლად დიდი ბრძოლა არ დასჭირებია.

ასე იქნებოდა თუ ისე,, მომატყუებდა ჩემი გრძნობა, თუ არა, ეგ საქმის მიმდინარეობისთვის სულ ერთი იყო, რადგანაც მე ვეღარა მაჩერებდა-რა. გადავწყვიტე, რომ უნდა გავნთავისუფლებულიყავ და ამას მივმართე მთელი გონება.

იქნება პროფირ რომ ცოტა მეტ ღირსების მქონებელი ყოფილიყო, ცოტაოდნად კაცის პატივის-ცემის დამსახურება შესძლებოდა, ჩემის თავისთვის დამეტანა ძალა, გულის მოძრაობა გულშივე ჩამეკლა და ჩემს უბედურებას დავმორჩილებულიყავ, მაგრამ როდესაც ჩემს უღონობას აშკარად დასცინოდენ, ჩემის გულის მოძრაობას განგებ ფეხ-ქვეშ ლახავდენ და მაგასთან ისე, რომ უეჭველად თავიანთის მოქმედებისთვის ჩემი ყურადღება მიექციათ, უფრო მეტად და მეტად მაბრაზებდენ, მეტის სურვილით მინდებოდა წინა-აღვსდეგიყავ.

სოფიო ისე არ გაივლიდა ჩემს წინ, რომ მასხარად ამგდები, დასამცირებელი ღიმილი არ გამოჰხატოდა პირის-სახეზედ; ისე ხმას არ გამცემდა, რომ თავის უპირატესობა არ შეემჩნევინა ჩემთვის, ისე ხმას არ ამოიღებდა, რომ მწვავად, გესლიანად არ ეჩხვლიტა!... ყოველი იმისი სიტყვა, ყოველი იმისი ლაპარაკი, ყოველი იმისი საქციელი ჩემ შესახებ იყო, ვითომც ზნეობით ამაღლებულისა, უჩირქო ყოფაქცევის ადამიანისა სულითა და ხორცით დაცემულისადმი!...

მე ვხედავდი ყველა ამას და არც თითონ ის ცდილობდა დაემალა ჩემთან, ვგრძნობდი, რომ მე იმაზედ ბევრით, მაღიან ბევრით მაღლა ვიდექ და უნდა ამეტანა მისი საქციელი, რადგანაც მომხრე, თანამგრძნობელი არა მყვანდა.

სოფიო, მართალია, უწინაც ამაზედ უკეთ არ მექცეოდა,

მაგრამ მაშინ ჩემი საკუთარი ოთახი მქონდა, განმარტოებას მაინც შემეძლო, მაგრამ ეხლა ოთახიც-კი წამართვეს!

სადაც ოდესმე ისე მიყვარდა სიმარტოვე, ოცნება, მოსვენება, სადაც შემოსვლას ვერავის შეეძლო, იქ ეხლა სოფიო თავისუფლად შემომეჭრებოდა და მთელი დღეების განმავლობაში არ მასვენებდა.

თითონ პროფირიც-კი იქამდის გამოიცვალა, რომ ყოველი პატივის-ცემა ჩემდამი დაჰკარგა და ისე მეპყრობოდა, როგორც უფალი თავის მონას.

ყოველ ნაბიჯზედ მატყობინებდა, რომ ის პატრონია ჩემი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, მოსვენება, ამოსუნთქვაც კი, იმაზედ არის დამოკიდებული და მაგასთან ისე მკაცრად, ისე უზრდელად, რომ კაცს ერთი-ორად მომეტებულად აგრძნობინებდა, ერთი-ორად მომეტებულად გულს უხეთქავდა.

ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება რაოდენსამე ხანს და, ისეც თავ-მობეზრებულს, თან-და-თან უფრო მიძნელდებოდა ცხოვრება, მიგუბდებოდა სული.»

თავი XI

«ერთს საღამოს სოფიო შემოვიდა ჩემს ოთახში, წამოწვა ჩემს ლოგინზედ და მკაცრად დაიწყო:

«— ახლა, როდემდის უნდა აწვალო ჩემი ძმა?»

მე შევხედე იმას და ეს სიტყვები იქამდის საძაგლად მეჩვენენ, რომ გაჯავრებაც კი ვერ მოვახერხე და წყნარად ვუპასუხე:

— ეგ კითხვა მე უნდა მომეცა, მხოლოდ შენი ძმის ად-

გილს ჩემი თავი უნდა მეგულისხმნა და შენვე მკითხავ?..

— კმარა სისულელე! მკაცრად გამაწყვეტინა იმან და ამ სიტყვებმა მთლად ამანთო და უკანასკნელი მოთმინება დამაკარგვინა.

გონება არეული მთლად ვცახცახებდი და ანგარიშ მიუცემლად მივარდი სოფიოს, რომელიც ჩემს მიახლოვებაზედ ფეხზედ წამოვარდა და გაფითრდა.

— როგორ მიბედავ მაგ ლაპარაკს, ურცხო, უსირცხვილოვ! და მეტი ვეღარა მოვასხერხე-რა.

შეჭველია, საშინელი სახე მედო, რადგანაც სოფიომაც ვეღარა გაბედა-რა და მხოლოდ რაღასაც ბუტბუტებდა.

— გადი, გაეთრიე აქედგან! დავუყვირე და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც სოფიომ წყნარად თავი მოიხარა და ტუსტუსით გავიდა.

მე ჯერ კიდევ ვმღელვარებდი და გული ვერ მომებრუნებინა, როდესაც ისევ კარები გაეღო და ჩემდა გასაკვირველად ისევ სოფიომ შემოყო თავი და ისე შემოვიდა თითქოს არა მომხდარიყოს-რა.

— მე თქვენ აღგიკრძალეთ ჩემს ოთახში შემოსვლა, რადად მოდიხართ?

— ძალიან ბატონობაა, თქვენმა მზემ! მიპასუხა იმან. — ჩემის ძმის სახლში შესვლას თუ გასვლას როგორ აღმიკრძალავ?

— თქვენი ძმის სახლში არც გიკრძალავთ, მაგრამ ჩემს ოთახში კი არ შემოგიშვებთ! გესმისთ თუ არა: არ შემოგიშვებთ.

— აქ ყველა ოთახები ჩემი ძმისაა. წყნარად გაიმეორა იმან და მოიკეცა კუშეტკაზედ.

მე მაშტერებდა იმისი თავ-ხედობა და ასე ჩქარა იმ შიშიდგან ამ გაამპარტავნებამდისინ მისვლა! უეჭველია პირველის შეკრთომის შემდეგ იმან გადასწყვიტა, რომ უბრალოდ შაეშინდა და მე სრულიად მოსარიდებელი არ ვიყავ.

— ჩვენგან ერთ-ერთი უნდა გავიდეს ამ ოთახიდგან. გადაწყვეტით ვუთხარ მე და დავუმატე: — მე არა მსურს თქვენთან ერთს ოთახში ყოფნა.

— მაშ თქვენ მიბძანდით, მიბძანდით სადაც გნებავსთ და მე კი უნდა გამოგიტყდეთ, აქაც ძალიან კარგადა ვარ. სთქვა ეს და გასწორდა, რომ უფრო მოსვენებით დამჯდარიყო.

უკანასკნელის ოთახსაც მართმევდენ, იქაც შემომეჭრენ. მეტი ღონე აღარ იყო უნდა დამეთმო და ამისთვის გამოვბრუნდი, მაგრამ იმავ ადგილზედვე გავჩერდი, რადგანაც კარებში პროფირი გამოჩნდა.

— სად მიეჩქარები, მკითხა იმან და დამიწყო ყურება.

— წარმოიდგინე, ოთახიდგან მაგდებს! წამოიძახა სოფიომ.

— როგორ თუ გაგდებს? შეიჭმუხნა წარბები პროფირმა.

— ასე იძახის, რომ ჩემი ოთახიაო!.. თითქოს ოთახიც და მთელი სახლიც შენი არ იყოს!

პროფირმა ამოიოხრა და მოიბუზა. სოფიოს ხმაზედ დაატყო, რომ შფოთი უნდა აშლილიყო და ამ გვარი შფოთისა კი მეტად ეშინოდა იმას.

— მარის როგორ შეუძლიან შენის სახლიდგან გამაგდოს? დაიწყო ისევ სოფიომ, მაგრამ, რადგანაც პასუხი ვერ მიიღო, ისევ იმანვე დაუმატა:

— არ გესმის?... იქნება შენგანა აქვს ნაბძანები? მკაცრად და

გარკვევით წარმოსთქვა სოფიომ და ლოყები წითლად წამოუჭვერდა: — არ გესმის, შენ გელაპარაკები?

— რა ვქნა, სოფიო!.. მე როგორ ვეტყვი, როგორ მივცემ მაგის ნებას? საწყლად დაიწყო იმან და მომიბრუნდა:

— რა არის ქალო, რომ ჩემს დას მოსვენებას არ აძლევ?..

მე პასუხი ვერ მეპოვა, რადგანაც ისე უსამართლოდ მეჩვენა პროფირის სიტყვები.

მე შევხედე იმას, მხრები ავიწიე და მეორე ოთახში გაველ.

პროფირმა მოხურა კარები და და-ძმამ ჩუმად ლაპარაკი დაიწყეს. ეტყობოდათ, რაღაც არჩევაში იყვნენ. კარგა ხანმა გაიარა, სანამ კარები გაიღებოდა და საშუალებს მომეცემოდა ჩემს ოთახში დავბრუნებულიყავ.

ორნივ გამოვიდნენ, ორთავ ჩემს გვერდით გაიარეს. პროფირის თავი ჰქონდა დახრილი და აშკარად ეტყობოდა, რომ პირს მარიდებდა. ამის მაგიერ სოფიოს თავი მაღლა ჰქონდა აწეული, სახე უბრწყინავდა და რაღაცა გამომწვევი გამარჯვების კმაყოფილება დასთამაშებდა. რა კი მე გამისწორდა, შემომხედა, ტუჩები როგორღაც აუთამაშდა, დაეპრანჭა, თითქოს უნდა ეთქვა: ცოტაც დამაცადე და გიჩვენებო!

მე გავადევნე თვალი და უნებურად გავიფიქრე: «რა განუზრახავსთ, რომელის ახალ ბოროტებისთვის მიუმართავთ?»

მე დავფიქრდი ამ საგანზედ და გადაწყვეტით წარმოვსთქვი: — მაშ გგონია, რომ გამარჯვება შენ დაგრჩება?.. ვნახოთ, ვნახოთ, მართლა იმოდენი ღონე გაქვს, რომ დამძალო?

შევედი ჩემს ოთახში და ჩაცმული ჩავწექ ჩემს ქვეშ-საგებში.

სანთლის შუქი მიშლიდა. მე მიყვარდა ბნელაში ოცნება და ამისთვის სანთელი გავაქრე.

კარგა ხანს არ მეძინა და სიამოვნებით შევსცქეროდი მთვარის შუქს, რომელიც გაღებულის ფანჯრებიდგან ნაზს სხივებად შემოწოლილიყო. ბაღჩიდგან, რომელიც იქვე იყო გამართული, ყვავილების სუნი ტრიალებდა და ყნოსვას ატკბობდა.

მე ოცნებას ვეძლეოდი, არ ვიცი ყვავილების სურნელებამ იმოქმედა ჩემზედ, თუ საზოგადოდ დავიღალე მთელი დღის მოუსვენრობით, თავს ბრუ დამესხა და წყნარ-წყნარად ბურანში წავედი. აშკარადა ვგრძნობდი, რომ არ მეძინა, თვალები ვერ მომეხუჭა, მაგრამ ბალიშისთვის თავი ვერ მომეშორებინა, ვერ გავნძრეულიყავ. მთვარის შუქს, რომელიც სახეზედ მომადგა, აშკარადა ვხედავდი, ყვავილების სუნს აშკარად ვგრძნობდი, სკამს, სტოლს, ყოველს საგანს, რაც ოთახში იყო ყველაფერს ვარჩევდი, მაგრამ იმათთან მისვლა, რომ მომეწადინა, ვერ შევსძლებდი. ვიწექ გაუნძრევლად და ვფიქრობდი, რა მომდიოდა, რად ვიყავ ასეთს მდგომარეობაში?.. ცოტა ხანმაც გაიარა, წარმომიდგა, რომ ვკვდებოდი და შემეშინდა. მე მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ამაოდ ვცდილობდი ტუჩების დანძრევას, მინდოდა გამოვარდნილიყავ და გავქცეულიყავ, მაგრამ თითქოს საგებელზედ ვიღაცას დავეკარ... ერთბაშად ყურებმა დამიწყეს უცნაურად წივილი და ჩქარა გავარჩიე სხვა-და-სხვა ზარის ხმა, რომლებსაც თითქოს იქავე რეკავდენ... ცოტა ხანმაც გაიარა და საშინლად დავმძიმდი. თითქოს ძარღვებში სისხლის მაგიერ ტყვია ჩამასხესო. გულზედ მომიჭირა, რაღაცა მახრჩობდა და ყოველს ღონისძიებასა ვხმარობდი დამეყვირნა, გავნძრეულიყავ...

ამ წვალებაში ვიყავ, როდესაც ოთახის კარები შემოეღო

და იქ გამოჩნდა პროფირის სახე, რომელსაც ხალათი ჩაეცვა, თავი თეთრის ხელსახოცით გადაეკრა და ეშმაკს დამსგავსებოდა. ის შესდგა რამდენისამე ხანს, ყური დამიგდო და მას შემდეგ წყნარად გამოსწია ჩემკენ. მე მეგონა, რომ გული ამოვარდნას მიპირებდა, ისე მალზედ მიცემდა. მე ვცდილობდი მეთქვა პროფირისთვის, შენიშნებინა, რომ არ მომკარებოდა, მაგრამ ის მაინც მიახლოვდებოდა.

ნახევრად მოკუყულს თვალებში რაღაცა უცნაური ბოროტი ცეცხლი ენთებოდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა და მალზედ სუნთქავდა. პირისახეზედ რაღაცა პირუტყვული წადილი უთამაშებდა და ლოყებზედ ალმური ასდიოდა.

ის მოვიდა, დაიხარა თავი და ჩაცივებით დამიწყო ყურება, ისეთის თვალით, რომელიც თითქოს შეჭმას მიპირებდა.

აგერ პროფირის სახე შეინძრა, და წყნარ-წყნარად დაიხარა. ის მიახლოვდებოდა, ვგრძნობდი მის სუნთქვას და საშინელს ზიზღს აღმიძრავდა. კიდევ წუთიც და გახურებული ქშენა აშკარად ვიგრძენ. წუთიც და იმის ულვაშები, ნოტიო, სველი, შეეხო ჩემს ტუჩებს... ამ წუთს აღარ ვიცი რა ვიგრძენ. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, საშინლად დავიყვირე და გულ-გახეთქილი ზეზედ წამოვარდი.

პროფირმა ხმა არ გამცა, მომხვია ხელები და ისურვა ჩემი დამორჩილება, დამცირება.

მე ვცდილობდი ხელიდგან გამოვსხლტომოდი გამხეცებულს, მაგრამ პროფირმა მაგრად ჩამავლო ხელები და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა წავექცე.

ჩვენ ვიბრძოდით შეუდგომლად, დაუსვენებლად, მაგრამ ჩქარა ვიგრძენ, რომ ღონე მღალატობდა და გულის ხეთქით წარმომიდგა იმის საზიზღარი სახე, დამჭკნარი ტუჩები და თამ-

ბაქოს ბოლოით გაყვითლებული ულვაშები, რომელიც უნდა ხელახლად შემომხებოდა.

მე სრულიად გადავიწყვიტე ჩემს თავზედ იმედი, მაგრამ მომაგონდა, რომ ადამიანი ვიყავ, რომ ასე საზარლად მამცირებდნენ და უგანასკნელი ღონე მოვიკრიბე, გავიბრძოლე და პირველს ხელიდგან დავუსხლტი.

ანგარიშ მიუცემლად, ავარდი ფანჯარაში და გადავხტი.»

თავი XII

კედელი მაღალი არ იყო და არც კი წავქცეულვარ... მაშინვე გავიქეც ქუჩისაკენ, ბაღის კედელზედ გადავიჭერ და პირველს შემხვედრს კაცს მივუბრუნდი:

— მიშველეთ, დამიფარეთ, დამიხსენით!

იმან შემომხედა, თანაგრძნობით მომიბრუნდა, მანუგეშა, მსწრაფლად ფაიტონს დაუძახა, რომელშიაც ჩავსხედით და უთხრა:

— სასტუმროში!

ჩვენ მივედით სადღაც, მოგვცეს ოთახი და როდესაც შევედით, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ჩემი უცნობი სამხედრო წოდების ყმაწვილი კაცი იყო.

პირველად მაშინ ვიგრძენ სიმარტოე ყმაწვილ-კაცთან და პირველად ნათლად წარმომიდგა, რა საცოდავები, რა უპატრონონი ვართ ქალები!

შესვლისათანავე ჩემმა უცნობმა მოითხოვა შამპანსკი, გადიგრიხა ულვაშები და მომიბრუნდა:

— შენც ხომ დალევ, ჩემო გეგლუცო?

ეს სიტყვები მეწყინა, რადგანაც მე იმისაგან ძმობას, შემწეობას მოველოდი, მეგონა ადამიანი ადამიანს გამომესარჩლებოდა, მიხვდებოდა ჩემს მდგომარეობას, გამომიშვერდა სანუგეშოდ ძმურს ხელს და ის კი შანპანსკით აპირებდა ჩემს გართობას!?.

იმისმა საქციელმა მეტად გული მატკინა, მეტად დასამცირებლად დავინახე ჩემთვისაც, იმისთვისაც და მთელის კაცობრიობისთვისაც!..

ნუ თუ ყველანი ასეთნი არიან, ყველა მარტო პირუტყულის მოძრაობით ხელმძღვანელობს?! ვკითხავდი ჩემს თავს და გული სისხლით მევსებოდა, ნაღველა მისივდებოდა.

მე მოვაგონე ყმაწვილს კაცს, რომ მე უპატრონო, დევნულმა ქალმა იმიტომ მივმართე ამ ყმაწვილ-კაცს, რომ გამომესარჩლებოდა, დავეფარე უსამართლობისგან და არა იმისთვის, რომ მასთან სასტუმროში შანპანსკი მესვა.

— ე, ჩემო კარგო, უზრუნველად მიპასუხა იმან:—ღირს მაგაზედ ფიქრი? ამ სოფლად ყოველისფერი ამაოა!.. მერწმუნე, სჯობს ყველა დავივიწყოთ.

ამ სიტყვებზედ ურცხვად მოვიდა ჩემთან და ხელის გადახვევას ლამობდა! მე აღარ ვიცოდი, რა მექნა ურცხვისთვის, აშკარად ვხედავდი რომ მის წინ ხვეწნა, მუდარა, საბუთი ყველაფერი ამაო იყო, მისთვის ქალი მხოლოდ სათამაშო დროს გასატარებელი საგანი იყო, ისეთი საგანი, რომლის წინაშეც თავის შეკავება უბრალო დროს დაკარგვა, გამოუცდელობა იქნებოდა.

ის იყო კაცი, ყოველის იმ შეხედულებით და მიმართულებით, როგორც უმეტესი ნაწილი ამ წოდებისა.

როდესაც პროფირი ამავე გვარად მამცირებდა და მე

თავის სათამაშოდ, თავის სიამოვნებისა და გართობისა-თვის გაჩენილად მიყურებდა, ეს კიდევ ისე საწყენი არ იყო, როგორც ჩემი უცნობის მოქმედება. პროფირ იყო მო-ხუცებული, სულელი, ჭკუა და გონება გამოცლილი და მასთან ისეთი მახინჯი, რომ ყველა ქალს შეზარავდა მისი შეხედვა,— და ჩემი რაინდი კი იყო ყმაწვილი, ტკბილი მოსაუბრე და არა ულამაზო... მას ყოველთვის შეეძლო ეპოვა ისეთი ქალი, რო-მელიც სიხარულით მისცემდა თავის გულს, შესწირავდა სი-ცოცხლეს და მასთან შაერთებას ბედნიერებად ჩასთვლიდა.. მაშ რადა ამოქმედებდა ამ უმგზავს ასე საზიზღრად?!..

აშკარადა ვხედავდი, რომ აქ თუ მკაცრად არ მოვქცეუ-ლიყავ, ვეღარას გავხდებოდი და ამისთვის მივიღე რამდენადაც შემეძლო განრისხებული სახე და მტკიცეთ, გადაწყვეტით ვუთ-ხარ:

— გთხოვთ, აქედგან გახვიდეთ.

ჩემმა ხმამ და სახემ იმოქმედა. ჩემი რაინდი აღშფოთ-და, გაწითლდა და ბოდიშის ხდა დაიწყო.

— რადა, რას მიბძანებთ?!.

— გადით მეთქი! გავუმეორე უცნობს და მივუთითე კარებ-ზედ.

ჩემმა სიტყვებმა გასჭრა. მთლად შერცხვენილი უცნობი წამოვარდა, ქუდს წამოავლო ხელი, ბოდიშის მოხდით გავარ-და გარეთ. მე დავრჩი მარტო და ჩემს თავს წარსულის ანგა-რიშს ვაძლევდი, როდესაც სასტუმროს ბიჭი შემოვიდა.

— თქვენ აქ აპირებთ დარჩენას?

— ამაღამ, დიაღ.

— ბარგი არა გაქვთ-რა, არ შეიძლება.

— ჩემს ბარგთან რა ხელი გაქვსთ?

— ის ხელი გვაქვს, რომ იცხოვრებთ, იცხოვრებთ და როდესაც ვალი დაგედებათ, ერთს დღეს ადგებით და გადახვალთ... ფული ვიღასა ვსთხოვოთ?

— გეშინიანთ, რომ გაგიქცევი, თქვენს ფულს გავიყოლებ?

— არ გვეშინიან კი, მაგრამ მაგის მაგალითები ბევრი ყოფილა... აგერ, ერთი მაიორი იყო, ოც-და-ათ თუმნამდის დახარჯა, წავიდა და ეხლაც გარბის...

— რამდენი ღირს ნომერი?

— დღე-ღამეში სამი მანათი.

მე გამიკვირდა ასეთი ფასი, პატარას, უწმინდურს და მოუწყობელს ოთახისთვის, მაგრამ ბიჭის თავიდგან მოშორება მინდოდა. ჯიბეში რაოდენიმე ფული გამომყოლოდა და მე მივეც ნომრის ფასი, მაგრამ ბიჭი ფულს ხელში ატრიალებდა და თითქოს კიდევ რაღაცას ელოდა.

— რაღა გინდა? მოუთმენლად ვკითხე მე:—ნომრის ქირა ხომ წინათვე მოგეც.

— ბილეთი გაქვსთ?.. სასტუმროებს სასტიკად აღკრძალული აქვს, რომ უბილეთოდ არავინ დააყენონ.

მე არ მესმოდა რა ბილეთს მეკითხავდა, რად მინდოდა ბილეთი? ცოტა ლაპარაკს შემდეგ, მხოლოდ ეს გავიგე, რომ რაღაცა ქაღალდს მთხოვდენ, ურომლისოდაც არ მაყენებდენ.

ვუსწორდებოდი სახლის პატრონს, არასოფერს ვაკლებდი და ჩემს ვინაობასთან რაღა ხელი ჰქონდათ?.. მაგრამ, რადგანაც ბიჭის მოშორება მინდოდა, სიცრუეს კი დავიწყე.

— ხვალ გადმოვიტან ბარგს და ჩემი ბილეთიც იქ არის.

— უეჭველად ხვალ მაინც მოგვეცით ბილეთი, თორემ ცუდი იქნება... მაგისთვის დიდი შტრაფი გვაქვს დადებული... ხვალ უთუოდ იყოს ბილეთი.

— კარგი, კარგი, ვუპასუხე კარის მიხურვით გახარებულმა, რადგანაც მეტი ძალა რომ დაეტანა, სწორეთ გითხრათ, იმ შუაღამისას აღარ მეცოდინებოდა, სად წავსულიყავ.

ძლივს დავრჩი მარტოკა და ძლივს მომეცა საშუალება ჩემს მდგომარეობას დავკვირვებოდი. ქმარს გამოვექეც, წამოვედ, მაგრამ რა მომელოდა? ცოტა საფიქრელი არ იყო.

ნათესავებთან ვერ დავბრუნდებოდი, სამშობლო არა მყვანდა, რადგანაც დედის ადგილი დედი-ნაცვალს ეჭირა, მამა კარგა ხანი იყო, რაც მომიკვდა და სხვებს კი რა გული შესტკიოდათ? ისინი ისე მიყურებდენ, როგორც ერთს უბედნიერესს, როგორც მდიდარის კაცის ცოლს, რომელსაც ეს ცხოვრება უზრუნველ ედემად ეშლებოდა.

გარეშე პირებს?.. მართალია ქვეყანაში კეთილი ხალხიც ბევრია, მაგრამ რა ვიცოდი, რომ პირველი შემხვედრი ზემოთ ნათქვამს უცნობზედ უარესი არ იქნებოდა?

ძნელი იყო ჩემი მდგომარეობა, სახსარი არსადა სჩანდა და ქმართან დაბრუნებას კი სიკვდილს ვირჩევდი.

ამ გამოუსვლელს აზრთა ხვეულებში დავფათურებდი, როგორც უსინათლო უდაბნოში, ვეძებდი გზას, საშველს და ყველგან კანონი, სამართალი და რაღაცა დებულება მეფეთებოდა, რომელიც კაცს მუშაობის საშუალებასაც კი უსპობს.

ასე გაიარა იმღამემ, რომ თვალი არ მომეხუჭა, და ისევ იმ ადგილს ვიჯექ, სადაც პირველად დაჯდომა შემემთხვა.

ის იყო მზემ წვერი ამოჰყო, როდესაც ჩემს კარებთან რაღაცა ხმაურობა, წყნარი ჩურჩული გაისმა და ცოტა ხნის შემდეგ ბიჭის ხმა გავიგონე:

— ჩაის არ მიირთმევთ?.. სამოვარი მზად არის.

— არ მინდა. ვუპასუხე მე და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩურჩული გამეორდა და რაღაც წვრიალი შემომესმა და ამ ხმამ რაღაცა უსიამოვნოდ გამირბინა მთელს სხეულში. გავიგონე იმავ ბიჭის ხმა.

— მაშ კარები გააღეთ, ოთახი უნდა დავალაგო.

მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებითი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, თორემ ასე ადრე ოთახის დალაგება რა უნდა ყოფილიყო და ვერც თითონ ბიჭი გაბედავდა ჩემს დაუ-მაუმახებლივ შემოსვლას.

მეტი ღონე არ იყო უნდა კარი გამეღო. მაგრამ მაშინვე უკან მოვაწყდი!.. ჩემ წინ იდგა რამდენიმე პოლიციელი და იმათ შორის სოფიო!

— მადლობა ღმერთს, რომ გიპოვნეთ, შე გიჟო, დასაზმელო შენა! დაიძახა იმან შემოსვლის უმალ და მიუბრუნდა პოლიციელებს:— წამოიყვანეთ.

პრისტავი წამოდგა წინ და მკითხა:

— თქვენა ხართ მარიამ პეტრეს ასული, მეუღლე პროფირ—შვილისა?

— დიაღ, ვუპასუხე მე.

— რას ელაპარაკებით? შეუტია პოლიციელს სოფიომ.— გეუბნებით გიჟია, და უნდა წამოიყვანოთ.

— ბატონო, ესენი სრულიად დალაგებით ლაპარაკობენ და... დაიწყო პრისტავმა, მაგრამ სოფიომ არ გაათავებინა და დაუყვირა:

— გიჟია მეთქი, გეუბნებით, გიჟი!.. თქვენ ლაპარაკის ნება არა გაქვთ, ბძანება უნდა აღასრულოთ.

პრისტავმა შახედა სოფიოს, რომლის საქციელიც ამ კაცსაც კი საზიზღრად ეჩვენა, მაგრამ აღარა უპასუხა-რა და მე მომიბრუნდა:

— ნაბძანები მაქვს, დაგიჭიროთ...

მე არ მესმოდა რასა ლაპარაკობდენ, რისთვის მეძახდენ გიჟს, რად მიჭერდენ, როდესაც დანაშაული არა მქონდა-რა და დაბნეული შევყურებდი ხან ერთს და ხან მეორეს.

— რისთვის მიპირებთ დაჭერას, რა დამიშავებია? ბოლოს ვკითხე მე.

— მაგას იქ გაარჩევენ. მიპასუხა მბძანებელმა და დაუმატა:— წამობძანდით.

— სად წამოვიდე, რათა, რა გინდათ ჩემგან?.. მე არ წამოვალ. დაფანტვით ვუპასუხებდი.

— არ შეიძლება. უნდა წაგიყვანოთ.

— რას ელაპარაკები? შეუტია ისევ სოფიომ.—წამოიყვანე-და რაღას უყურებ?

— როგორ წამიყვანს?..

— ძალით. ბოროტად მიპასუხა მულმა.

— დიაღ, თუ არ დამყაბულდებით, იძულებული ვიქნები... აგრე მაქვს ნაბძანები.

— ნაბძანები? ვისგან?.. ჩემი ქმრისგან?.. განა იმას რა უფლება აქვს?..

— თქვენის ქმრისგან კი არა... აღარ გაათავა პოლიციელმა და სიტყვა გადაასხვაფერა:—მოდიხართ თუ არა?

— არასოდეს.

— მაშ ბოდიშს მოვიხდი. მიბრუნდა კარისკენ და დაიძახა: —შემოდით!

რამდენიმე პოლიციელი, რომელნიც შემოცვივდენ, მომეხვივნენ და ძალით წაყვანას მიპირებდენ.

— რას ჩადით, როგორ მიბედავთ! წარმოვსთქვი და გონება დაკარგული დავეცი...

ეს შეურაცხყოფა-და მაკლდა, რომ უკანასკნელი მალაც მომსპობიყო...»

თავი XIII

«როდესაც გამოვფხიზლდი, ჩემი თავი საავადმყოფოში ვიხილე. დასუსტებული, უძლური ქვეშსაგებზედ ვიწექ და განძრევის თავი აღარა მქონდა.

ჩემს გარშემო ვიღაცა ავად-მყოფები, გძელის ხალათებით, ფერ-მიხდილნი დადიოდენ. საკვირველი ეს იყო, რომ ის ავადმყოფები უცნაურად იქცეოდენ, ზოგნი მათგანი უმიზეზოდ იცინოდა, ზოგი ტიროდა, იფშვნეტდა ხელებს, სცემდენ ტანს და ვინ იცის, რას არ სჩადიოდენ.

ზოგნი კიდევ დადიოდენ წინ და უკან ღრმად ჩაფიქრებულნი და განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ რაღაზედაც ტუტუნებდენ.

ერთი ყმაწვილი ქალი, რომელსაც თვალები ამღვრეოდა და მწარედ ჩაფიქრებული იყო, მომიახლოვდა და მომესალმა.

მერე შესდგა, შეშინებული თვალები მიაშტერა ერთს ადგილს, ცახცახმა მოუმატა და ხელი ერთს მხარეს გაიშვირა. ისეც ფერ-წასული, სრულიად უსიცოცხლოს დაემგზავსა და შიშით წარმოსთქვა:

— აგერ!.. აგერ... ლიზა!.. ჩემკენ მოდის... მოწამლვას მიპირებს... მეშინიან, მეშინიან... ა-ა!.. დაიყვირა იმან მაღზედ და შემომიტია, მომწვდა და დამიწყო ნძრევა.

— შენა ხარ ლიზა, შენა?!. შენ დამღუპე, შენ მიპირებ მოწამლვას?!

მე საშინლად შემეშინდა და ყვირილი დავიწყე.

შემოცვივდენ მცველები, სწვდენ საცოდავს, გადაცვეს რა-ღაც გძელ სახლებიანი პერანგი, რომლითაც შეჰკრეს. ავად-მყოფი არა დგებოდა, იბრძოდა და ყვიროდა, მაგრამ მცველებ-მა ერთბაშად შეასხეს წყალი და სურათი გამოიცვალა. გაჭირვე-ულებული უცებ შეკრთა, დაიწყო ხვეწნა დ წარმოუთქმელმა შიშ-მა სახე დაუმახინჯა, მაგრამ იმის ხვეწნას ყურს არავინ უგდებ-და და გაუთლელი, უგულო მოსამსახურეები დაუდევრად მიათ-რევდენ, თითქოს მათ ხელში ავად-მყოფი კი არა, რამე უგრ-ძნო და უსულო საგანი ყოფილიყო.

ქალს ხმა ჩაუწყდა, რადგანაც ტირილმა, წყვეტებამ და შიშმა სრულიად ღონე გამოაცალა და პერანგის მაგრად მოჭე-რილს სახლებს, მეტად შეეკუმშა გულის ფიცარი, სულს აგ-მენდინებდა და სუნთქვას უშლიდა. ეხლა ხვეწნის მაგივრად მარ-ტო კვნესა მწარედ ტანჯულისა მოისმოდა-ღა.

მეტად შემზრალდა უბედური, მეტად შესაწყალებელი იყო, რომ მის წამების მნახველი გაჩუმებულს მაყურებლად დავრჩე-ნილიყავ.

მე წამოვარდი, მივედ მოსამსახურესთან და ხვეწნა დავუ-წყე, რომ პერანგის სახლები შემლილისთვის ცოტაც არის მოეშვათ, შეემსუბუქებინათ მისი მდგომარეობა.

— რაო? მკაცრად შემომიტია ერთმა მცველმა, დამიბრიალა თვალები და მიუბრუნდა ამხანაგს: — კუზმა, პერანგი მოიტანე ერთი, ამასაც გადავაცვათ.

ამ გვარს საქციელს პირველად ვხედავდი, თუმცა მთელს სიცოცხლეში კაცობრიულად არავინ მომქცევია. აქ ისე მეპყრო-ბოდენ, როგორც პყრობილს, რომლის საკუთარი სურვი-

ლი, წადილი მოსპობილი უნდა ყოფილიყო და ყოველი კაცობრიული გრძნობა დახშული.

მე ჯერ კიდევ ზარ-დაცემულსავით ვიდექ და გონებაზედ ვერ მოვსულვიყავ, როდესაც მცველმა ხელ-ახლად შემომიტია:

— წადი, წადი შენს ადგილზედ, თუ შენც ისევე არ გინდა.

მე დავინახე, რომ ამ უგულოს, უზრდელს და მეტადრე თავის დანიშნულებისთვის მოუმზადებელს ხალხზედ არავითარს გონივრულს და სამართლიანს სიტყვას გავლენა არ ექნებოდა და გაჩუმების მეტი არა მრჩებოდა-რა.

მე გადავწყვიტე, რომ, რა წამს ექიმი მოვა, შევატყობინებ ჩემს მდგომარეობას, გავაგებინებ ჩემს ყოფას და ჩემს განთავისუფლებას დავაყაბულებ.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ექიმების მთელი კომისია შემოვიდა და მათ შორის ერთი გაბღინძული კაცი, მბრძანებლის კილოთი მოლაპარაკე მოვიდა ჩემთან, მიუბრუნდა მეორე ექიმს და ხელით ჩემზედ აჩვენა:

— საინტერესო სუბიექტია!.. კაცი შეშლას ძნელად შეამჩნევს, მაგრამ ხანდისხან კი იმ სიბრაზემდის მიდის თურმე, რომ აღარავის ინდობს.

მე მივხვდი, რომ ესეც გიჟადა მთვლიდა.

— ბატონო, მკურნალო, მე გიჟი არა ვარ, დამიჯერეთ... ქმარი არ მიყვარს, გამოვექეც და... დავიწყე პირ-და-პირ, მაგრამ უფროსმა ექიმმა გამაწყვეტინა.

— კარგი, კარგი, ჩემო კარგო, დამშვიდდი... ისე დაიწყო იმან, თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდა და მხოლოდ იმისთვის მთანხმდებოდა, რომ არ გავჭირვეულებულიყავ.

— გეუბნებით, რომ გიჟი არა ვარ... სრულიად კარგად ვარ!...

— მე არ ვამბობ, რომ გიჟი ხარ... დამშვიდდი ჩემო კარგო!.. მოისვენე...

— არ მინდა დამშვიდება, არ მინდა მოსვენება!... გამაწყვეტინა ექიმის სიტყვებმა.— თქვენ ამბობთ, რომ გიჟი არა ვარ და საგიჟეში კი მამწყვდევთ?.. რა უფლებით, რომელის ძალით?

— სად არის გიჟები, რას ამბობ?.. დამშვიდებითვე მკითხა ექიმმა, თითქოს იქამდის შეეშინდაო, რომ ასე აშკარა მდგომარეობასაც ვეღარ ვამჩნევდი!

— განა აქ არ მოგწონს?.. დაიცადე ცოტა, მოისვენე და გაგიშვებთ.

— მე ეხლავე მინდა გასვლა, ეხლავე წავალ. დავუყვირე მე და ეს სიტყვები ექიმმა უეჭველის სიგიჟის ნიშნად ჩასთვალა, რადგანაც გაუბრუნდა გვერდზედ მდგომს ექიმს და ჩუმად უთხრა:

— საწყალი! რა ყმაწვილია, რა ლამაზი და ასეთი უბედურება!.. მალიან ახირებული ავად-მყოფია... ღირს-შესანიშნი სუბიექტია.

— მართალი გახლავსთ, უპასუხა მეორე ექიმმა, და დაუმატა:— მაგრამ, მე ისე მგონია, რომ ნაზად აღზრდილის ქალისთვის მეტად ძნელი იქნება ამ საერთო სახლში.

— მაგას მართალს ამბობთ.

— მაშ თუ მიბძანებთ, ცალკე ოთახში გადავიყვანთ.

— თქვენ იცით. უპასუხა უფროსმა ექიმს და გაიარა.

ყმაწვილი ექიმი მომიახლოვდა და მითხრა:

— გინდათ ცალკე ოთახში გადაგიყვანოთ?

— მე ის მინდა, რომ გამიშვათ.

— ეგ არ შეიძლება, თქვენ ავადა ხართ.

— არა ვარ ავად, მე სრულიად არა მსურს აქ დარჩენა!

— ეგ არ იქნება, არ შეიძლება.

— მაშ გიჟადა მთვლით?!

— არა, ბატონო, გიჟად კი არა, ავადა ხართ... გადადით ცალკე ოთახში... ავად-მყოფებს მოვუვლი და მეც თქვენთან მოვალ... თანახმა ხართ?

მეტი რა მრჩებოდა, რომ არ დავთანხმებოდი?

მომცეს ეს ოთახი, რომელშიაც ეხლა მხედავ და შენს მოსვლამდის რაც გამოვიარე, იმას თუ მიხვდები, თორემ მე მეასედიც ვერ გიამბე.

მარის ლაპარაკის გათავებაზედ ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მზეს წვერი ამოეყო, და დრო მოახლოვებულიყო, როდესაც საქმისთვის უნდა წავსულიყავი.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პირდაპირ გუბერნატორისათვის უნდა შეგვეტყობინა ეს უწესო და უმგზავსო საქციელი და ვიმედოვნებდით საქმე რიგიანად, ჩვენდა სასიამოვნოდ, გათავდებოდა.

ერთბაშად კარებში რაკუნის ხმა გავიგონეთ და ორნივ ინსტინკტიურად შევკრთით. მე რაღაცამ უსიამოვნოდ მიჩხვლიტა გულში და უეჭველია, მარისაც ესევე არ ასცდა, რადგანაც სიტყვა ნახევარზედ შესწყვიტა და მთლად გაფითრდა.

რაკუნი მოისმა მეორედ და იძულებული ვიყავ კარები გამეღო.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც კარებში პოლიციელი გამოჩნდა და მკითხა:

— თქვენა ბძანდებით ლევან —მე?

— დიაღ.

— მაშ წამომყევით.

— სადა?

— წამომყევით მეთქი. ბრძანებით მითხრა იმან.

— კარგი, მაგრამ სად მივყევართ?

— მაგას იქ შეიტყობთ.

— სად იქ.

— ახ, უსიამოვნოდ და მოუთმენლად წარმოსთქვა იმან, გადიქნია თავი და დაუმატა: — თქვენთან სალაპარაკოდ არცა მცალიან და არც ნება მაქვს.

ვხედავდი, რომ ლაპარაკი ამაო ხდებოდა, უნდა დავმორჩილებულიყავ.

მივედ მარისთან, რომელიც მკვდარსავით იჯდა ლოგინზედ და დაფანტვით შემომყურებდა, გამოვართვი ხელი და გამოვესალმე.

— ნახვამდის მარი! იმედი მაქვს დღესვე მოვალ და გამოგიყვან აქედგან.

მარი შეკრთა, წამოვარდა და ისტერიკულის ტირილით გადამეხვია.

— დაიცა, სად მიხვალ!?. მეც წამოვალ!..

— არა, მარი, ნუ გეშინიან!.. ეხლა ის დრო ხომ აღარ არის, კაცი უმიზეზოდ და უკვალოდ დაიკარგოს. დღესვე ვნახავ ვინც საჭიროა და ყველაფერი გათავდება.

— მე კი ისე მგონია, რომ ჩვენი ნახვა უკანასკნელია! იმედგადაწყვეტით წარმოსთქვა იმან და ისევ მომეხვია.

მე აღარ ვიცოდი რა მექნა და რა მეთქვა. იქავ დავინახე ჩემი მეგობარი ექიმი, რომელსაც ხელი მოვკიდე.

— მარი, აი ექიმი აქ არის... შენ ნუ გეშინიან, თუ გინდოდეს რამე, ამას უთხარ.

— გაძლევთ სიტყვას, რომ ყოველი საშუალება ვიხმარო თქვენს საშველად. წარმოსთქვა ვალერიმ.

— ოჰ, ექიმო!... განა გიჟი არა ვარ, ტყუილად მამწყვდევენ, ტყუილად არ მიშვებენ აქედგან?.. უთხარით, დაამტკიცეთ ჩემი სიტყვები ღვთის გულისთვის.

— შეშლილი არა ხართ, მაგას გამბობ აქა, ვიტყვი ყველგან და გაძლევთ სიტყვას, რომ მაგისთვის მთელი ქვეყნის შემკრა, გადმობრუნება რომ მომინდეს, კიდეც დავამტკიცებ.

— მობძანდით, მეტად მაგვიანებთ. ჩაურთო სიტყვა პოლიციელმა.

— ბევედრებით! მიუბრუნდა იმას მარი.—ერთი საათი, ერთი წუთი კიდევ დამაცადეთ, ნუ წაიყვანთ ლევანს... დამაცადე უღმერთოვ, დავსტკბე მაგის ხილვით!.. რა დაგიშავეთ, რად მართმევთ, რად მაწამებთ?!

— წამობძანდი. ისე დამშვიდებით გამიმეორა პოლიციელმა თითქოს მის წინ არა ხდებოდა-რა. მარი მომეხვია ყელზედ, ჩამეკონა გულში. მე ვეღარ გავნძრეულიყავ, რომ ეს ბედნიერება არ წამრთმეოდა და ისე კიდექ. მაგრამ ვიგრძენ, რომ ვსუსტდებოდი, გული მიჩვილდებოდა.

საკვირველია, თუმცა ჩემ თავს ვარწმუნებდი, რომ ჩქარა უნდა დავბრუნებულიყავ, ჩქარა უნდა შევყროდი მარის, მაგრამ მეც გული მეუბნებოდა, რომ ეს უკანასკნელი ხილვა იყო მარისა. საჭიროდ დავინახე გავშორებოდი მარის, თორემ წუთს შემდეგ რას ვიქმოდი, აღსნა ძნელად-ღა შემეძლო.

უკანასკნელად ძალზედ მოვხვიე ქალს ხელები, ძალზედ მივიკარ გულთან და ხანგრძლივის კოცნის შემდეგ, ერთბაშად გავეშვებინე.

— წავიდეთ, მივუბრუნდი პოლიციელს და გავსწიე კარების-

კენ, სადაც ერთი კიდევ შევსდექ, მოვიხედე მარისკენ და საჩქა-როდ გავედ.

თავი XIV და XV

. . . . *)

თავი XVI

სრულმა ათმა წელიწადმა განვლო, რაც ვებრძოდი ჩემს გრძნობას, სრული ათი წელიწადი გული მიდუღდა მათის გა-დახდის სურვილით, რომელთაც არც ჩემი ყმაწვილ-კაცობა შე-იბრალეს, არც სამართლიანი მოთხოვნა მიიღეს მხედველობა-ში!.. გადალახეს ყოველისფერი, ფეხ-ქვეშ გასრისეს, მხოლოდ იმისთვის, რომ არ ვიყავ ძლიერი და გამოცდილი, ცხოვრე-ბის გარყვნილებას არ შევჩვეოდი. ყოველის ღონის-ძიებით ეცად-ნენ შემზიზღებოდა კაცობრიობაც და მისი დებულებაც და შემ-ძულდა კიდეც.

წამართვეს ყოველისფერი, მოვუძლურდი, დავეცი ჯანით, ხორცით, და როდესაც მოსვენება მეჭირვებოდა, კუნჭულიც ვე-ღარ მეპოვნა, რომ თავი შემეფარებინა, მომეგონებინა წარ-სული და მასზედ წუხარად ამომეკვნესა... ჩემი სახელის და გვარის წარმოთქმისაც კი მეშინოდა, რადგანაც ყველას გაკიც-ხვის ღირსად მიაჩნდა, ყველა ერიდებოდა მას, როგორც სა-ხელს ბოროტის, უწმინდურის, მავნე სულისას!..

ეხლა დავდივარ სოფლიდგან სოფელს, სადაც ხალხს ჯერ იმ დამცირებამდისინ არ მიუღწევია, სადამდინაც ქალაქებში

---

*) ამ ორს თავს ვსტოვებთ, რადგანაც მათი დაბეჭდვა ამ ჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია.

ავტ.

მცხოვრებნი მისულან და იქა ვექიმობ, იქ უწერ საჩივრის ქაღალდებს დაჩაგრულებს, დავრდომილებს... ქვეყანა ჯერ კიდევ სრულიად არ დაცემულა, მასში კიდევ მოიპოვება გულ-კეთილი ხალხი და მათთვის ზრუნვა კი ღირს ზრუნვად, ისინი მანუგეშებენ, დანაღვლილს გულს შვებას აძლევენ...

ერთს საღამოს მივაღწიე ერთს სოფელს, რომელსაც უწინ ისე კარგად ვიცნობდი, მაგრამ ეხლა ყველაფერი გამოცვლილი იყო, ყველას ეცვალა თავისი ფერი, თითქოს ყოველივე გახუნებულიყო.

მთებს, მინდვრებს, ტყეებს დაეკარგათ თავისი შნო, თავისი ლაზათი, თავისი მიმზიდველობა... ნიავიც კი ვეღარ აგრილებდა შუბლს და გამაცოცხლებელს ნექტარს ვეღარა სძრავდა სხეულში. თვით წყალიც კი ვეღარ მოხმუოდა თავისებურად და ნაზის «ნანინას» მაგივრად, მწარედ და ყრუდ გლოვის ხმას გამოსცემდა... რა იყო, რა მომდიოდა, ნუ თუ ყველაფერი გამოცვლილიყო?..

თუმცა ხეობა არ ემგზავსებოდა ვიწრო სამარეს, ოთხკუთხივ ამოჭრილს შავის მიწით და მის მაგიერ ფართო და განიერი ადგილი გადაშლილიყო, ზედ ცხოველები დადიოდნენ, სცხოვრებდენ, მაგრამ ყველა დაღონებული, შეწუხებული, ჩათუთქვილი მეჩვენებოდა. მათ შორის ცოცხალ-მკვდარი მეც ვიყავ, რომელსაც მარტოობა, მთელი სიცოცხლე ერთგვარი, შეუცვლელი მარტოობა ხვედრად მრჩენოდა... ხვალინდელ დღეს ისევ ის, რაც დღეს იყო, მეორე წელიწადს ისევ, რაც პირველს და ყოველთვის ასე, სულ ასე!..

სოფელში არავინა სჩანდა, თითქოს ყველა სახლებში მიკუნჭულიყო, დალალულიყო, და სანთელიც კი ვერ აენთოთ, რომ მის შუქზედ რომელსამე უბედურებას არ მიეგნო!..

დაბნელებული სოფელი უფრო ჩამოუბნელებინა ღურბლიანს ცას, რომელსაც ჭმუნვის მარაგი შავად გადაჰკროდა, თითქოს ზეცასაც მოსწყენოდა ამდენი უსამართლობის ცქერა და ბნელის ზეწარი გადაეფარებინა, რომ წუთის მაინც არის თვალი მოეშორებინა დედა-მიწისთვის...

მე მივედ წყლის პირად და ჩამოვჯექ იმ კიდეზედ, სადაც ჩემს სიყმაწვილეში ყოფნა ისე მიყვარდა ხოლმე, სადაც იმდენი სანატრელი და სიცოცხლით სავსე წუთები გამეტარებინა. წყალი იმ ადგილს მედგრად, დაქანებული, მერე ერთბაშად კლდეს შეწყვეტილი, აქაფებული, გრგვინვით უკუ იღვრებოდა. აქვე ასწრობდა ახლად მოსული ტალღა, რომელიც წინას ეძგერებოდა, შაებრძოლებოდა და დიდ მორევად ტრიალებდა. ეს ადგილი მიყვარდა და... ჩემს ყმაწვილობაში დავცქეროდი, ვუყურებდი ხოლმე მთელის საათობით და რაღაც შიშის გრძნობით თვალი ვერ მომეშორებინა ტრიალ-ტრიალით მიმდინარის წყლისთვის, რომელიც ადგილ-ადგილ ჩაღრმავებულს ჯურღმულს ემგზავსებოდა და თითქოს პირ-დაღრენილი მთელს ქვეყანას შთანთქმას ექადდა.

დავფიქრდი და დავდუმდი. წარსული ბავშვობიდგანვე მოგონებანი თვალ-წინ გამიცხოვლდენ, სხვა-და-სხვა სურათები შესცვლიდენ ერთი მეორეს, ის სურათები, როდესაც გული თითქოს ხან თამაშობს, ლაღობს, ჭაურისავით სუბუქი, აქეთ და იქით დაჰქრის, დანავარდობს, ხან დამძიმებული, დასუსტებული, წყნარად ირყევა და მწარე კვნესას ეძლევა.

ამ ფიქრებში ვიყავ, როდესაც ვიგრძენ, რომ მხარზედ ხელი ვიღამაც დამადო. მე შევკრთი, მივიხედე და ფეხზედ წამოვიჭერ. ჩემს უკან ვიღაცა დედა-კაცი იდგა, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა სახე ჰქონდა?!.. ფერ-მიხდილს, სახე შეშინებულს

უგვანდა, თვალები მოუსვენრად და უსაგნოდ აქეთ-იქით იყურებოდა, გაშლილი თმები ჩამოსცვივნოდა პირისახეზედ და ქარი თავისუფლად უწეწავდა. თეთრი განიერი კაბა მთლად გაჰკროდა გამხდარს და გაკნაჭულს ტანს, რომლისთვისაც დარდსა და ვარამს ძვლებისა და ტყავის მეტი აღარა შეერჩინა-რა.

— მაშ არ მომატყუე, მოხვედ? წარმოსთქვა იმან წყნარად და იდუმალებით; მერე დაიდო ტუჩზედ ხელი და განაგრძო:

— მაგრამ, სუ... არავინ გაგვიგონოს, არავინ შეგვიტყოს... ყოველ ქვას იქით დარაჯები სხედან, ჩვენ გვითვალთვალებენ.

ამ სიტყვებზედ ის შეკრთა და შეშინებულის თვალებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ამ ხმამ პირველში, როგორღაც ტკბილად მიალერსა, წარსული, დავიწყებული სიტკბოება მომაგონა, დაფერფლილს გულში თითქოს ნაპერწკალი გააღვივა.

აღელვებული გავქანდი იმისკენ, მივარდი და მთრთოლვარე მკლავები მინდოდა მომეხვია, მაგრამ მისვლის უმალ ქალმა ხელები მომაგება და შემაყენა. მერე შემომხედა და ზიზღით წარმოსთქვა:

— არა, ეს ის არა ყოფილა!.. ის ყმაწვილი იყო, ლამაზი და... ეს კი ბებერია, მახინჯი.

ამ სიტყვებმა გონს მომიყვანეს, ვიგრძენ, რა უბედურიც ვიყავ და გულში მწვავად რაღამაც გამგმირა, პირში სიტყვა გამიწყვიტა, ქალი გაბრუნდა და მე გაქვავებული შევსცქერდი, ხმა ვეღარ ამომეღო, თუმცა ბაგენი მითრთოდნენ და სიტყვის წარმოთქმა მინდოდა, მენატროდა. კარგა ხანს შემდეგ ძლივს მოვახერხე დამეძახნა:

— უბედურო!.. შესდექ, მომიცადე!..

ქალი შესდგა, ყური დამიგდო, მობრუნდა ჩემკენ და წყნარად მომიახლოვდა.

— ეს ხმა?!. წარმოსთქვა იმან იდუმალებით,—ეს იმის ხმა იყო, ის არის... მაგრამ ვინ ისა?.. ღმერთო, ყველაფერი დამავიწყდა, აღარა მახსოვს რა... ჰო, დიაღ, ის არის, ისა, სიხარულით წამოიძახა ჩემკენ ხელებ გამოშვერილმა, მაგრამ მაშინვე ისევ შესდგა და მწარე განუსაზღვრელმა სევდამ სახე დაუპრანჭა, და წარმოუთქმელის ნაღველით დაუმატა:—არა, არა, ის არ არის!... როგორ არა, რომ ის არის... ის არის, მაგრამ სახე როგორ შეუცვლია?.. რად შეიცვალე, რატომ არ გინდა ნამდვილის სახით მეჩვენო, ჰა? ჩამჩურჩულებდა ცახცახით, რა დავიშავე, რა?.. მწარის მწუხარებით და მდუღარე ცრემლებით გაათავა.

ამ სიტყვებზედ მთელი ჯოჯოხეთი აინთო ჩემს გულში, წარსული აღზნებულს საკირესავით მომედო, სწვავდა გულს, ტვინს, მთელს არსებას. ამ წუთებში თითქოს დარჩენილი მალა მთლად ერთად მოგროვებულიყო, რომ ერთბაშად ჩავებუგე.

— მარი... წამოვიძახე უბედურმა და სიტყვა შემწყდა.

— მარი?! შეკრთა ის. ვინ დამიძახა?.. შენ იყავ? ვისი ხმა იყო? ვისი ხმა გავიგონე?

— ჩემო მარი, ჩემო! ვცადე კიდევ ლაპარაკი, მაგრამ ცრემლები მაღრჩობდა, სული მიგუბდებოდა?

— მარი?.. ვინ მეძახის? მარი მოკვდა, მარი აღარ არის... წყნარად წარმოსთქვა ქალმა, მომიახლოვდა და იდუმალებით მითხრა:—მარი ყმაწვილი იყო—სიყმაწვილე წაართვეს, მარი ლამაზი იყო—სილამაზე მოჰპარეს, მარის ლევანი ჰყვანდა და ლევანი მოსტაცეს... მარი ცოცხალი იყო და სიცოცხლე მოუსპეს!.. აღარ არის მარი, საწყალი მარი!.. აქ საბრალო ქალმა ბეჩავად აიწია მხრები და დაღონებული გაჩუმდა.

— ლევან... ლევან რაღა იქნა... მარის იმანაც დაანება თა-

გი... გაქცა... სად არის ლევან?.. სადა? იქნება შენ იცი?.. ოო, მითხარ, რად მიმალავ? რა დაგიშავე?!. მაგრამ რასა გკითხავთ?.. თქვენც ხომ კაცი ხართ და კაცებს კი გულის მაგიერ ქვა უძევსთ, ყველას ქვის გული აქვს. მარი ჩაფიქრდა ცოტა ხანს და მერე წყნარად წარმოსთქვა:—ჰო, ლევან ხომ წყალში დაიღრჩო, ამ კლდიდან გადავარდა! დაიღრჩო ლევან. სთქვა და გაჩუმდა, დაიდო შუბლზედ ხელი, თითქო რაღასაც იგონებდა.

ვეღარა მომეხერხებინა-რა, გამშრალს სიტყვა ვეღარ წარმომეთქვა. მარტო ერთს გრძნობას შევეპყარ, ერთი გრძნობადა მიკუწავდა გულსა და ღვიძლსა. ეს გრძნობა ის იყო, რომ სრული უბედური ვიყავ.

ერთბაშად მარი შეკრთა და ცახცახი დაიწყო. თვალები რაღაცა ბოროტის ცეცხლით აენთო.

— ლევან! დაიძახა იმან წარმოუთქმელის მწუხარებით.—ლევან! განიმეორა იმან.—ლევან, ლევან! აიმაღლა ხმა და გაჰქანდა წყლისკენ.—აგერ ლევან, აგერ!.. სად მიხვალ, სად მირბიხარ, დამიცადე... ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც მიახლოვდა კლდის ნაპირს და ერთბაშად შესდგა.

— შეშინიან, შეშინიან! უცებ დაიწივლა იმან და ცახცახი დაიწყო.

— მარი, მარი! ძლივს მოვასხერხე მისკენ გაქანება, მაგრამ მაშინვე უნდა შევმდგარიყავ, რადგანაც საცოდავი კლდის ნაპირიდგან ისე გადაიზნიქა, რომ იმის სიცოცხლე ბეწვით-ღა ეკიდა.

— ნუ მოდიხარ, ნუ მოდიხარ?!.. წიოდა ის. მეშინიან, წყალი მღელვარებს, წყალისა მეშინიან!.. არ მომეკარო. დაიწივლა ქალმა და ისე გადაიზნიქა კლდეზედ, რომ მცირედი მოძ-

რაობაც და კედარა დაიხსნიდა-რა.

მე გავქვავდი იმავ ადგილს და აშკარათა ვგრძნობდი, რომ სისხლი მიყინულდებოდა. მტანჯავის გულით ვუყურებდი მარის ყოველ მოძრაობას, ერთის ფეხის წადგმაც და მისი დაღუპვა აუცილებელი იყო. ყოველი სუბუქი ნიავი კაბას უფრიალებდა იმას და მე კი გულს ნაღველით მივსებდა, რადგანაც მასთან ერთად მარის სიკვდილსა ვხედავდი.

ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, რომ მობრუნებულიყო, ვტიროდი, ვკვნესოდი, გულ-ღვიძლში თითქო ლახვარს მიტრიალებდენ, მაგრამ შვება არ მეძლეოდა, მარი არა ბრუნდებოდა.

ის ჩაჰყურებდა ვეშაპისავით შავს მორევს, და რაღაცას თითქო სატრფიალო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. მხოლოდ მაშინ შეინძრეოდა, თუ მის ყურს ხმაურობა რამ მისწვდებოდა და საცოდავად უყვიროდა: მეშინიან, არ მომეკარო! რამდენიმე წუთმა გაიარა ამ ჯოჯოხეთურს მდგომარეობაში, როდესაც ორი ვიღაცა კაცი მომიახლოვდენ და რა მარი იმისთანა განსაცდელში დაინახეს, საშველად გაქანდენ.

მარიმ შემოიხედა, დაინახა ისინი და გაიმეორა.

— მეშინიან, არ მომეკაროთ, არ მომეკ... აქ ქარმა მეტის ძალით წამოჰქროლა, ქალს ფეხი დაუცდა კიდეს და გადავარდა...

წუთს შემდეგ მოუსვენარმა მდინარემ ჩაიხვია...

ცოტა ხანიც და მარი ერთი კიდევ ამოაგდო, თითქოს ჩემთვის უნდა დაენახვებინა და მეტად ეგრძნობინებინა ის ჯოჯოხეთი, რომელიც მაშინ გამოვიარე და საუკუნოდ ჩასძირა, ჩასძირა, რომ თავის ღღეში აღარ გამორებოდა.

ჩემის ცოდვით სავსე კაცებმა, რატომ არ გამიშვეს, რომ მარისთან ერთად ჩემი გულიც დამცხრალიყო, მეც მასთან ერთად საუკუნოდ ჩავლამულიყავ.

დავრჩი მარტოდ და უპატრონოდ, დავრჩი იმისთვის, რომ ყოველ-დღე სიცოცხლე წვეთ-წვეთად მომწამლოდა, მე-გრძნო, როგორ მიახლოვდებოდა სანატრელი სიკვდილი და მასთან ხანი რა მწვავად გრძელდებოდა!.. დავრჩი მისთვის, რომ, როგორც ცოცხალ-მკვდარს გველს მეხოხა, მეხოხა, რო-გორც მიწისგან დაწყევლილს, რომელიც ჩასამარხად პირსაც კი აღარ მიღებდა.

დავრჩი, მაგრამ რისთვის?.. სიკვდილი არ მერჩივნა?..

ასე გაათავა, მკითხველო, თავისი მოთხრობა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოხუცმა, რომელსაც ერთს სოფელში შევხდი ავად-მყოფს და ფრიად დასუსტებულს.

მისმა საუბარმა მწარედ ჩამაფიქრა, სანუგეშო სიტყვაც კი ვეღარ მომეხერხებინა.

ის მეტად უბედური იყო, მეტადა ჰგრძნობდა თავის მწუ-ხარებას, რომ უბრალო სიტყვებს, თუნდა თანაგრძნობითაც ნათქვამს, მისთვის მნიშვნელობა-და რამ ჰქონოდა.

მე განვშორდი მას. კარგა ხანმა გაიარა მას შემდეგ, მაგ-რამ უბედური მოხუცი ეხლაც რომ მაგონდება, გულს შემტაცებს ხოლმე და ჩემს ყურებში მწარედ გაისმის იმისი უკანასკნელი სიტყვები:

— «გადავრჩი, მაგრამ რისთვის?... სიკვდილი არ მერჩივ-ნა?...» იქნება მართლადაც ერჩივნა უბედურს...

მკითხველებს შეიძლება სურდესთ გაიგონ პროფირის და სოფიოს რა მოუვიდათ.

ორმოც-და-ხუთის წლის სოფიომ გათხოვებით გული და-იმშვიდა და პროფირუშკა კი ვიღაც გამოცდილს ქურივს ჩაუვარ-და ხელში, რომელიც საკმაოდ მეცადინეობდა მისი სიმდიდრე მარდათ გაეფლანგა.

ა. მოჩხუბარიძე.

მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი
და
ქართულის სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში.

(დასასრული) *)

ჩვენ ვსთქვით, რომ ქართული სტამბა გაიმართა და საბეჭდავად სრულიად მზად იყო. უმთავრეს აზრად მისის გამართვისა, როგორც წინადაც მოვიხსენეთ, დაბადების წიგნის გამოცემა ჰქონდათ. მაგრამ მზად იყო დასაბეჭდად ეს საღრმთო წიგნი?

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ უწ. სინოდმა ხელ-წერილი ჩამოართვა ბაქარსა, რომ ახლად დაბეჭდილი ქართული საეკლესიო წიგნები გასწორებულ იყვნენ და სრულიად შეთანხმებულ სლავიანურს ტექსტზედ. ამ პირობის შესრულება ძნელი არ იყო; მეფეების არჩილის და ვახტანგის შრომით დაბადების წიგნი, როგორც ვსთქვით, მომზადებული იყო, რაც აკლდა (ზირაქი და მაკაბელნი) ხელახლა ნათარგმნი; რაც ძველადგან (ათონელთა მიერ) ნათარგმნი ეპოვნათ, შესწორებული იყო და განმართულ 1663 წ. და 1681 წ. და დაბეჭდილი სლავიანურ დაბადების ტექსთან შეთანხმებით. მაგრამ ქართულ დაბადებას ჯერ მაინც ბევრი რამ აკლდა: 1) ჯერ კიდევ ბევრი

---

*) «ივერია» № 2, 1884 წ.

განსხვავება იპოვებოდა ქართულ ნათარგმნის და სლავიანურის დაბადების ტექსტთ შორის (ზოგან აკლდა მთელი მუხლი, მთელი წინადადება, სიტყვა, ან მარცვალი და ამ გვარი შეცდომანი მაინც ბევრი დარჩენილიყო); 2) ქართული დაბადება გაყოფილი იყო თავებად, და მუხლებად კი არა, ამიტომ რომ თვით სლავიანური დაბადება არ იყო მუხლებად დაყოფილი და 3) დასასრულ, თვით სლავიანური ტექსტი დაბადებისა, დაბეჭდილი 1663 წელს, სავსე იყო შეცდომებითა, რადგან დაბეჭდვის წინ ეს წიგნები არ იყო შეთანხმებულ ბერძნულ ტექსტთან (70 მთარგმნელთა). რას დაემსგავსებოდა ქართული დაბადების გამოცემა, რომ მხოლოდ სლავიანურ ტექსტზედ გაემართათ იგი?

ბაქარიც და მოსკოვში მყოფი ქართველთ სამღვდელოება გრძნობდა ამას და ამის მიზეზით არჩილის და ვასტანგისაგან მომზადებული ხელ-ნაწერი დაბადებისა მიანდვეს განათლებულს მეფის შვილს ვახუშტის, უკვდავ ქართველთ მემატიანეს, რომ დაეყო ყველა თავები დაბადებისა მუხლებად, «რადგან, ვახუშტისავე სიტყვით, «მას მეფესა არჩილს პირველს (რუსულს) დაბადებასა ზედა გაემართნეს უმუხლოდ, რამეთუ არცა მას აქვნდენ.» ამას უნდოდა შრომა ხანგრძლივი, ძნელი, და მასთან ცოდნა და სიფრთხილეცა. ამისთვის ვახუშტიმ არ მიიღო ეს შრომა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, პირველად «საეროთაგან არა ჯერ არს დიდისა ამისებრთა შემართვად თვინიერ ზედ-მიწევნილთაგან კიდე; მეორეთ, შეუძლებლობისათვის, რათა ხელმეყო და შეუსრული მეტევა; მესამედ, რათა არა შრომის სასყიდლისა წილ წყევა და შეურაცხება მომეღო.» მაგრამ რადგან ბაქარი და სამღვდელონი დაჩემებითა არა ერთ გზის სთხოვდენ, ვახუშტი, «იძულებული სიყვარულისაგან და არა მიმხედველი ზემოთქმულთა და არცა შრომისა ზრუნვასა», უკა-

ნასკნელ დათანხმდა და შეუდგა ამ შრომას და კიდეც, ვგონებთ, შეასრულა იგი. მაგრამ ამ შესწორების დროს ვახუშტი სრულიად დარწმუნდა, რომ საბეჭდავად მომზადებული არჩილის და ვახტანგის ხელნაწერი დაბადება სავსე იყო შეცთომილებითა, რადგან თვით სლავიანური ტექსტი დაბადებისა, რომელზედაც გასწორებული იყო ის ხელთ-ნაწერი, ვახუშტის სიტყვით, «თვინიერ ბერძენთაგან თარგმნილი იყო, არა სწორ; რამეთუ მას ყამსა არა ზედ-მიწევნილთაგან ქმნულ იყო»; მან ნახა «მრავალნი შეცვალებანი და ნაკლულევანი მრთელნი მუხლნი, ლექსნი, სიტყვანი და მრავალნი ასონი და არა ერთ-ორ, არამედ მეტ-ნაკლებნი მრავალნი იყვნენ». ვახუშტიმ უჩვენა ეს ნაკლულევანება ბაქარს და მოსკოვში მყოფ ქართველ სამღვდელოებას და ჰკითხა მათ, დარჩენ ეს შეცდომილებანი, თუ გასწორდენ და ხელახლა იქმნას განხილულ მრთელი დაბადებაო. ამასთან ვახუშტიმ გამოსთქვა აზრი, რომ დაბადება შესწორებულ უნდა იქმნას ბერძნულის, ლათინურის, ებრაულის, სომხურის, ასურულის და ბულგარულის და აგრეთვე ახლად გასწორებულ სლავიანურ დაბადების მიხედვითაო.

აქ საჭიროდ ვრაცხთ ცოტა ხნით შევაყენოთ მკითხველი და პირდაპირის ჩვენის საგნიდგან გადავიდეთ რუსული დაბადების გასწორების და გამოცემის ბედ-იღბალზედ, რომელსაც პირდაპირი გავლენა ჰქონდა ქართული დაბადების გასწორების და გამოცემის ბედ-იღბალზედაც.

სლავიანური დაბადება პირველად დაიბეჭდა ოსტროგსკში 1481 წ. და ხელახლად, თითქმის შეუცვლელად გამოიცა იგი მოსკოვში 1663 წ.; ამ გამოცემაზე იყო შეთანხმებული და გასწორებული, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქართული ხელ-ნაწერი დაბადება, არჩილის და ვახტანგისაგან მომზადებული დასა-

ბეჭდათ. მაგრამ მოხსენებულ სლავიანურ დაბადებას მრავალი ნაკლულოვანება ჰქონდა; იგი არ იყო შესწორებული ბერძნულს ორიგინალზედ, შეცდომებით იყო სავსე, მუხლებადაც არ იყო დაყოფილი. ამისთვის მეთვრამეტე საუკუნეში მთავრობამ ხელი მიჰყო დაბადების წიგნის გასწორებას. პეტრე დიდმან მიანდო (1712 წ.) ეს საქმე თეოფილაკტე ლოპატინსკის, რომელსაც მისცეს თანაშემწენი: მან მართლა აღასრულა მინდობილობა მეფისა; შეასწორა რუსული დაბადება ბერძნულ, ლათინურ ტექსტებზედ; ძნელ ადგილების გასაგებად სარგებლობდენ წმ. მამების და ახალ ევროპიელ სწავლულთ განმარტებით. თუმცა ესენი დაბადების გასწორების დროს ხელმძღვანელობდენ უმეტესად ბერძნული ტექსტით (LXX მთარგმნელთა), მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი მეტად გაირჩეოდა სლავიანურის ტექსტისაგან, გამსწორებელნი სარგებლობდენ სხვა-და-სხვა გამოცემებითა, ვარიანტებითა, რომელნიც უფრო დაახლოებულნი იყვნენ სლავიანურ ტექსტთან; ტობიტის და იუდითის წიგნი გადათარგმნილ იქმნა ვულგატიდგან (ლათინური დაბადება), აგრეთვე მესამე წიგნი ეზდრასი, რომელიც არ იპოვება ბერძნულ ენაზედ, გასწორდა ლათინურზედ; მეოთხე წიგნი მაკაბელთა სრულიად არ იქმნა მიღებული. საზოგადოთ ლათინურ და ებრაულ დაბადებიდგან ძალიან ხშირად სარგებლობდენ. კახუშტის სიტყვით რუსული დაბადება შესწორდა აგრეთვე ასურული და ბულგარული დაბადებით, თუმცა რუსის მეისტორიენი ამაზედ არას იხსენიებენ. ამ ნაირად რუსული დაბადების წიგნი გასწორდა პეტრე დიდის მეფობაში და 1723 წ. მზათ იყო დასაბეჭდათ; მაგრამ პეტრეს სიკვდილის გამო გაჩერდა ეს საქმე. თეოფილაკტემ განაგრძნო შრომა დაბადების გასწორებისა პეტრეს სიკვდილის შემდეგ და 1735 წ. სრულიად მოამზადა დასაბეჭ-

დათ და სინოდიც დათანხმდა. მაგრამ ამავე წელს თეოფილაქტეს მეფის წინააღმდეგობა დააბრალეს და დაატუსაღეს. მისმა მტერმა გავლენიან მიტროპ. თეოფანე პროკოპოვიჩმან არ მიადებინა სინოდს გასწორებული დაბადება და დაარწმუნა, რომ მოხსენებული დაბადება გასწორებულიყო მხოლოდ ბერძნულ 70 მთარგმნელთა ტექსტით. დაინიშნა რამდენიმე კომმისია (იაკობ ბლონიცკი, ვარლაამ ლიაშჩევსკი), რომელთაც სრულიად მოამზადეს დასაბეჭდათ დაბადება 1750 წლამდის და 1751 წელს დაიბეჭდა. ამ უკანასკნელ კომისიებმა თეოფილაკტესგან გასწორებული უმეტესი დაარჩინეს ტექსტში, ზოგი დაბადების წიგნს ძირსა და გვერდზე მიუწერეს, როგორც შენიშვნა.

ეჭვი არ არის ვახუშტის სახეში ჰქონდა თეოფილაკტესგან გასწორებული დაბადების წიგნი, როდესაც იგი ურჩევდა ბაქარს და სამღვდელო კრებას, რომ არჩილის და ვახტანგის ხელ-ნაწერი დაბადება შესწორებულიყო სხვა დაბადების წიგნებთან ბერძნულ, ლათინურ, ბულგარულ და ებრაულ ტესქტზედ. მოხსენებულ კრებამ მოიწონა ვახუშტის წინადადება, როგორც თვითონ იტყვის თავის ბოლოსიტყვაობაში (memento): «ხოლო მე რა ესე წინა დავსხენ, იგულა თვით მეფემან ბაქარ და ყოველმან სამღვდელომან ეპისკოპოსმან, არქიმანდრიტმან და წინამძღვარმან და მღვდელმან, რომელნი იმყოფებოდენ მოსკოვს ქართველნი ყოვლად ეგრეთ», ე. ი. გასწორება ქართული დაბადებისა და თვით ეს საქმე, როგორც სჩანს, მასვე მიანდვეს და მისცეს მას თანაშემწენი სამღვდელო პირთაგანნი. ამ უკანასკნელებში არავინ არის დასახელებული; მაგრამ ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ არქიეპისკოპოზს სამებელს ეჭირა უმთავრესი ადგილი. *) ეს სჩანს ზემო მოყვანილ ბაქარის მოწმობიდგან იო-

*) რუსის საეკლესიო ისტორიის მწერალი არქიეპისკოპოსი ფი-

სების შრომაზედ და აგრეთვე იმ ხელ-ნაწერის დაბადების ნაწერებიდგან, რომელნიც მე თვით მქონია ხელში და რომლის უმეტესი ნაწილი გარდაწერილია თვით სამებელის ხელით; როდესაც დაბადების დაბეჭდვა გათავდა (1743 წ.), ეს ხელ-ნაწერები სამებელს უანდერძებია თავის მმისწულისათვის (ავთანდილ ქობულოვისთვის), რომელიც ქართველთაგან შედგენილ გუსარის პოლკში მსახურებდა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. გაუგებარი და გასაკვირველი იქნება ვიფიქროთ, რომ სამებელი, რომელიც ამ საქმისთვის ამას წინეთ გამოირჩიეს, რომელმაც მხოლოდ ამ საზოგადო შრომისთვის დასტოვა შემოსავლიანი და თვალ-საჩინო ადგილი ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწისა, რომელიც თვით მართავდა ეპარქიას, რადგან მიტროპოლიტი (პროკოპოვიჩი), როგორც სინოდის წევრი, მუდამ პეტერბურგში იყო და სხვა საქმეში გართული, და გარდმოვიდა მოსკოვში უბრალო არქიმანდრიტის ადგილზე, რომ მას არ მიეღო თვალ-საჩინო ღვაწლი დაბადების გასწორებაში, მით უმეტეს, რომ ამ ნაირ შრომისთვის იგი მომზადებულიც იყო განვითარებით და სწავლით და შეჩვეულიც, რადგან მან, როგორც ვსთქვით, ამას წინად რამდენიმე წლიწადი მოასხმარა სტამბისა და ბეჭდვის საქმეს, საეკლესიო წიგნების გამართვას და გასწორებას.

მაშ რატომ არ იხსენიებს მის სახელს და შრომას ვახუშტი? ჩვენ არ შეგვიძლიან გადაწყვეტილი და ჭეშმარიტი აზრი ვუჩვენოთ მკითხველს; ეს უნდა დარჩეს შემდეგთათვის გამოსაკვლევად; ჩვენ მხოლოდ მოსაზრებით ვიტყვით, რომ უმთავ-

---

ლარეუჭი ქართული დაბადების გასწორებას მიაწერს სამებელს და სხვას არავის იხსენიებს (Исторія Русск. церкв., часть II, стр. 23).

რესთ დაბადების გამმართველთ ვახუშტისა და სამებელის შორის დაბადა უკმაყოფილება, რომელიც ბოლოს გათავდა განხეთქილობით მათ შორის. ვახუშტი თვითონ, თუმცა განურჩევლად, გვიჩვენებს, რომ მისის შრომით ისინი იყვნენ უკმაყოფილნი, «რომელნიც შრომის სასყიდელის წილ მიაგებდენ მას წყევასა და შეურაცხებასა», «მადლობისა წილ უმადლობასა, ლოცვისა წილ გმობასა, ქებისა წილ ყვედრებასა. ვგონებთ ამასვე გამოხატავს ვახუშტი თავის ბნელს ფრაზებში: «გინება, გმობა, სიძულვილი, უმადლობა, შური შემოიყვანს წინააღმდეგსა ღვთისასა, რომელ არს სიბოროტე და ბოროტის მოქმედი მიიღებს თვითვე ბოროტსა» და სხვ. ეჭვი არ არის, რომ დაბადების წიგნის გასწორებამ დაჰბადა უკმაყოფილება, რომელიც დასტყდა თვით ვახუშტის. რამ აღძრა ეს უკმაყოფილება და ვინ იყვნენ უკმაყოფილონი. მხოლოდ მიგნებით შეგვიძლია ამაზედ სჯა. იმავე ვახუშტის სიტყვებში (მისს memento-ში), თუმცა ბნელად და მიფარულად, ნაჩვენებია მიზეზი უკმაყოფილებისა: «ნუ შეთხზავთ, რამეთუ შეუთხზველ არიან, ვითარცა ანაგები და მოკლება და არავის ხელეწიფების შეთხზვა მათი». ეს ფრაზები უნდა ეკუთვნოდეს იმ პირთა, რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებდენ და ამ სიტყვებშივე გამოიხატება თვით საგანი უკმაყოფილებისა. უკმაყოფილონი ჰხატავენ აზრსა, რომ საღმრთო წერილის წიგნი, შეუცვლელათ უნდა დარჩეს, მის შეთხზვა, ანუ შეცვლა, ანუ შერყევა არავინ უნდა იდვას თავს და გაბედოს. ამათ უპასუხებს ვახუშტი და უჩვენებს, რომ პირველად ეს შრომა (დაბადების გამოცემა) «არს შრომა ღვთისა მიერ და ყოველთა წმინდათა სწავლა. მაშასადამე არის კეთილი საქმე და არა ბოროტი, სათნო ღვთისა და სასარგებლო და არა ღირსი ლანძღვისა და

გინებისა; მერედ, ყოველი კაცი უნდა სცდილობდეს, რომ აღასრულდოს მცნება ღვთისა: «რათა შეიწყნაროს კეთილი და განაგდოს ბოროტი»; თუ რამ ბოროტი გარია საღმრთო წიგნებში, კაცისგან შეცთომით შემოღებული, უმეცრებისა გამო, თუ სხვაიმე მიზეზით, შეცთომანი, მეტი ან ნაკლები, ესე ყოველივე უნდა განგდებულ იქმნას საღმრთო წერილიდგან, როგორც ბოროტი, და წინააღმდეგ მისა ყველანი მოვალენი ვართ აღვადგინოთ ჭეშმარიტი აზრი წერილისა, თუნდაც ამისთვის საჭიროდ სჩნდეს შეცვლა სიტყვათა, წინადადებათა, ენისა, ანუ მიმატება რისამე, განკვეთა, ანუ მოკლება; «რამეთუ (განვაგრძებთ ვახუშტისავე სიტყვით) კეთილ არს კეთილი უბოროტო (ე. ი. კეთილი არს საღმრთო წერილი, განწმედილი ყოვლაგვარ შეცთომათაგან და არა შერეული ბოროტ ღვარძლთან კაცთა უმეცრებისა და ცრუ-მორწმუნეობისა გამო), რამეთუ თვით უფალიცა ჩვენი ქრისტე იესო იშვა, ივნო, მოკვდა, დაეფლო, აღდგა, ამაღლდა ამისვე წილ ჩვენთვის, რათა განვაგდოთ ბოროტი და შევიწყნაროთ კეთილი». თქვენ კი (თითქო ეგრე ეტყვის ვახუშტი მოწინააღმდეგეთა) შეგიწყნარებიათ ბოროტი (შეცთომილებანი, სიცრუვე), «რომელი არს არა არსი (ე. ი. სიცრუვე, შეცთომილება, ამისთვის რომ ნამდვილი არსებობა მიეწერება მხოლოდ ჭეშმარიტებათა), და არსებასა შინა კეთილსა შეიმთხვევით (ე. ი. უმეცრებისაგან შემოღებულნი შეცთომანი მიგაჩნიათ, როგორც ჭეშმარიტება), რომელიც «არს წინააღმდეგი ღვთისა ცოდვა» და მათ კი, ვინც სცდილობს განაშოროს ჭეშმარიტებას სიბნელე და ცთომილებანი, თქვენ ლანძღავთ, გმობთ და მით ცოდვასა დაამატებთ ცოდვასა, «რამეთუ გინება, გმობა, სიძულვილი, უმადლობა, შური შემოიყვანს წინააღმდეგსა

ღვთისასა, რომელ არს სიბოროტე და ბოროტის მოქმედი მიიღებს თვითვე ბოროტსა».

ამ ნაირად ეჭვი არ არის, რომ ვახუშტის მიერ დაბადების განმართვა ბევრს არ მოსწონებია, რადგან ვახუშტიმ, ეტყობა ბევრი ცვლილება მოახდინა არჩილის და ვახტანგის ხელნაწერ ქართულ დაბადებაში; როგორც ზემოთ ვსთქვით, ვახუშტი ხელმძღვანელობდა თეოფილაქტეს გასწორებული რუსული დაბადებით, სადაც ამ უკანასკნელმა ლათინურის, ებრაულის, ბერძნულ და ბულგარულ ტექსტების საფუძველზედ და სხვა-და-სხვათა ღვთის მეტყველთა განმარტების შემწეობით იმდენი ცვლილება მოახდინა რუსულ დაბადებაში, რომ მხოლოდ ამ ცვლილებათა დაწვრილებით ცალკე აღწერამ იმოდენივე წიგნი შეადგინა, რამოდენიც იყო თვით დაბადების ტექსტი. [28] რასაკვირველია ქართველთ სამღვდელოებაში და ერის კაცებშიც იქნებოდენ ისეთნი, რომელთაც ეგრეთი რყევა დაბადების ტექსტისა არ მოეწონებოდათ, მით უმეტეს, რომ ვახტანგს და არჩილს დიდი ავტორიტეტი მიუძღოდათ, როგორც მეცნიერ და განათლებულ გვამთა, რომელნიც ამის გარდა იმდენად ტექსტის რყევაზედ არა ზრუნავდენ, რამდენად ათონელთ მამათ თარგმნილის სამღვთო წიგნების შევსებაზედ და მათ აღდგენაზედ თავის უწინდელის სახით. იგინი დაკარგულიყვნენ და საქართველოში აღარ მოიპოვებოდნენ. მათ უფრო აღმდგენელი უნდა ვუწოდოთ ძველის ტექსტისა, და ვახუშტი კი, მიმბაძავი თეოფილაქტესი, იყო გამმართველი საღმრთო წიგნისა, რომლის ხელში საღმრთო დაბადების ტექსტი ძლიერ ირყეოდა სხვა-და-სხვა ლათინურ და ებრაულ ორიგინალების მიხედვით. ზემოთ

---

[28] Истор. Русск. церкви. Филарета, ч. II.

ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ამ მიზეზის გამო თეოფილაქტესაგან გასწორებული დაბადება არ იქმნა მიღებული საბეჭდავათ, მით უმეტეს, რომ (ტექსტის მეტის-მეტი რყევისა და გასწორებულ ადგილების სიმრავლისა გარდა) ცვლილება ტექსტისა დაფუძნებულიყო უფრო ევროპიელ (კათოლიკეთა და პროტესტანტთა) ლათინურის დაბადების ორიგინალებზედ და არა ბერძნულ ტექსტზედ (70 მთარგმნელთა) და ეს იყო მიზეზი, რომ თეოფილაქტეს დაბადება ხელახლა მისცეს ორს კომმისიას გასასწორებლად მხოლოდ ბერძნულს ტექსტზედ 70 მთარგმნელთა.[29]) ამავ გარემოებისა გამო შეიძლება ზოგს ქართველთაგანს არ მოსწონდა ვახუშტის დაბადება, თეოფილაქტეს გასწორებული რუსული დაბადების წიგნისაგან თითქმის გარდმოწერილი და რათ უნდა იყოს სრულიად ჭეშმარიტებას მოკლებული ჩვენი მოსაზრება, რომ იოსებ სამებელი მოხვდა იმ დასში, რომელიც უკმაყოფილო იყო ვახუშტის მიერ თეოფილაქტეს დაბადებიდამ გადმოწერილის ქართულის დაბადებისა, მით უმეტეს, რომ სამებელი, პროკოპოვიჩის თანაშემწე, ალბათ ერთი აზრისა იყო მასთან ამ საგანზე და თხოულობდა, რომ დაბადება გასწორებულიყო არა ლათინურ და სხვ. ორიგინალებზედ, არამედ მხოლოდ ბერძნულ ტექსტზედ 70 მთარგმნელთა, რომელიც მიღებულია სრულიად სამართლ-მადიდებლო ეკლესიათაგან.

ეს გარემოება უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ვახუშტმა არ მოიხსენია არც სამებელი, არც სხვა პირნი, რომელნიც უეჭველად შრომობდენ დაბადების გასწორებაზე. ამ განხეთქილების ამბავი დაფარულია ჩვენთვის. მაგრამ თვით ფაქტი განხეთქი-

---

[29]) Ист. Русск. цер. Знаменскаго, стр. 393.

ლების კი უეჭველი მოვლენაა. სადამდინ მიაღწია განხეთქილებამ და ან რით გათავდა იგი, ჩვენ არ ვიცით; შეგვიძლია მხოლოდ მიგნებით ვსთქვათ, რომ მოწინააღმდეგეთ ბევრი უსიამოვნება შეამთხვიეს ვახუშტის და მის მომხრეთა; მაგრამ ვახუშტის მომხრენი, თუ არა უმრავლესნი, უეჭველია, უფრო გავლენიანნი მაინც იყვნენ, რადგან ამ რაზმს ეკუთვნოდა თვით ბაქარი, გავლენიანი პირი გრაფი ოსტერმანი (როგორც ეს გამოჩნდება შემდეგის გამოკვლევისაგან) და თვით რუსის მთავრობას (სინოდი, სენატი, კაბინეტი მინისტრებისა), რომლის ნებართვით და დახმარებით სწორდებოდა და იბეჭდებოდა დაბადების წიგნი, დ რასაკვირველია, რომ მოწინააღმდეგენი დამარცხდენ, მათ პირი შეეკრათ დ დაბადების წიგნი დაიბეჭდა ისე, როგორც ხედავდა საუმჯობესოდ ბაქარი, ვახუშტი და რუსთა მთავრობა, რომელთაც თანა უგრძნობდა არა ყოველი სამღვდელოება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოწინააღმდეგეთ დამარცხება აქვს სახეში ვახუშტს, როდესაც იგი თუმცა არა გამოჩენით არამედ მიფარულად და ყრუდ სწერს: «გინება, გმობა, სიძულვილი, უმადლობა, შური შემოიყვანს წინააღმდეგსა, რომელ არს სიბოროტე და ბოროტი; მოქმედი მიიღებს თვითვე ბოროტსა, ვითარცა მოწმობს თვითვე ესე (დაბადების) წიგნი».

თუმცა ვახუშტი არ იხსენიებს არც სამებელსა და არც სხვა სწავლით და ღვაწლით ცნობილ სამღვდელო პირთა, რომელთაც მიუღიათ შრომა დაბადების წიგნის გასწორებაში, მაგრამ მას ცხადათ აქვს დასახელებული ვიღაც ანდრია ივანოვის შვილი, როგორც თანაშემწე მისი ამ საქმეში. ამ პირს ვახუშტი იხსენიებს ასე: «თანა შეწევნითა განმმართველისა საბეჭდველისა სამეფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია იოანის ძისათა ხელვყუავით შრომად და შევასრულეთ...» ვინ

არის ეს ანდრია იოვანეს შვილი, რომელსაც ეგრეთი დიდი ღვაწლი მიეწერება დაბადების გასწორების საქმეში? რუსეთში მყოფ ქართველთ სამღვდელო პირთ სიაში ჩვენ არ ვიცით არც ერთი რამდენადმე შესანიშნავი გვამი ამ სახელით და გვარით; ჩანს მხოლოდ ერთი იპოდიაკონი, ვახტანგთან გარდასული რუსეთში 1725 წ., მოხსენებულის სახელით და გვარით (ანდრია ივანოვი, [30]) სამთავრის მიტროპოლიტის რომანოზის კრებაში), მაგრამ არ საიდამ ჩანს, რომ ეს დაბალი იერარქიის წევრი ეგრე განვითარებულიყო მეცნიერებასა და განათლებაში, რომ მას შესძლებოდა მონაწილეობა მიეღო ეგრეთ მძიმე საქმეში და საეჭვოც არის, რომ იგი სამუდამოდ რუსეთში დარჩენილიყოს, რადგან მოხსენებული მიტროპოლიტი რომანოზი, რომლის კრებაშიც იგი ირიცხებოდა, დაბრუნდა საქართველოში. ამასთან მას ვერ მიეწერება «განმმართველობა საბეჭდველისა» (როგორც ვიცით ეს საქმე მიეწერება მხოლოდ ბაქარს და სამებელს) და «სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულობა.» ჩანს, რომ ვახუშტის სახეში ჰყავს მაღალი პირი, რომელიც ცნობილი ყოფილა მოსკოვში და გამოჩენილი საზოგადოთ რუსეთში. ჩვენის აზრით (რომელზედაც ჩვენ მტკიცედ ვდგევართ) ეს არის გამოჩენილი მოქმედი პირი იმ დროებისა და გავლენიანი გვამი რუსეთის მეფეების კარისა გრაფი ანდრია ივანეს ძე ოსტერმანი, რომელსაც განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა იმპერატრიცა ანნა იოანოვნის დროს. ვახუშტი მისთვის მიაწერს მას «საბეჭდველისა განმმართველობას», რომ იგი მართლა იყო მფარველი განათლებისა და სტამბის ხელის მომმართველი რუსეთში. მაგრამ უნებლიეთ იბადება კითხვა, რა

---

[30]) Архив. св. Син. 1732 г. № 256.

დევაწლი ან შემწეობა შეეძლო მიეცა ოსტერმანს ვახუშტისთვის ქართული დაბადების გასწორებაში, რომელსაც მან არ იცოდა არც ქართული და არც ჰქონდა მიღებული ღვთის მეტყველური განათლება და (როგორც მრავალნი მეისტორიენი აღიარებენ) არ იდგა მკვიდრად თვით სარწმუნოებაზედ და ქრისტიანობაზედ ბევრს არ ზრუნვიდა.

ამ კითხვის ასახსნელად საჭიროა გავიხსენოთ, რომ რუსეთში მყოფი ქართველი სამღვდელოების კრების დადგენილობის ძალით დაბადება უნდა გასწორებულიყო სხვა-და-სხვა ენაზე დაწერილის დაბადების შემწეობით და მაშასადამე საჭირო იყო მოეპოვნათ ამ ენების ზედ-მიწევნით მცოდნე პირნი, რადგან საეჭვოა, რომ რუსეთში მყოფ ქართველთ შორის ყოფილიყვნენ საკმაოდ გაწვრთნილნი ამ საგანში. თუმცა დაბადების გამსწორებელთა წინ ედვათ თეოფილაკტესგან გასწორებული სლავიანური დაბადება, მაგრამ მოხსენებულ ენათ ცოდნა მაინც საჭიროდ სჩანდა, რომ უფრო რიგიანად შეესწორებინათ ქართული დაბადება თვით ორიგინალზედ, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც თეოფილაკტეს მიერ გასწორებული დაბადება მეტად განსხვავდებოდა ქართულ ხელ-ნაწერ დაბადებისაგან. ადვილი მოსანახავი არ იყო იმ დროს ამ გვარი ენათა მეცნიერნი, რადგან თვით რუსეთში ცოტანი იყვნენ და ვინც იყვნენ, ისინიც დატვირთულნი იყვნენ საკუთარ მოვალეობით მოსკოვის და კიევის აკადემიებში, სადაც იგინი ასწავლიდენ მოხსენებულ ენათა და ამასთან მათვე ჰქონდათ მინდობილი სლავიანურის დაბადების გასწორება. რა საკვირველია აქ ოსტერმანის დახმარება ძალიან საჭირო იქნებოდა; მას შეეძლო ეშუამდგომლა მთავრობასთან, რომ ენათა მცოდნე პირნი მიეცათ ქართული დაბადების გამსწორებელ კომისიისათვის; ამის

გარდა მისივე დახმარება საჭირო იყო სტამბის რიგიანად გასამართავად, ქართული ასოების ჩამოსასხმელად, ნახატების მოსაჭრელად და სხვ. და რადგან რუსეთის მთავრობა ეფერებოდა ქართველობას პოლიტიკურ მოსაზრებათა წყალობით, გასაკვირველი არ არის, თუ ოსტერმანი მართლა ეხმარებოდა ბაქარს და ვახუშტის ამ გვარ საჭიროებაში. ეს აზრი უფრო ჭეშმარიტად გამოჩნდება, როდესაც უფრო ცხადათ გავიგებთ, რაში მდგომარეობდა თვით გასწორება ქართულის დაბადებისა.

დაბადების გასწორება (ვიტყვით ბაქარის სიტყვებით, რომელნიც გამოთქმულნი არიან მისს წინასიტყვაობაში) შესდგებოდა შემდეგში: «მოვიღევით მეფის არჩილის ნამუშაკევა დაბადება ხელით წერილი და შევამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა და სარწმუნოსა მრავალთა წმინდათა ფილოსოფოსთა და ღვთის-მეტყველთა ძიერ გამოძიებით თარგმნილსა და გამართულსა ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა და განვმართეთ ახლად ყოველნივე სიტყვა მეტ-ნაკლებნი თავად-თავად და რიცხვრიცხვად სამოწმითა ესრეთ უნაკლულოდ».

რომელ დედანზედ უჩვენებს აქ ბაქარი? ეს დედანი იყო, მისის სიტყვით, «ფრიად კეთილი» და «მრავალთა წმინდათა ფილოსოფოსთა და ღვთის-მეტყველთაგან გამოძიებით თარგმნილი და გამართული ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა»; მაგრამ არ უჩვენებს კი, რომელ ენაზედ იყო დაწერილი ეს დაბადება. ამ კითხვაზედ, ჩვენ გვონებთ, პასუხს გვაძლევს ვახუშტი თავის memento-ში, სადაც იგი სწერს: «ზმანებითა მეფისა... დიდის პეტრე ალექსის ძისათა მრავალთა ენათა მცოდნეთა და ღვთის-მეტყველთა მოელოთ დაბადება რუსული, რამეთუ არა შეთქმულიყო სხვათა; ხელ-ეყოთ განმართვად და განემართათ ბერძნითა, ებრაელთათ, ასურთა და ბულღართ-

აგან და მას მეფესა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა (1663 წ.) გაემართნეს უმუხლოდ, რამეთუ არცა მას აქვნდენ და ამის მიზეზისათვის არა სრულ ყოფილ-იყო». ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დაბადება, პეტრეს ბრძანებით გასწორებული, არის ის ფრიად კეთილი და სარწმუნო» დედანი, რომელზედაც უჩვენებს ბაქარი და რომელზედაც (თუმცა არა ცხადათ), აქ მოყვანილ სიტყვებში მოწმობს თვით ვახუშტი. ეს ცხადია როგორც მოყვანილი ვახუშტის სიტყვებიდგან, ისე საზოგადოთ მთელი მისი memento-ს კონტექსტისაგან, რომლის დედა-აზრი მდგომარეობს იმაში, რომ არჩილმან შეასწორა ქართული დაბადება შეცთომილებითა აღსავსე 1663 წ. გამოცემული სლავიანურ დაბადებაზე და ამის გამო იგი გამოჩნდაო არა სარწმუნოდ; მაგრამ როდესაც პეტრეს ბრძანებით სლავიანური დაბადება გასწორდა სხვა-და-სხვა ენებზედ, მე (ვახუშტმა) წინადაუდევ ბაქარს და სამღვდელო კრებას, რომ ქართული დაბადებაც გასწორდეს ამ დედანზეო და ამაზედ ყველანი დათანხმდენ და გასწორება მე მომანდვესო. ისიც უნდა მივიღოთ ხახეში, რომ სინოდმა ხელ-წერილი ჩამოართვა ბაქარს, რომ ქართული დაბადება გასწორებულიყო სლავიანურზედ, როგორც ზემოთ ვსთქვით.

ამ ნაირად უეჭველია, რომ მოხსენებული დედანი, რომელზედაც გასწორდა ქართული დაბადება, იყო ხელახლა გასწორებული სლავიანური დაბადება და სახელდობრ ის თეოფილაქტესგან (მისის თანაშემწეებითურთ) გასწორებული (დიდი პეტრეს ბრძანებით) სლავიანური დაბადება, რომელზედაც ჩვენ უკვე ზემოდ ვუჩვენეთ მკითხველთა და არა ის, რომელიც შემდეგ კომმისიისაგან (იმპერატ. ელისაბედის დროს) გასწორდა 70 მთარგმნელთა ბერძნულ ტექსტზედ, რადგან ამ უკანას-

გნელ კომისიამ დაბადების თარგმნას ხელი მიჰყო რიგიანად მხოლოდ 1742 წლიდგან, როდესაც, როგორც გამოჩნდება, ქართული დაბადება უკვე გასწორებული იყო, და მლივს გაათავა 1750 წელს. ამ ჩვენს დასკვნას სრულიად არ ეწინააღმდეგება ბაქარის სიტყვები, რომ მოხსენებული დაბადება იყო «მრავალთა წმინდათა ფილოსოფოსთა და ღვთის-მეტყველთაგან გამოძიებით თარგმნილი და განმართული ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა»; როგორც ზემოთ ვსთქვით, თეოფილაქტემ სლავიანური დაბადება შეასწორა სხვა-და-სხვა ენაზედ ნაწერ დედნებზედ და ძნელი ან საეჭვო ადგილების თარგმნაში ხელმძღვანელობდა გამოჩენილ ღვთის-მეტყველთა და წმინდა მამათა განმარტებით, მაგრამ ამასთან უპირატესობას მაინც ბერძნულ და ძველ სლავიანურ დედნებს აძლევდა.

თუ ამ გვარად, ქართული დაბადება გასწორდა სლავიანურ დედანზედ, მაშ რით უნდა აიხსნას რუსის მეისტორიეს ფილარეტის და პლატონ იოსელიანისაგან მოყვანილნი ცნობანი, რომ ქართული დაბადება გასწორდა იოსებ სამებელის მიერ ებრაულ, ბერძნულ, ასურულ და სლავიანურ დედნებზედ [31])? ან როგორ უნდა გავიგოთ თვით ბაქარის სიტყვები, მისს წინასიტყვაობაში მოყვანილი, «რომელ (მისგან გამოცემული) არდარა უდარეს საგონებელ არს სხვათა ბიბლიათა, ანუ ელენთა, ანუ ასურთა, ანუ ბულღართა, ანუ სომხთა, და სხვათა ყოველთა». ნუ თუ შეეძლო ბაქარს ეგრე თქმა, თუ რომ მის მიერ გამოცემული დაბადება არ შეთანხმებულიყო მოხსენებულ ენებზედ დაწერილ დაბადებასთან? ჩვენის აზრით ეს გარემოება არ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მოხსენებული თეოფილაქ-

---

31) Исторія Русск. цер., ч. II, стр. 23

ტეს სლავიანური დაბადება, რომელიც გახდა დედნად ქართული დაბადებისთვის, გასწორებული იყო დედანთა შემოკრებით. ჩვენ შეგვიძლია უყოყმანოდ მივიღოთ ის აზრი, რომ ქართული დაბადების გამომცემელნი მართლა ხმარობდენ მოხსენებულ ენებზედ დაწერილ დაბადების დედნებსაც, სხვათა შორის სომხურ დაბადებასაც, რამდენადაც შეეძლოთ და საჭიროდ ხედავდენ, განსაკუთრებით იმ ადგილების ასახსნელად, სადაც ქართული ხელ-ნაწერი დაბადება არჩილისა და ვახტანგისა და თეოფილაკტეს სლავიანური დაბადება არ ეთანხმებოდენ ერთმანერთს და მეტად განსხვავდებოდენ, ანუ საზოგადოთ ყოველ ბნელ და ძნელ ადგილების უფრო გამოჩინებით და გასაგებად გადასათარგმნელად, და არ არის სრულიად ჭეშმარიტების ღირსებას მოკლებული ჩვენგან ზემო გამოთქმული აზრი, რომ ამ შემთხვევაში რუსების ლინგვისტები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სლავიანური დაბადების გასწორება, შემწეობას აძლევდენ თავის ცოდნით ქართველ მთარგმნელებს და ამ შემთხვევაში თვით რუსის მთავრობა (გრაფის ოსტერმანის შუამდგომლობით) ეხმარებოდა მათ.

რა ცვლილება მოახდინეს ქართულის დაბადების ახლად გამსწორებელთა არჩილის და ვახტანგის მიერ დასაბეჭდად მომზადებულ ხელ-ნაწერ დაბადებაში?

ყველაზედ უფრო შესამჩნევი ცვლილება, რომელიც შეეხო ყველა საღმრთო წიგნებს, რომელნიც შეადგენენ დაბადებას, იყო ის, რომ მრთელი წიგნი დაიყო მუხლებად, მსგავსად თეოფილაკტეს დაბადებისა; ეს იყო უმთავრესი ცვლილება, რომელსაც სჭირდებოდა დიდი შრომა, ყურადღება და ცოდნაც. ამის გარდა არჩილის ხელ-ნაწერ დაბადებაში სხვა ცვლილებაც ბევრი მოხდა. ბევრი მუხლები, რომელნიც სრულიად გამოშვე-

ბული იყვნენ იმ ხელ-ნაწერში, შეიმსნენ, ბევრი შეცვლილი ადგილი გასწორდა, აგრეთვე გასწორდენ წინადადებანი, სიტყვანი და ასონი მეტ-ნაკლებნი მრთელ წიგნში თეოფილაკტესავე სლავიანურ დაბადების თანახმად. «რომელნიცა აკლდნეს, მოუმატეთ (იტყვის ვახუშტი), ვითარცა განმართულ-იყო რუსთაგან თავ-თავად და მუხლ-მუხლად და სიტყვანი შეცვლილნი, რომელიც ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევეთ და ნადირთა, მხეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი, რაიცა ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით, სხვანი ყოვლნივე განვმართეთ და შევასრულეთ, ვითარცა ძალგვედვა, არა უდებ ვყვენით შრომანი ჩვენნი».—ყველაზე მეტი ცვლილება მოახდინეს შემდეგ არჩილის მიერ ნასწორებ წიგნებში: შესაქმე, გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე რჯული, ისონავე, მსაჯულთა, რუთი, ოთხი მეფე, ორი ნეშტი, სამი ეზდრა, ნემი, ტობია, ივდით, ესთერ, იობ, „იგავი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე, ისო ზირაქი და სამი მაკაბელთა. ამ წიგნებში გასწორდა არა მხოლოდ შეცთომები, თვით ენასაც მოხვდა შეუბრალებელი კალამი გამსწორებელთა, რის გამო მოხსენებულ წიგნების გასწორებას მოანდომეს წელიწადზედ მეტი დრო განუწყვეტელის შრომისა; ამათში წიგნი ტობიასი და იუდითისა გარდმოღებულ იქმნა ვულგატიდგან; მესამე წიგნი მაკაბელთა, როგორც თეოფილაკტეს სლავიანურ დაბადებაში, გასწორდა ლათინურზედ. საზოგადოთ მოხსენებულ წიგნების გასწორების დროს, ალბათ სარგებლობდენ გარდა რუსული დაბადებისა სხვა-და-სხვა ენებზე დაწერილი დედნებითაც.—უფრო მცირე ცვლილება მოხდა იმ საღმრთო წიგნებში, რომელნიც უკვე დაბეჭდილი და გამოცემულ იქმნენ ტფილისში ვახტანგის სტამბისგან (1709—1720 წლებში), სახელდობრ: ფსალმუნი

(დავითნი), წინასწარმეტყველებანი და სრული ახალი აღთქმა.

გარდა მოხსენებული ცვლილებისა გამსწორებელთა შეამატეს დაბადების წიგნი შენიშვნებითა; ყოველ წიგნის სათაურში დაბეჭდეს მოკლე შინაარსი მისი და შესაბამი საჭირო განმარტება, თავები და მუხლები წიგნებისა დაჰყვეს დასაწყისად და გვერდზედ მიუწერეს ეგრეთვე განსამარტებელი საძიებლითურთ. —დაბადების ბოლოს დაბეჭდეს: 1) მოკლე კალენდარი («ათორმეტი თვე»), ყოველ დღეზედ ნაჩვენებია, რომელი სახარება და სამოციქულო წაიკითხვის ცისკრად და წირვაზედ; 2) «სახარებანი საზიარნი, ოდეს ხსენებას ჰყოფდეთ რომელთათვისაცა»; 3) «სახარებანი ვითარ ჟამ არს კითხვად შვიდეულთა ყოველთა წელსა»; 4) «საძიებელი» ალფავიტური ლექსიკონად უმთავრესთა პირებისა, ადგილებისა და მოქმედებისა, რომელნიცა მოხსენებულნი არიან დაბადებაში; ამას უჭირავს დიდი ადგილი და ალბათ გადმოღებულია ევროპიელ მწერალთაგან, რადგან აქა-იქ ჩართულია პროტესტანტული აზრები (მაგ. გვ. 1067); 5) ქორონიკონი; 6) ხელთა ვრცელი ახსნით; 7) ვასტანგ მეფისგან განმარტივებული დროთა ანგარიში; 8) «შეცთომილთათვის», სადაც გასწორებულია კორრექტურული შეცთომილებანი, რომელნიც დაბეჭდილნი არიან რვა გვერდზედ. ამას გარდა დაბადებაში დაბეჭდილია მოკლე წინასიტყვაობა ბაქარისა და ბოლოსიტყვაობა ვახუშტისა, რომელშიაც იგინი მოკლედ გვიამბობენ დაბადების გასწორების და დასტამბვის ამბავს.

სრულიად დაბადება გასწორდა კომმისიისაგან **1742** წლის დამლევს, მაგრამ ბეჭდვა მისი ნაწილ-ნაწილად დაიწყო უფრო ადრე და **1743** წელს 1 მაისს უკვე დაბეჭდილი იყო სრული დაბადება, არ ვიცით, რამდენ ეგზემპლიარად.

რაც შეეხება გამოცემული დაბადების შინაგან და გარეგან

ღირსებას, ჩვენ ამაზედ არა შეგვიძლიან-რა გსთქვათ გადაჭრით; მხოლოდ თუ მივიღებთ სახეში თვით გასწორების ისტორიას, ძნელი არ იქნება მივხვდეთ, რომ ზაქარის დაბადება სრულიად უნდა განირჩეოდეს ძველ ქართულ წმინდა ათონელთ მამათაგან ბერძულიდგან (LXX მთარგმნელთა) თარგმნილ დაბადებისაგან, რადგან გამსწორებელთა ხელში არ ჰქონდათ ძველი ვარიანტები და არც ათონელთ მამათა დაბადება. ზოგი წიგნები კი ახლად სთარგმნეს, თუმცა ესენი რამდენჯერმე თარგმნილიყვნენ მეექვსე და მეთერთმეტე საუკუნოებთ შუა და იმ დროის ხელ-ნაწერი და ნათარგმნი წიგნები ეხლაც მოიპოვებიან. ამისთვის ფრიად საინტერესოა, რომ ზაქარის გამოცემული დაბადება შესწორდეს იმ უძველეს ქართულ ხელ-ნაწერებთან და გარჩეულ იქმნეს მათი განსხვავება და შედარებითი ღირსება. ეს იქნება შრომა ძნელი, მაგრამ ნაყოფიერი და საყურადღებო.

თვით შრიფტი და ასოთა მოყვანილობა გამოცემული დაბადებისა, თუმცა მოსაწონია, მაგრამ სილამაზით და გარჩეულობითაც დაბლა დგას ტფილისში (ვახტანგის სტამბაში 1710 წ.) გამოცემულ წიგნების შრიფტზე. მათ შორის ერთი (ჟამნი) ჩვენ წინ გვიძევს წვრილის, მაგრამ მშვენიერის და ადვილად გასარჩევი ასოებით კარგ ქაღალდზედ დაბეჭდილი, შემკული ნახატებით, წითელ მელნით ანუ ფერადითაც დასტამბული.

იოსებ სამებელის ღვაწლი არ გათავებულა დაბადების გამოცემით; ბეჭდვის საქმეს მან სრულიად შესწირა უკანასკნელი წელნი თავის სიცოცხლისა ღრმა სიბერემდის, სანამ თვალი უჭრიდა და ძალა და ღონე შესწევდა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომელი წიგნი და რა რიგ გამოიცა მისგან შემდეგ წლებში (1743—1749 წ.). ჩვენ გვინახავს მხოლოდ ერთი წიგნი მისგან დაბეჭდილი, იოანე დამასკელის თხზულება «მიუწვდენელობისათვის ღვთისა» და სხვ., დაბეჭდილი რუსეთში სინოდის ნებართვით (1744 წელს) შემდეგის წარწერით: «საფასეთა და წარსაგებელითა იოსებისათა გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმინდა ესე იოანე დამასკელი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს დასაბამითგან 7252 წ. ქრისტეს აქეთ 1744, ქორონიკონსა 432, მაისს 28».—რას ნიშნავს ეს წარწერა? რომელ სტამბაზე ამბობს წარწერა, იმ სტამბაზედ, რომელშიაც დაიბეჭდა ერთი წლის წინ დაბადება, თუ ეს ახალი სტამბაა, გაკეთებული იოსების ხარჯით? ამაზედ ბეჯითად მიგება არ შეგვიძლია, მაგრამ თვით წარწერა იტყვის, რომ ეს სტამბა არის ახალი სტამბა, იოსებისაგან გაკეთებული, მისის ხარჯით, სტამბა იმყოფება მოსკოვში და არა ვსესვიატკში. *) რა ბედი ეწვია ბაქარის სტამბას, ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ვგონებთ, რომ

---

*) უეჭველია, რომ ამ სტამბიდგან გამოვიდოდა სხვაც ბევრი ქართული წიგნები, მაგრამ ჩვენ ამაზედ არა ვიცით-რა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ძველი მწერლობის და ისტორიის მოყვარენი ყურადღებას მიაქცევენ ძველ ნაბეჭდ წიგნებს და წარმოგზავნიან «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», სადაც არის ქართული ძველ ნაწერების ბიბლიოთეკა, ან თვით ეგზემპლიარებს, ანუ იმ წიგნების წინა-სიტყვაობის სწორედ გადმოღებულ კოპიოებსა შესანახავად მომავალ გამომძიებელთათვის.

ეს სტამბა 1756 წ. ანუ შემდეგ წლებში გარდავიდა ანტონი ქათალიკოზის ხელში, რომელმაც ვლადიმირის არქიეპისკოპოსობის დროს ისარგებლა იმით ქართული წიგნების დასაბეჭდათ. იოსების სტამბაზედ ჩვენ ორიოდ სიტყვას ვიტყვით ქვემოდ.

თვით იოსებზედ 1744 წლიდგან სიკვდილის დრომდე მხოლოდ რამოდენიმე ცნობები არის შენახული სინოდის არხივში; ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ 1744 წ. ის დაახლოვებია განთქმულ ქართველ მისსიონერს იოანე მანგლელ ეპისკოპოსს და, როგორც სჩანს, სიკვდილამდე მტკიცე მეგობრულის კავშირით შეკავშირებულან ეს ორნი ჩინებულნი ქრისტიანობის აღორძინებაზედ მზრუნველნი და დაუცხრომელნი მოღვაწე პირნი.

რადგან მოხსენებული პირი, იოანე მანგლელი, გამოჩენილი პირია, როგორც გამავრცელებელი და დამფუძნებელი ქრისტიანობისა და ქართველთაგანაც პატივცემული, ჩვენ მოვიყვანთ მოკლე ცნობებს მასზედ. მანგლელი იოანე იყო გვარით სააკაძე *) (გიორგის შვილი). დაიბადა 1666 წელს. ერის კაცობის სახელი მისი იყო იოსებ. სიყრმითგანვე შედგა ბერათ, როგორც ის სწერს თავის ანდერძში და იმყოფებოდა დავით გარესჯის («ბერთ-უბანის») უდაბნოში; ამ უდაბნოში მიიღო იერომონაზნობა და იწოდა იოანედ. ბაქარის თხოვნით მიიღო ეპისკოპოსობა მანგლისისა («მანგლელობა»). როდესაც 1723 წ. თათრებმა აღაოხრეს მისი სამწყსო, ის წავიდა კახეთში და

---

*) მისი მკვიდრი ძმა ნიკოლოზ სააკაძე გარდავიდა და მსახურობდა რუსეთში ქართველთაგან შემდგარ გუსარის პოლკში 1750 წლამდის. Арх. Сvнод. 1725 г. № 193.

დაემკვიდრა დროებით ხირსის მონასტერში და ერთი წლის შემდეგ, ან ცოტათი ადრე, გარდავიდა ლეკებში ქრისტიანობის გასავრცელებლად. წმინდის ცხოვრებით და მჭევრმეტყველობით მან მოიპოვა მთიულების პატივისცემა და ეხლამდის მათში დარჩენილია მოთხრობა მისს საკვირველ სასწაულთ-მოქმედებაზედ. ვახტანგის და რუსის ხელმწიფის (ეკატერინა ალექს.) თხოვნით იოანე დაემკვიდრა 11 სამღვდელოპირითა 1724 წლიდგან დერბენტში (დარუბანდი), სადაცა, როგორც თვითვე იტყვის ანდერძში «თავის ხელით ნიჩაბით ხელში აუშენებია საყდარი» და შემდეგ უკურთხებია; შემდეგ 1729 წელს აღაშენა მის ადგილზე ქვის ტაძარი მიძინებისა თავადი დოლგორუკოვის ხარჯით (სიგრძით 43 საჟენი, სიგანით 6) და მეორე დიდი მოწამე ეკატერინას სახელზედ. არ ვიცით რის გამო 1737 წელს გარდავიდა ასტრახანში, სადაც აღაშენა ღვთის-მშობლის სახელზედ ეკლესია, რომელსაც 1744 წელს ეწოდა მონასტერი და დააყენა წინამძღვრად მონასტრისა თვისის კრებულის ქართველი არხიმანდრიტი გერმანე (მონასტერი ესე დაიწვა 1749 წ.) აგრეთვე ყიზლიარში, სადაც სცხოვრობდა (და ეხლაც ბევრი სცხოვრობს) დიდ-ძალი ქართველობა აღაშენა 1738 წ. საყდარი და დააფუძნა სასწავლებელი «ქართველთათვის», რომელსაც ჰმართვიდა ვიღაც არქიმანდრიტი დანიელი. მიზანი, რომელსაც ელტოდა იოანე, იყო ქრისტიანობის აღდგენა კავკასიის მთებში და განათლების დაცვა, კავკასს იქით გარდასახლებულ ქართველებში (დერბენტში, ყიზლიარში, ასტრახანში). კრებული მისი თან და თან იზრდებოდა და წრე მისის მოქმედებისა ფართოვდებოდა.

აი, ამ გვამთან დაახლოვდა იოსებ სამებელი, როდესაც

იგინი შეიყარნენ მოსკოვში 1744 წელს. *) ამ ორთ ჩინებულთ გვამთ შორის დაიბადა მაღალი აზრი—დაფუძნება მუდმივი, განუწყვეტელი მისსიისა ქრისტიანობის აღსადგენად კავკასიელ ხალხთა შორის. აქ, მოსკოვში, შეადგინეს მათ პროექტი ამ დიდის საქმისა და ეს პროექტი იოსებ სამებელის ხელ-მოწერით წარდგენილ იქმნა ამ უკანასკნელისგან (სამებელისაგან) უწ. სინოდში 1746 წელს [32]). ეს პროექტი მიიღო სინოდმა და დაარსდა ეგრეთ წოდებული ოსეთის ქრისტიანობის აღმადგენელი კომმისია, რომელსაც მიეცა ჯამაგირი და საშუალება. კომისიაში დაინიშნენ ქართველი სამღვდელოთაგანნი, ზოგნი მანგლელის კრებულისაგანნი, რომელთაც კარგად იცოდნენ ოსური ენა, ჩვეულება და ზნე ხალხისა და მდებარეობა მათის ქვეყნისა. [33]) არხიმანდრიტად მისსიისა ითვლებოდა ქართველი ბერი პახომი და მასთან კიდევ ორი ქართველი იგუმენი და რამდენიმე მთავარ დიაკონნები. მისსიის საქმეს ხელს უწყობდა თვით იოანე მანგლელი, როგორც უფროსი მისსიისა და მმართველი. ყიზლიარში, სადაც იოანე უკანასკნელ დროს დაემკვიდრა, მისსიისთვის გაკეთდა სახლი, ბაღები, გაჩნდა სათევზო და სათიბავი მინდვრები [34]). 1751 წელს, როდესაც

---

*) სინოდის არხივში 1745 წლ. № 289 მოხსენებულია, რომ იოანე მანგლელს და სამებელს იოსებს გადაუყენებიათ წირვიდგან მღვდელი დავით ივანოვი, რომელსაც სხვისა ქალი მიუთხოვებია ვილაც სომხისთვის. ამაზედ აცოდინებენ ერთად სინოდსა.

[32]) Исторія Русск. церкв. Филарета ч. II, стр. 24 и Знаменскаго, стр. 381.

[33]) Матеріалы для Ист. Буткова, I, 266 и др..

[34]) ibidem.

გარდაცვალა მანგლელი იოანე, მისსიის უფროსობა მიეცა სინოდისგან ზემოხსენებულს პახომს [35]), რომელსაც დაუწერეს დარიგებაცა, როგორ მოიქცეს (ინსტრუქცია). თუმცა მარტო ოსებისთვის იყო დანიშნული მისსია, მაგრამ მისსიონერებს სახეში ჰქონდათ ყველა კავკასიელი ხალხები. პახომის შემდეგ მისსია მიენდო ქართველ არქიმანდრიტთა: გრიგოლსა (1767 წ.), ამის შემდეგ პორფირს, მის შემდეგ რუსს ლებედევს, რომელსაც თანა შემწედ ჰყვანდა თითქმის მხოლოდ ქართველენი; 1793 წელს ზედამხედველობა კომმისიისა მიენდო ქართველ არქიეპისკოპოსს გაიოზს, თელავის სემინარიის რექტორად ნამყოფს, რომელმაც დაბეჭდა ქართული შრიფტით ოსურ და ქართულ ენაზედ ზოგიერთ საეკლესიო წიგნები [36]). გაიოზის შემდეგ მისსიის უფროსად იყო საქართველოს ექსარხოსი თეოფილაქტე და ბოლოს მისსია გარდაეცა ახლანდელ «კავკასიასა შინა მართლ-მადიდებლობითი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას.»

ამ ნაირად იოსებ სამებელმა ერთად იოანე მანგლელთან პირველმან დასდვა ის საფუძველი, რომელზედაც აღშენდა შემდეგ ზემოხსენებული გავლენიანი და საშუალების მქონი საზოგადოება.

ამ დროს სამებელი იყო ღრმა სიბერეში; მისს მოქმედებაზედ ამ დროიდგან მისს გარდაცვალებამდის ცნობები თითქმის არ მოიპოვებიან. მოსკოვიდამ თავის კათედრაზე (ნოვგოროდში), ვგონებთ, ის არ დაბრუნებულა და მოსკოვში იგი, ალბათ, გართული იყო იმ საქმეში (წიგნების ბეჭდვაში), რომ-

---

[35]) Буткова I.

[36]) ibid. стр. 270—273.

ლისთვისაც მან ნოვგოროდის კათედრა დასტოვა. 1749 წ., როდესაც სამებელმა ღრმა სიბერემდე მიაღწია, გარდასწყვიტა დაბრუნება საქართველოში, სადაც უნდოდა გაეტარებინა უკანასკნელი დღენი თავის ცხოვრებისა და ივლისში მიართვა არზა სინოდსა, რომ გაეთავისუფლებინათ იგი და ნება მიეცათ უიზლიარში წასვლისა და იოანე მანგლელთან ცხოვრებისა «მიზეზისათვის ღრმა სიბერისა», როგორც სწერს იგი თავის არზაში. [37]) სინოდმა ნება მისცა; მაგრამ სამებელმა მხოლოდ შემდეგს 1750 წელს, 3-ს ივლისს მოახერხა მოსკოვიდამ წამოსვლა. თან წამოიყვანა თავისი ძმა-შვილი არხიმანდრიტი ექთიმე, რომელიც მუდამ თავისთან ჰყვანდა, ღვიძლი და, იღუმენად ნამყოფი ქართველთ მეფეებისაგან მოსკოვში დაარსებული სამოლოზნო ნოვინის მონასტერში [38]); და ერთი ძმაშვილი ქალი; მასვე მოჰყვებოდა ქართველთა გუსარის პოლკის მაიორი ავთანდილ ქობულოვი, ეგრეთვე ღვიძლი ძმა-შვილი მისი; მასთანვე წამოვიდა ზემოხსენებული მღვდელი მესტამბე ფილიპე და რამდენიმე სხვანიცა. წასულან ვგონებთ, ედილის (ვოლგის) წყლით. მაგრამ სამებელმა ვერ მოაღწია საქართველოს; გზაზედ სარატოვის ქალაქში 1-ს სეკტემბერს იმავე წლისას გარდაიცვალა იგი, ღვაწლითა შემკული, სიღარიბეში და გაჭირვებაში; თან ჰქონოდა მხოლოდ 30 მანეთი. თანხმად ანდერძისა დაუმარხავთ ასტრახნის საკათედრო საყდარში, სა-

---

[37]) Архив. Сvнод. 1749 г. № 247.

[38]) ibid. Дѣло 1745 г. № 283. ეს მონასტერი დააარსა ვახტანგის მეფის ძმის სვიმონის მეუღლემ ანნამ დაქვრივების შემდეგ; მონასტერში ირიცხებოდა 59 ქართველი მონოზანი და ქვრივი (იხ. იქვე).

დაც მარხიან ჩვენი მეფენი: ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლეს მამა და რამდენიმე სხვანი ჩვენის ისტორიული ცხოვრების მოწამლმართე პირნი.

მისგან დარჩენილის ქონების სიიდგან სჩანს, რომ სამებელს მოსკოვიდამ წამოუღია ქართული სტამბა; ასოები და დაზგები (печатные станки); სხვა წიგნებ შორის მას ეგრეთვე თან მოჰქონდა თურმე ქართული ანბანი 101 ეგზემპლიარი და ქართულადვე დაბეჭდილი საარქიერო კონდაკი (служебникъ архіерейскій), რომელიც გამოცემულ იყო მისგან, არ ვიცით როდის. ანდერძის ძალით სტამბა და სახარება შეუწირავს ნათლის-მცემლის (დავით გარესჯის) მონასტრისათვის, ერთი ვერცხლის საცეცხლური—ალავერდის ეკლესიისათვის; წიგნები მიუცია თავის დის თინათინისთვის და სხვა ყოველსავე დანარჩენზე «სხვათ ხელი არა აქვსო». ანდერძი ჩაუბარებია თვისის მომდვრის ლავრენტისათვის. ორი თვის შემდეგ სამებლის სიკვდილისა მის მმის-წულს ავთანდილ ქობულოვს არზით უთხოვნია სინოდისათვის, რომ იგი ცნობილ იყო მემკვიდრედ სამებლისა და დაშთენილის მისის ეკიპაჟის, შესამოსელთა და სხვა ქონებათა.

თუ მივიღებთ სახეში, რომ საქართველოში არქიერად არ აკურთხებდენ თუ 30 წლისა არ იყო და იოსებმა კი ეს ხარისხი მიიღო 1705 წელს, ჩვენ სრულიად დავრწმუნდებით, რომ სამებელი გარდაიცვალა არა ნაკლებ 75 წლისა.

მისგან ნაბეჭდი წიგნების ცნობაში მოყვანა და მათი ღირსების დაფასება ეკუთვნის მომავალსა, რომელიც, უნდა გვწამდეს, არ დაივიწყებს სახელოვანს ჩვენს წარსულსა და მისთა გმირთა აჩრდილთა.

—

ერთი წლის შემდეგ 1751 წ. 28 მარტს გარდაიცვალა ყიზლიარში 85 წლის მიღწეული იოანე მანგლელი, მეგობარი სამებელისა და გამოჩენილი მისსიონერი *) და დასტოვა ანდერძი, რომ მისი გვამი დამარხულიყო სამშობლოს ცის ქვეშ, იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში, სადაც მან განატარა პირველნი წელნი ჭაბუკობისა, სინოდმა ნება არ მისცა «სიძნელისათვის გზისა» და დაფლეს მისგან აშენებულ ყიზლიარის ჯვართ-ამაღლების მონასტერში. მაგრამ შემდეგს 1752 წელს, 17 იანვარს სინოდმა შეიწყნარა თხოვნა მისის ძმის გუსარის პოლკის აფიცრის ნიკოლოზ სააკაძესი და ნება მისცა მას განსვენებულის გვამის წაღებად და დაფლვად იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოში; მაგრამ რადგან ეს უდაბნო გაუქმებული აღმოჩნდა, წმინდა გვამი იოანესი დაფლეს სიონის სობოროში, კანკელ-ქვეშ.—ღრმა სარწმუნოების მქონემ და წმინდის ცხოვრების მიმდევმან მწირმან თვისს შემდეგ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. სასწაულები, რომელნიც იქმნენ მისგან სიკვდილის შემდეგ, როგორც მოგვითხრობენ, აღწერილია იოანე ნათლი-მცემლის უდაბნოს მწირის გაბრიელის მიერ

---

*) არ იქნება ურიგო აქ შევნიშნოთ, რომ მანგლელის კრებულითან და თან იზრდებოდა მისის მისიონერობის წარმატების გვარად. 1636 წელს ამ კრებულში ითვლებოდნენ: არხიმანდრიტი ევდეოს, იგუმენი გერმანე, მღვდელ-მონაზონნი დანიელ და ილარიონ; მღვდელნი: იაკობ, ბართლომე, ნიკოლოზ, ბესარიონ; პროტოდიაკონი ბარნაბა, იერო დიაკონი მაკარი, რიზნიჩი გიორგი, კელეინიკი დავით; იპოდიაკონნი: იაკობ, გრიგორი, ქრისტეფორე, ვასილი; მგალობელნი: იოანე, გიორგი, იაკობ; არხიმანდრიტის დიაკონი მაკარი და მოსამსახურე მისი სპირიდონ. (Арх. Св. Сѵнод. 1725 г., № 192.)

ქართულ ენაზედ ქმნილს წიგნში «ჯვარ-მოსილი», რომელიც შესდგება რამდენიმე თავისაგან.

ჩვენ გვინდოდა გავრცელებით გვეამბო ქართული სტამბის საქმეზე მეთვრამეტე საუკუნეში, მაგრამ რადგან მეტად გაგრძელდა გამოკვლევა, იძულებულნი ვართ აქ შევჩერდეთ და მხოლოდ რამდენიმე სიტყვით დავაბოლოვოთ.

იმავე წელს (1750), რა წელსაც მოკვდა სამებელი, მიიცვალა მეფის შვილი ბაქარიც. ქართული სტამბის საქმე რუსეთში შეჩერდა. მაგრამ, როდესაც საქართველოდგან განდევნილმა სწავლულმა კათალიკოზმა ანტონ I-მა რუსეთს მიაღწია (1756 წ.) და ვლადიმირის კათედრა მიიღო (1757 წ.), შვიდი წლის განმავლობაში, რომელიც მან რუსეთში დჰყო, სტამბა გამართა და დაბეჭდა ხელახლა ყველა საეკლესიო წიგნები, გარდა თთვენისა (МѢСЯЧНАЯ МИНЕЯ), აგრეთვე დაბეჭდა ხუცურათ და მხედრულადაც რამდენიმე საღვთისმეტყველო და საერო წიგნები, სახელმძღვანელოები, ანბანები ქართული, ლათინური და ბერძნული და სხ. სხვა წიგნთა შორის ამ სტამბიდგანვე გამოვიდა 1760 წ. „კლდე სარწმუნოებისა“ იავორსკისა, თარგმნილი მეფის შვილის ვახუშტის მიერ. სტამბა ანტონისა იყო გამართული ვლადიმირში.

აქ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ანტონ I-მა დიდის ღვაწლით და წარსაგებელით შეჰკრიბა დაკარგული ხელნაწერი წიგნები, რომელთაგან შეადგინა წარჩინებული მცხეთის ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკას ეწოდებოდა „პატრიარქის ბიბლიოთეკა;“ რიცხვი ტომებისა ამ ბიბლიოთეკაში მიაღწევდა 7,000-მდის. ამ ბიბლიოთეკისაგან ჩვენს დრომდის მოღწეულა მხოლოდ უმცირესი ნაწილი. უმეცართ ბარბაროზთ ხელ-

თა განაზნიეს და სამუდამოდ დათრგუნეს უმრავლესი ნაწილი ამ ჩვენის წინაპართ გონების ნაწარმოებთა. *)

1761 წელს გაიხსნა ახალი ქართული სტამბა მოსკოვში ტფილელ მიტროპოლიტის ათანასის მიერ. ათანასე გვარით ამილახვარი, გაგზავნილ იქმნა ერეკლე II მიერ რუსეთში ელჩათ 1752 წელს. როგორც ეტყობა ეს იყო მომხრე ერეკლეს მოწინააღმდეგისა რუსეთში მყოფი ვახტანგ მეფის შთამომავლობისა (ალექსანდრესი), როგორც საზოგადოთ ამილახვარნი, ამ მიზეზის გამო სასტიკად დასჯილნი ერეკლესაგან; და ალბათ იმისთვის იგი არ დაბრუნდა საქართველოში და 1751 წ. მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა (ПОДДАНСТВО). თუმცა ერეკლემ ორჯერ მოითხოვა იგი უკანვე რუსეთის მთავრობისაგან, მაგრამ ათანასე მაინც რუსეთში დარჩა (მოსკოვში).[39] 1761 წელს, 21 დეკემბერს ნება-რთვა მიიღო სინოდისაგან სტამბის გახსნაზე მოსკოვში. კორრექტორად იყო ჩვენგან უკვე ცნობილი მელხისედეკ კავკასიძე, ზედამხედველად—ერის კაცი ქებენი ამილახვარი; გამსწორებლად საეკლესიო წიგნთა

---

*) აწინდელ მცხეთის დეკანოზმა მიამბო მე, რომ ამ თხუთმეტი წლის წინეთ ურმებით გაიტანეს ეს წიგნები ტფილისშიო, ვითომ გასარჩევად და დაფუძნებულ კავკასიის მუზეუმისათვის, გარნა იგინი ეხლა არსად სჩანან. ერთს პირს უნახავს რამდენიმე ძვირფასი საუნჯეთაგანი, მუზეუმში წინეთ ნახული, ლეიპციგის და პარიჟის მუზეუმებში; მაგრამ ნუ დავიჯერებთ, რომ განათლებაზედ მაღლა მყვირალი ჩვენი საუკუნე ეგრე უწყალოდ და ბოროტად დასცინოდეს სწავლას, ერს და ისტორიას.

39) ამ ათანასეზედ ცნობები იხილე: Арх. Сunода 1752 г. №№ 129 и 296. № 301; 1762 г. № 197, 1761 № 142; 1764 г. № 336.

სლავიანურ ტექსტზედ—ძმის-წული ათანასესი ციციანოვი დიმიტრი. 1765 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა: სამოციქულო (ერთი ეგზემპლიარი ინახება «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ საცავში»), დავითნი, ლოცვანი, ჟამნი და ანბანი სამს ენაზედ: ლათინური, ბერძნული და რუსული, რომელიც სინოდმა მიართვა რუსთ იმპერატრიცასა. ამ სტამბიდგანვე გამოვიდა დაუჯდომელი 1762 წ., პარაკლისი 1767 წ. და სხვ.—ათანასე გარდაიცვალა მოსკოვში ჯვართ-ამაღლების მონასტერში 1774 წ. 9 ივნ. და დამარხულია დონის მონასტერში.

1786 წელს გაიხსნა ქართული სტამბა ს.-პეტერბურგში, ქართველ ეპისკოპოზის გრ. ხარჭაშნელისაგან, რომელიც გამოგზავნილ იყო დასაბრუნებლად საქართველოშივე ვახტანგ მეფის და სხვა-და-სხვა სამღვდელო პირთაგან საქართველოდგან გაზიდული საქართველოს ეკლესიის კუთვნილთა სიწმიდეთა და სხვა ნივთთა. დარჩენილმა სამუდამოდ რუსეთში, მან დაბეჭდა რამდენიმე წიგნები; სხვათა შორის სახარება ქართული 1789 წელს. [40])

ქართული სტამბა ჰქონდა რუსეთში აგრეთვე ქართველ არქიეპისკოპოზს გაიოზს, რომელსაც იგი თან დაჰქონდა. მისგან დაბეჭდილ წიგნებში ჩვენ გვინახავს ოსურ და ქართულ ენაზედ «სასცისკრო ლოცვანი»; ქართული გრამმატიკა კრემენჩუგში დაბეჭდილი; «მცნება... ვასილიოს ბერძენთა მეფისა (მაკედონელი) ძისა თვისისა მიმართ.» და სხვ.

ამ საუკუნის დამდეგს პეტერბურგში გაიმართა სტამბა—

---

[40]) ხარჭაშნელზედ იხილე ცნობანი Арх. Синод. 1785 г. № 336.

პირველი საქართველოს ეგზარხოსის ქართველ არქიელის ვარლამის მიერ, საიდამაც ბევრი ქართული წიგნები გამოვიდა ხუცურად და მხედრულადაც. ერთს ამ წიგნთაგანში, («თთვენი», რომელიც შეიცავს ათას გვერდზე მეტს) ბოლოს დაბეჭდილია შემდეგი ლექსი დიმიტრი ბაგრატიონისა, რომელიც ინტერეს მოკლებული არ არის ამ სტამბის ისტორიისათვის და მისთვის აქ მოგვყავს:

«ღვთის შეწევნითა ზესთა ზენითა, მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული,
«ქსნის ერისთვისა დავითის ძისა, ვარლამის ღვაწლით კმა გამართული,
«ვინ იყო მველად ახტალის მწყსელად, აწ რუსთ სინოდის წევრად შართული,
«გიძღვნისთ ივერთა, ამერ-იმერთა წიგნს დღესასწაულთ მბეჭდველი სრული.

«მასთან იონა, ვინ არ იონა შრომის მოყვარე ცენძურობითა,
«მიტროპოლიტმან გამშინჯ-გამჩხრეკმან, გედეონისმე მველთ გვარობითა,
«ნიკიფორითა მკითხველ სწორითა იგულს მოდგინეს საკმარობითა,
«კეთილ-შობილმა პაიჭაძემან, მესტამბემ ყოვლით სასმარობითა.» და სხ..

თვით საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგის სტამბის შემდეგ, წიგნის ბეჭდვა გახშირდა ყოველგან, განსაკუთრებით 1760 წლიდგან. ყველაზე წინ იდგა სტამბა პატრიარხის ანტონი I, ერეკლე მეფისა, დარეჯანისა. ეს სტამბა

აოხრდა ახა-მაჭმადხანის შემოსვლის დროს. ამ სტამბაში იბეჭ-დებოდა როგორც საეკლესიო, ეგრეთვე საერო წიგნებიც, ზოგ-ნი მათგანნი ნახატებითა. იმერეთში სტამბა შემოვიდა მეფე სოლომონ მეორის დროს. სტამბა იყო გამართული საჩხერე-ში და ქუთაისში. საეკლესიო წიგნები იბეჭდებოდა სამღვდე-ლო კრების ნება-დართვით.

თ. ჟორდანია.

სნეული ოჯახი.

ოხრავს გოგონა ნინუა, ქმარიც ავათ ჰყავს, შვილიცა,
რა ქნას მარტოკამ, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა...
ქმარს უსომს შუბლზე სნეულებს, ხან ჭარხლის ფოთოლს ადებსა,
ხან თხლის შეჭამანდს ჰპირდება თავისგან დანამზადებსა...
მაგრამ თითონაც უძლურობს, ვერც გაახურა თონეა,
დღით მაშვრალს, ღამე ნატეხსა, გამოელია ღონეა!...
გვერდით არავინ არა ჰყავს, ბევრჯელ ინატრა მშობელი,
არა ჰყავს: არც წყლის მომტანი, არც მჭადის გამომცხობელი!..
კვნესის ბეჩავი ნინუა, არსაით უჩანს მკურნალი,
სიცხით ეწვება ქმარ-შვილი და ეხოცება მწყურვალი!...
ოხრავს გოგონა ნინუა, ქმარიც ავათ ჰყავს, შვილიცა,
რა ქნას ბეჩავმა, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა!...

თ. რ. ერისთავი.

ღამით მზიანი ქვეყანა
ანუ
შვეცია და ნორვეგია

(დასასრული) *)

II

თვითმართველობა შვეცია-ნორვეგიაში შეადგენს საზოგადო წყობილების სამირკველს, და ხალხს შეძლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს თავის ქვეყნის მართვაში. შვეციაში ყველა სოფლის მრევლი (რიცხვით 2,954), ქალაქი, ან დაბა (95) ადგენს საზოგადოებას, ან მუნიციპალიტეტს, რომლის წევრებათ ყველა მცხოვრებელია, ვინც კი საზოგადო ხარჯს იხდის. ამასთანავე არსებობენ სამრევლო, ანუ საეკლესიო რჩევანი, რომელნიც განაგებენ სკოლის, ეკლესიის და სასაფლაოების საქმეებს. მუნიციპალიტეტში თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელი. მთავრობის წარმომადგენელი სამრევლო რჩევაში არის ლენსმანი, მუნიციპალიტეტში—ბურგომისტრი, რომლებსაც აღსრულებაში მოჰყავთ რჩევათა გარდაწყვეტილებანი. ადმინისტრატიულის მხრით შვეცია იყოფა 24 მაზრად—თითოეული მაზრა იყოფა რამდენსამე თემად. მაზრებს აქვსთ

---

*) «ივერია» № 1, 1884 წ.

თავისი რჩევანი (ლანდსტინგი), რომელნიც წარმოადგენენ თვით-მმართველობის უმაღლესს ფუნქციას. ლანდსტინგი შესდგება ქალაქების და მრევლების დეპუტატებისაგან. დეპუტატების ამორჩევაში ხმა ყველასა აქვს. დეპუტატად ამოირჩევა ყველა, მხოლოდ არა ნაკლებ ოც-და-ხუთის წლისა. დეპუტატების რიცხვი დანიშნულია: ქალაქებისთვის **2,500** მცხოვრებელზე ერთი, და სოფლებისაზე **5,000** მცხოვრებლისათვის. ლანდსტინგის წევრნი ირჩევიან ორი წლობით. ამ ხანის გასვლის შემდეგ ერთი მათგანი კენჭის-ყრით სტოვებს ადგილს და მის მაგიერად სხვას ირჩევენ. ლანდსტინგი იკრიფება ყოველ-წლივ შვიდი დღით, მეფეს უფლება არა აქვს იგი დაშალოს; მაგრამ არა ჩვეულებრივ დროს კი უფლება აქვს შეჰკრიბოს. ლანდსტინგის წევრებს ჯამაგირი არ ეძლევათ, სამგზავრო ხარჯის გარდა. ლანდსტინგის თავმჯდომარე ინიშნება მთავრობისაგან. გუბერნატორი მონაწილეობას იღებს ბაასში, მაგრამ ხმა კი არა აქვს. ლანდსტინგს ექვემდებარება ყველა საქმეები შესახებ ეკონომიური მდგომარეობისა, მეურნეობისა და ვაჭრობისა, გზებისა, საზოგადო ჯანმრთელობისა, საზოგადო აღზრდისა, საზოგადო წესიერებისა და ქვეყნის გამაგრებისა. ამის ხელშია აგრეთვე ხარჯის გაწერა, მოკრეფა და სხვ.

შვეციის დიდრონ ქალაქებს აქვთ მინიჭებული განსაკუთრებული თვით-მმართველობა და თავის წარმომადგენლებს არა გზავნიან პროვინციალურ რჩევებში. ქალაქის მუნიციპალური რჩევა შესდგება ასი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ ქალაქის ხარჯის მძლეველი მცხოვრებლები; ხმის რაოდენობა არის დამოკიდებული ხარჯის რაოდენობაზედ, ე. ი. ერთი კრონი (**1 მ. 45 კ.**) აძლევს კაცს ერთს ხმას; მაგრამ ამასთანავე ერთს კაცს ას ხმაზედ მეტი არ შეიძლება ჰქონდეს. მუნიციპალურ

რჩევაში თავმჯდომარეობს გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორს კი თვით რჩევა არჩევს. ამ ქალაქის რჩევას ექვემდებარება ყველა ქალაქის საქმეები. მთავრობა ვერ დაშლის ვერც პროვინციალურ, ვერც მუნიციპიალურ რჩევებს. თითო წევრი 2 კრონს ჯარიმას იხდის, თუ კრებაზე არ დაესწრება და 49 კრონს იხდის, თუ ნახევარი რიცხვი წევრებისა არ მივიდა და ამის გამო კრება ვერ შესდგა.

თვით-მმართველობა ნორვეგიაში ისეთივეა, როგორც შვეციაში. მთელი სახელმწიფო არის გაყოფილი 17 მაზრად, მაზრები ოლქებათ, ოლქები ოკდერებათ, ოკდერები საზოგადოებად. შინაგანი საქმეების წარმოება ამ დაწესებულებათა ისეთივეა, როგორც შვეციაში, მხოლოდ ნორვეგიაში სამაზრო რჩევანი იკრიფებიან წელიწადში ერთ-ხელ მთავარ ქალაქში, საზოგადო საქმეების გასარჩევათ, მაგალითად: ხარჯის გასაწერად, სკოლების და გზების საქმეების გასარჩევად.

სამსაჯულო უფლება ნორვეგიაში უწინ ეკუთვნოდა საერო კრებას, ეხლა კი ერი ირჩევს მხოლოდ მომრიგებელ კომისიას, რომელიც შესდგება ორი მსაჯულისაგან. ეს კომისიები არჩევენ სამოქალაქო საქმეებს, მინამ ეს საქმეები გადავლენ ჩვეულებრივ სასამართლოში. ამ გვარი მომრიგებელი კომისიები 55 ქალაქებშია, 517 სოფლის ოლქებში. კომისიის წევრები აირჩევიან სამი წლობით, ჩვეულებრივი წესით. თუ რამდონათ სასარგებლოა ეს კომისიები, ამას გვიმტკიცებს შემდეგი ფაკტი: 1877 წ. ამ კომისიებმა გაარჩიეს 84,169 საქმე და ამათში მხოლოდ 13,968 საქმე გადავიდა ჩვეულებრივ სასასამართლოში. ნორვეგიაში ნაფიცი მსაჯულები არ არიან, მაგრამ ამათ მაგივრათ არის ორი ასესორი, რომლებსაც სრულ-

წლოვანი მცხოვრებლების სიიდამ ირჩევენ და ესენი თავის ხელის მოწერით ამტკიცებენ, რომ საქმის გარჩევა კანონიერად იყოვო. ნორვეგიაში პირველი ინსტანციის სასამართლოების რიცხვი არის 116, უმაღლესისა—5. ნორვეგიის სასამართლოებში პროკურატურა სრულიად არ არსებობს. გამამტყუნებლად აქ არის ან გუბერნატორი, ან სხვა რომელიმე პირი ადმინისტრაციისა. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ მსაჯულნი პასუხს აგებენ ზარალისთვის, თუ იგი მოუვიდა მათთან მისულ კაცს, ანუ მათის უცოდინარობით, ანუ განზრახ ბოროტმოქმედებით.

სამსაჯულო უფლება შვეციაში თითქმის ისეთივეა, როგორც ნორვეგიაში, მაგ. იქაც არ არიან ნაფიცნი მსაჯულნი, გარდა ბეჭვდის შესახებ დაწყობილი პროცესებისა. შვეციის დაბალ სასამართლოებში ხალხიც იღებს ცოტა რამ მონაწილეობასა. ქალაქის სასამართლოებში ბურგომისტრის გარდა, მონაწილეობას იღებს ოთხი ასესორი, რომლებსაც ნიშნავს მუნიციპალური რჩევა; სოფლის სასამართლოებში არის თორმეტი ასესორი, თვით ხალხისაგან ამორჩეული, მაგრამ მათი უფლება კი ძალიან განსაზღვრულია. შვეციაში არის სამი აპელაციური სასამართლო, შემდგარი თავმჯდომარისაგან და თხუთმეტი წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს თვით მეფე. ამ სასამართლოს ექვემდებარება სიკვდილით დასჯის საქმეები, ღვთის გმობა, შეურაცხყოფა მეფისა და აზნაურების დანაშაულობანი. უმაღლესი სასამართლო სტოკგოლმში მეფისაგან დანიშნულ პირთაგან შესდგება. წევრთა რიცხვი არის თექვსმეტი, თვით მეფესაც ორი ხმა აქვს, თუ ისურვა საქმის გარჩევაში მონაწილეობის მი[illegible]

არც ერთ სახელმწიფოში არ არიან ისე პატივ-ცემულნი

მსაჯულნი და მოსამართლენი, როგორც შვეცია-ნორვეგიაში. საქმეების გარჩევა არ არის გარემოცული ათასგვარი მანქანებით. საქმე სწარმოებს მოკლედ, მარტივად, ყველას თვალწინ. მსაჯული აქ არის კეთილი მამა, რომელიც არჩევს შვილების საჩივარს. იმისთვის სამწუხაროა შვილების შორის შუღლის ჩამოვარდნა, იმიტომაც სცდილობს მოარიგოს იგინი მამაშვილურად. თვით ხალხს სასულიეთ საქმის გასვლომა სირცხვილად მიაჩნია. მსაჯულებს ეს კარგათ ესმით, და ხშირად მთელ საქმეს ათავებენ მხოლოდ საყვედურით, რომელსაც ხალხი უცქერის, როგორც დიდს სასჯელს და თავის პატიოსნების შეურაცხყოფას.

ნორვეგიაში, სადაც მთლად ერი მიწის მსვნელია, პატიოსნების გრძნობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, სადაც ხალხი პირდაპირ არ არის დაკავშირებული მიწასთან. ნორვეგია თავის დღეში არა ყოფილა ფეოდალურ მხარედ, ბატონ-ყმობას არ დაუსვავს მისთვის მონობის ბეჭედი, ისე რომ ნორვეგიელები ყოველთვის განირჩეოდნენ თავისუფალი, დაუმოკიდებელი ხასიათით.

როგორც ეხლა არიან კეთილშობილნი, ამპარტავანნი მუშაკნი თავის საკუთარის მიწისა, რომელიც ყველაფერს აძლევს მათ, ეგრეთივე იყვნენ მათი წინა-პარნიც. თუ ხალხს აქვს მიწა, მაშინ ხალხში ბუნებითვე ფესვს იდგამს პატიოსნება, კეთილ-შობილება, პატივისცემა კანონისა და ყველაფრისა, რაშიაც კი იხატება წესიერება და ზნეობა. ერთი უბედურებათაგი ახლანდელი აღებ-მიცემობის მიმდევარ ქვეყნებისა მდგომარეობს იმაში, რომ ხალხს არა აქვს კავშირი მიწასთან, ისა სცხოვრობს ფასით, რომელსაც აძლევენ სამუშაოში, როგორც დაქირავებულს და ამასობაში მუშა ჰკარგავს პატიოსნებაზედ ცნებას, ის პატივს

აღარა სცემს კანონს, არღვევს ზნეობრივ წესებს. მაგრამ თუ ხალხს მიწა აქვს, მაშინ სულ სხვა არის. მაშინ ის გრძნობს, რომ მისი პირადპირი კეთილ-დღეობა მოითხოვს კანონის დაცვას, იმიტომ რომ ამ კანონს აქვს საგნად ბედნიერება ქვეყნისა, რომლის ნაწილი იმასაც ეკუთვნის.

მასწავლებლები ისევე პატივცემულნი არიან ამ სახელმწიფოებში, როგორც მსაჯულნი. დიუშალიუ ამბობს: «მე განსაკუთრებულის სიამოვნებით ვხედავდი მთელ სკანდინავის ნახევარ კუნძულზედ, როგორ პატივსა სცემენ მასწავლებელთ, რომელთ ხელობაც—შთამომავლობის აღზრდა—ითვლება საპატიო და კეთილშობილურ ხელობად და იმიტომ ძვირად ფასობს. ეს იმიტომ ხდება, რომ სოფლის მასწავლებლები განათლებული ხალხია, ხშირად უნივერსიტეტის დიპლომებით. ღარიბ სოფლის ოლქებში კი მასწავლებლებად არიან თვით მცხოვრებლებთაგანნი, რომლებიც თუმცა ძალიან ნასწავლები არ არიან, მაგრამ მაინც პატივცემულნი არიან კეთილის ფერმერებისაგან, რომლებიც დიდის სიამოვნებით იღებენ მათ თავიანთ ოჯახებში.» სკოლები შეადგენენ მუდმივ საზრუნველ საგანს და საზოგადოთ ხელ-მოჭერილნი შვედები—ძალიან უხვები არიან ამ მხრივ. ერთმა გუბერნატორმა უთხრა დიუ-შალიუს: «თუმცა ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ფულების დახარჯვა სკოლებზედ»,—და გუბერნატორმა ამპარტავნებით ხელი გაიშვირა მშვენიერ სკოლისკენ ერთ პატარა ღარიბ ქალაქში. მართლაც მეორე გამოჩენილ მოგზაურს ესლინ შვარცს გაკვირვებით მოჰყავს მაგალითად ერთი მასწავლებელი მივარდნილ ჩრდილოეთის ლაპლანდიაში: ეს იყო ნიჭიერი, განათლებული კაცი, რომელსაც ეძლეოდა 1,200 კრონი ჯამაგირი (კრონი 1 მ. და 45 კ.) სახლისა და შეშის გარდა. «გახსოვდეთ, ამ-

ზობს ფრანცუზი-მოგზაური, «რომ აქ მეცადინეობა სკოლაში გრძელდება მხოლოდ ოც-და-ერთი კვირა, და შეადარეთ ამისი მდგომარეობა ფრანციელ მასწავლებლების უბედურ მდგომარეობასთან და მაშინ ცხადათ დაინახავთ, როგორ ძვირად ფასობს მასწავლებლის შრომა შვეცია-ნორვეგიაში.»

სავალდებულო უფასო სწავლა დიდი ხანია რაც შემოღებულია სკანდინავის ნახევარ კუნძულზედ. 1842 წ. შვეციის სეიმმა დასდო კანონად, რომლის ძალითაც ყველა ბავშვი ვალდებულია იაროს საზოგადო სკოლებში, ან შინ ისწავლოს ცხრა წლამდის. ნორვეგიამაც მიჰბაძა ამ მაგალითს და 1848 წ. შემოიღო სავალდებულო სწავლა. 1874 წ. სტატისტიკური ცნობებიდამა სჩანს, რომ შვეციაში 738,204 ყმაწვილი იყო სასკოლო წლოვანებისა, ანუ 17% მთელი მცხოვრებლებისა. ამათში 615,135 ანუ 83,5% დადიოდა პირველ დაწყებით სკოლებში. 9,267—საშუალო სასწავლებლებში. 29,066 კერძო პანსიონებში, 67,021 იზრდებოდა სახლებში. სულ გამოდის 720,479 ანუ 97,6%, მაგრამ ეს რიცხვი თანდათან იზრდება, ისე რომ 1878 წ. 98% ყველა ყმაწვილების რიცხვისა დადიოდა სკოლებში, როდესაც რომ საფრანგეთში სკოლაში მოსიარულე ყმაწვილების რიცხვი 75% იყო, ინგლისში 72%, შეერთებულ შტატებში 82%. პირველ-დაწყებითი სკოლები რიცხვით 8,133 არის (ამათ რიცხვში 1,149 მოძრავი სკოლაა) ანუ ერთი სკოლა 534 მცხოვრებზედ. მასწავლებლების რიცხვი არის: 4,803; მასწავლებელ ქალების რიცხვი 4,072. პირველებიდამ 3,448 და მეორებიდამ 435 ჰქონდათ ატესტატები საოსტატო სემინარიებიდამ. გადავალთ ნორვეგიაში და იქაც გავკვირდებით სავალდებულო სწავლის შედეგით. 1875 წ. ნორვეგიაში იყო 1,817,000 მცხოვრებელი და სასკოლო წლო-

კანების ყმაწვილების რიცხვი 267,009, რომლებიდამ 211,000 დადიოდა მუდმივ სკოლებში, 20,000 მოძრავ სკოლებში, 4,000 კერძო პანსიონებში, 17,000 სწავლობდა კერძო და უმაღლეს სასწავლებლებში და სახლებში. სულ 262,000, ესე იგი 98% მეტი. მუდმივი პირველ-დაწყებითი სკოლები 4,470 იყო 2,266 მასწავლებლით; მოძრავი 1,911 სკოლა იყო 998 მასწავლებლით. ამ გვარად თითო სკოლა 284 მცხოვრებელზედ მოდის.

ზემოხსენებულნი ციფრები ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ხალხის განათლება ამ პატარა გლეხების სამეფოში, და შორს არ არის ის დრო, როდესაც, მთელ შვეცია-ნორვეგიაში უსწავლელი კაცის პოვნა ისევე ძნელი იქნება, როგორც მაგალითად ზოგიერთს ქვეყნებში ნასწავლი კაცის პოვნა არის ძნელი. იმიტომაც ამ ხალხის კეთილ-დღეობა დღითი-დღე მატულობს. გონებრივ განვითარებას ზედ მოსდევს ნივთიერი გაუმჯობესობა. ვერც ერთ სახელმწიფოში თქვენ ვერა ნახავთ ისე თან-ტოლად განაწილებას, როგორც გონებრივის, ეგრეთვე ნივთიერის ძალისას, როგორც შვეციის ნორვეგიაში. თქვენ იქ ვერა ნახავთ იმ შესაძრწუნებელ სურათებს, რომ ერთ მხრივ მფლობელობდეს გაცოფებული სიმდიდრე და იმის გვერდით კაცს გულსა ჰკმირავდეს გამოუთქმელი სიღარიბე. იქ ყველაფერი შეზავებულია, ყველაფერი შეხამებულია. რა არის უპირველესი მიზეზი ამ კეთილ-დღეობისა? შრომა, მკითხველო, თავისუფალი შრომა! შრომა არის ის მძლავრი აზარმაცი, რომელზედაც ტრიალებს ბედნიერება ამ პატარა სახელმწიფოში. ისინი ჩვენსავით გაჭირვებაში ტირილს კი არ მოჰყვებიან ხოლმე, არამედ მაშინვე შეერთებულის ძალით მიადგებიან საქმეს და გააკეთებენ კიდეც; ისინი მთელ თავის სიცოცხლეს ქიშპობაში კი არ ატარებენ, არამედ შეკავშირებულნი არიან

წრფელის ძმურის სიყვარულითა, და ეს ხომ ისეთი ძალა არის, რომელსაც წინ ვერა აღუდგება-რა. იქ საქმის გაკეთება სირცხვილად როდი მიაჩნიათ; იქ კაცი როდი იტყვის «მუშაობა რათ გვადრება ჩემ კეთილშობილებასაო.» იქ კაცი, რომელსაც წელიწადში ოცი თუმნის შემოსავალი აქვს, როდი ცდილობს დახარჯოს ორმოცი თუმანი. იქაური ფერმერი-მემამულე, ყოველ-წლივ ნაწიბურებს კი არ ახვევს თავის მამულს ჩვენებურათ, არამედ ცდილობს მოუმატოს რამე და მოუმატოს არა სხვის გაგლეჯით, არამედ პატიოსნურის შრომით. როგორც შედეგი ყველა ამისა, იქ წურბელები ვერა ხარობენ, როგორც ჩვენში.

III

როგორც ზემოთა ვსთქვით, საზოგადოების და ეკონომიურის წყობილების ბურჯად შვეცია-ნორვეგიაში აღიარებული არის თავისუფალი მიწის მხვნელი. არც ერთ და არც მეორე ქვეყანაში არას დროს არ ყოფილა ბატონ-ყმობა და ფეოდალური დამოკიდებულება მიწის პატრონისა და მიწის მომვლელის შორის. ერთიც და მეორეც იქ მოთავსებულია ერთ პირში და ფეოდალურის წყობის მაგივრად, რომლის მძიმე უღლიდამ ვერ განთავისუფლებულან თვით განათლებული სახელმწიფოები ევროპაში, აქ ყოველთვის უპირატესობა ჰქონდა ესრედ წოდებულ ალოდიალურ სისტემას, რომლის ძალითაც მოძრავი და უძრავი ქონება თანასწორეთ იყოფება ოჯახის ყველა წევრებ შორის. ამ სისტემამ მიწა კი არ დაჭყო პატარ-პატარა ნაწილებად, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის გამოკვება, როგორც ბევრს ჰგონა, არამედ შესდგა მოზრდილი ფერ-

მები, საკმარისნი ოჯახების გამოსაკვებათ. იმიტომაც ამ ქვეყნებში სუფევს თანაბარი განაწილება ქონებისა. ინგლისში კი, სადაც რვა საუკუნეზე მეტი ბატონობდა ფეოდალური წესი, მიწა შეგროვილია რამდენსამე მდიდრის და არისტოკრატის ხელში, ღარიბების რიცხვი დიდია და ხალხის უმრავლესობაც არ არის კმაყოფილი, ბედნიერი და თვით მოქმედი. ამ უგასნასვნელ თვისებას ხალხისას ჰბადავს, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, მხოლოდ მამულის მფლობელობა, და სადაც ხალხი მოშორებულია დედა-მიწას, იქ ამ ხალხის თვით-მოქმედება დამოჩავებულია. უმამულოთ ხალხი ვერ იჩენს თავის განსაკუთრებულ ნაციონალურ თვისებებს. აიღეთ მაგალითად ჩვენ რკინის გზებზედ მოსამსახურე პირები. ხომ დიდი ხანი არ არის, რაც ეს გზა გაიხსნა, მაგრამ ერთი შეხედეთ იქ მოსამსახურე მეგრელებს, იმერლებს და ქართლელებს ისინი ყველაფერნი არიან და არა ის, რაც უნდა იყვნენ: ისინი აღარც ქართლელები არიან, აღარც მეგრელები და აღარც იმერლები. იმათი ზნეობითი იდეალი არის აშენებული «სყიდვა-გასყიდვის» პრინციპზედ. მაგრამ მებაღე იმერელი კი, საუკუნოდ რჩება იმერლად. მიზეზი არის—მიწის ზედ-გავლენა ადამიანის ხასიათზედ. გააჩინეთ ბლომად ქარხნები, ფაბრიკები, რომლებიც პირველ ხანებში, იქნება მეტს მისცემენ, ვიდრე ამლევს ეხლა მიწა და მაშინ ჩვენი გლეხობა დააგდებს გუთანს, გავა ქარხნებში სამუშაოდ; ცოტათი გაიხსნება გონებით, უფრო გარეგნობით, მაგრამ დაეცემა ზნეობით, ჩავარდება სიღარიბეში, და დაჰბადავს იმ პროლეტარიატს, რომელიც ეხლა მძიმე ლოდად აწევს განათლებულ ევროპასა.

მიწის მფლობელობა, როგორც შვეციაში, ეგრეთვე ნორვეგიაში არის დამყარებული ერთსა და იმავე საფუძველზედ—

ალოდიალურ წესზედ, მაგრამ ისტორიული შემთხვევების ზედ-გავლენით, ამ წესებმა მიიღო სხვა-და-სხვა ფორმები, და ნორვეგია უფრო კარგს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე შვეცია. 1789 წელს იყო გამოცემული კანონი, რომლის ძალითაც გლეხების საკუთრებათ ხდებოდა ის სახელმწიფო მამული, რომელიც მათ ეჭირათ და ყველა წოდებას ნება მიეცა სააზნაურო მამულების შეძენისა. ამ დროდგან იწყება მამულების გადასვლა გლეხების ხელში და ეხლა შვეციაში მიწის მფლობელების რიცხვი შესდგება გლეხებისაგან. 1878 წელს შვეციაში იყო 270,580 მიწის მფლობელი, და სახნავ მიწას

2 აკრს *) მფლობელობდა	— — —	68,000 კაცი.
2-დამ — 20	— — — — — — —	176,000 —
20 — 100	— — — — — — —	24,500 —
უმეტეს 100	— — — — — — —	2,080 —

სულ კერძო მიწის ნაჭრები იყო 200,000; გარდა ამისა წვრილი ფერმები იყო 185,000. სულ მიწის-მფლობელების რიცხვი იყო 270,580; ამათში 200,000 გლეხებისაგან შესდგებოდა. საშუალო რიცხვით შვეციის გლეხი ჰფლობს 30 აკრს სახნავს და 26—სათიბ ადგილს. დიუშალიუს გამოანგარიშებით შვეციაში ერთი ფერმა ითვლება 17 მცხოვრებელზედ, ერთი ძროხა ორზე და ერთი ცხენი ათს მცხოვრებელზედ.

შვეციაში, როგორც მოძრავი, ეგრეთვე უძრავი ქონება თანასწორეთ იყოფა შვილების შორის სქესის განურჩევლად; მხოლოდ ვაჟი-შვილებს უფლება აქვთ ამოირჩიონ თან-ტოლად დაყოფილი ნაწილთაგანნი, ქალიშვილები კი კმაყოფილდებიან და-

---

*) აკრი არის მიწის ზომა. უდრის 0,37 მესამედს დესიატინისას ანუ 888 ოთხ-კუთხ საჟენს, თითქმის 3/4 დღიურისას.

ნარჩენი ნაწილებით. რომ მამული ბევრ ნაწილად არ დაიყოს, დაწესებულია, რომ ყველა ნაწილს უთუოდ შეეძლოს სამი სულის გამოკვება, ე. ი. უნდა იყოს 8—14 დღიურამდე. ამაზედ წვრილად მამულის დაყოფა სასტიკად აღკრძალულია. მაგრამ აქაც ამ უკანასკნელ დროს ხალხმა გამოიჩინა სურვილი შეაერთოს დაყოფილი ნაწილები დიდ ფერმებად, რომ უფრო კარგად ისარგებლონ მაშინებით და სხვა სამეურნეო მოწყობილობით. ამ სახით მამულის საერთო მფლობელობა აქაც პოულობს ნიადაგს, და შორს არ არის დრო, როდესაც კერძო საკუთრება სრულიად აღარ იქნება, და შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ამ ქვეყნების კეთილ-დღეობაც ერთი-ორად იმატებს ამის გამო.

მიწის მფლობელობა ნორვეგიაში იმავე საფუძველზედ არის აღშენებული, როგორც შვეციაში, მხოლოდ უფრო დემოკრატიული ხასიათი აქვს და უფრო ბლომად იპოვება თემში (ОБЩИНА). საზოგადოთ სკანდინავიაში ბევრი მიწების საერთო მფლობელობაში; შეუმუშავებელი ადგილები, მთიანი საძოვრები და ტყეები ეკუთვნის რამდენსამე ოჯახს, ან სამრევლოს, ზოგჯერ რამდენსამე სამრევლოს ერთად. ზოგიერთ ადგილებში მიწა იყოფა წევრთა შორის რამდენიმე წლით. ერთი მოგზაურის სიტყვით, ნორვეგიაში ერთს ალაგას აქვთ ჩვეულება, რომლის ძალითაც ფერმერები ყოველ 50 წლის შემდეგ ერთმანერთს უცვლიან ფერმებს, ისე რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ყველას ეძლევა შემთხვევა ისარგებლოს საუკეთესო მიწით. ზოგან ტყე ასე იყოფოდა: ერთს ეკუთვნოდა მხოლოდ ფიჭვის ხეები, მეორეს ნაძვები, მესამეს ცაცხვები, მეოთხეს ბალახი, მეხუთეს თვით ნიადაგი. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კანონით აღეკრძალათ ტყის ამ გვარი გაყოფა, რადგანაც ნია-

დაგის პატრონი მტრად უხდებოდა ხეების პატრონებს. 1876 წ. მთელი ნორვეგიის მეშვიდედი იყო საერთო მფლობელობაში.

1878 წ. ნორვეგიაში იყო 149.013 ფერმა. ამათგან 135,150 შეიმუშავებდნენ და უვლიდნენ თვით პატრონები, და მხოლოდ 13,863 ფერმა იყო იჯარით გაცემული, ისე რომ ერთი ფერმა მოდიოდა თორმეტ მცხოვრებელზედ. ამ სახით ნორვეგიაში იყო 85% მოსაკუთრე და 15% მოიჯარადრე; შვეციაში კი 62% მოსაკუთრე და 38% მოიჯარადრე.

ნორვეგიაში სრულიად არ არის დიდრონი სააზნაურო მამულები, როგორც მაგალითად სხვაგან, სადაც ზოგან მთელი მაზრები ერთს გვარს ეკუთვნის. ნორვეგია ყოველთვის ყოფილა და ესლაც არის სამეფო, სადაც ხალხს მინიჭებული აქვს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მამულის საკუთრება. თუ სადმე კიდევ დარჩა ნორვეგიაში ძალიან ცოტა სააზნაურო მამულები, ამათ პატრონებს არა აქვთ რაიმე გავლენა ხალხზედ და ცდილობენ გაყიდონ თავიანთი ფერმები, ისე რომ, მართალაც შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა გლეხი ნორვეგიაში იქნება მიწის პატრონი, ან საკუთრებისა და ან საერთო მფლობელობის წესზე.

თუმცა სკანდინავია ვერ დაიტრაბახებს თბილი ჰავით, ნიადაგის ნაყოფიერებით, მაგრამ ნორვეგიელ გლეხებს მთელ ევროპაში პირველი ადგილი უჭირავთ ნივთიერის კეთილ-მდგომარეობით და ზნეობითი სიმაღლით. მეტადრე ამ თვისებით გაირჩევიან იქაური ბონდერები ანუ გლეხები, მიწის პატრონები, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფოს წყობილების ბურჯსა. ლენი ამბობს: «ბონდერი არავისი ბატონია, მაგრამ არც მონაა ვისიმე. იმას იმოდენა მიწა არა აქვს, რომ პირადი შრო-

მა არ დასჭირდეს, მაგრამ ამასთანავე არც ისე მცირეა, რომ ერთი ოჯახი ვერ გამოჰკვებოს. იმათ გასაყიდათ კი არ მოჰყავთ მოსავალი, არამედ მხოლოდ თავიანთის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ისინი თვითონვე იშენებენ სახლებს, თვითონვე იკეთებენ ავეჯეულობას, გუთნებს, ურმებს, ცხენის იარაღებს, რკინისა და ხის ნივთებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც კი ოჯახში საჭიროა, შუშეულობისა და ფოლადის ნივთების გარდა. ამიტომაც ისინი იმყოფებიან უფრო კარგს მდგომარეობაში, ვიდრე სხვა სახელმწიფოების გლეხები. ამ სახით, თუ სადმე მოიპოვება კმაყოფილი ხალხი, ეს ხალხი უნდა იყვეს ნორვეგიელი ბონდერები. ისინი სცხოვრობენ ლამაზ, მოხერხებულ, სუფთა სახლებში; იმათ აქვსთ ბლომათ ლოგინი, საცვალი, ტან-საცმელი, საჭმელი და სასმელი».

IV

ჩვენ აღარას ვიტყვით კერძოდ გამოჩენილ ფერმერებზედ, როგორც არიან ტაფტე, ბიელსტაგ. აღარას ვიტყვით იმათ დემოკრატიულ ცხოვრებაზე, იმათ შრომის-მოყვარეობაზე, იმათ თავმდაბლობაზე, იმათ მამა-შვილურ მოქცევაზე მუშებთან, იმათ გავლენაზე ხალხის ყველა მოქმედებაში. ყველა ამის აღწერა მალიან შორს წაგვიყვანდა; იმიტომაც ჩვენ გადავალთ საერთოდ სკანდინავის ხალხის ჩვეულების, ზნეობის, ვაჭრობის, სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობის აღწერაზე.

«საერთო აბანოები», ამბობს დიუ-შალიუ, «არის იმის-

თანა დაფუძნება, რომელიც აშკარად გვიჩვენებს სკანდინაველე-ბის პატრიარხალურ მიმართულებას. ეს არის ერთი პატარა უფანჯრო ხის სახლი, რომელიც სდგას ყოველთვის სოფლის განშორებით. ყოველ შაბათობით ეს აბანო ხურდება და სოფ-ლის მცხოვრებლები ბანაობენ ყველანი ერთად. უცხო კაცს არ უშვებენ ამ აბანოებში. იმას ცალკე შეუძლია ბანაობა; ჩვეულებ-რივ სტუმრისთვის აბანოს მართვენ შინ, დიდ ქვაბში, რომელ-შიაც საქონელს საჭმელს უმზადებენ. მაგრამ აქაც ბანაობის დროს ეხმარება ახალ-გაზდა ქალი, რომელიც დაურიდებლად ჰბანს საპნით. ზოგიერთ დიდრონ ქალაქებშიაც აბანოებში ემ-სახურებიან ქალები, მხოლოდ მოხუცებულები. როდესაც კარ-გად დავუახლოვდი მცხოვრებლებს, მხოლოდ მაშინ მიმიწვიეს საერთო აბანოში. მე ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირ-ველი ბანაობა. ერთხელ შაბათს მოვიდა ჩემთან რამდენიმე ყმაწვილი და მითხრეს: მოდი ჩვენთან იბანეო. ახალ-გაზდა ქალები და მათი მშობლებიც დასთანხმდნენ. საშინლად ციოდა და დედა-მიწა თოვლით იყო დაფარული. საღამოთი მე ფან-ჯრიდამ დავინახე, რომ ახალ-გაზდა ქალებმა გაირბინეს აბანოსკენ იმ სახით, რომლმაც მამაღონა აფრიკა. მერე მათ მოჰყვნენ დედაბრები, მოხუცებულები, ახალ-გაზდა ვაჟები და ყმაწვილები. სუყველანი მთლად ტიტვლები იყვნენ გარდა ბებე-რი დედა-კაცებისა, რომელთაც ძველი იუბკები ჰქონდათ აფარე-ბული. ბოლოს მეც წაველი სუბუქათ ჩაცმული. შევაღე კარი, შეველი და იქ დამხვდა ბლომად ხალხი, რომელმაც სიხარუ-ლით მიმიღო. პატარა ხანს უკან, ბანაობა რომ გაათავეს, ისევ ტიტვლები დაბრუნდენ სახლებში და გზაზედ ბევრმა თოვლში დაიწყო გორაობა; მეც მივბაძე იმათ და ეს ძალიან სასიამოვ-ნოთ მეჩვენა. შინ რომ დავბრუნდი, მაშინვე არ ჩავიცვი, რომ

გაუშრალვიყავი, და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ჩემთან შემოვიდნენ სახლის პატრონი ქალი და იმისი ორი ქალი-შვილი სრულიად ჩაცმულები. მე საშინლად შემრცხვა, არ ვიცოდი რა მექნა; ისინი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ და დამიწყეს დამშვიდებით მასლაათი. ყველა ეს, რასაცა გსწერ, მე მინახავს ჩემის თვალით. აქ საკვირველიც არ არის-რა. ყველა ჩემი მეგობრები ბანაობდნენ ერთად და არავის უკვირდა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ ევროპაში არ არის სახლხი, რომელიც ზნეობით შვეცია-ნორვეგიელებზედ მაღლა იდგეს. არც ერთ გარყვნილ ქალს, რომ გამოჩენილიყო კიდეც, არ აცხოვრებდნენ ამ პატრიარხალურ სოფლებში».

ყველა ზემოთქმულიდამ შეიძლება გამოვიყვანოთ ხასიათი სკანდინავის ხალხისა. ეს არის მამაცი, კმაყოფილი, პირმტკიცე ხალხი. მათი ცივის, მშვიდ და თითქმის სასტიკ გარეგნობის ქვეშ იმალება ჩვილი, მხურვალე გული. დიუ-შალიუს თავის იქ ყოფნაში არ გაუგონია, რომ მშობლებს ეთქვათ რამე ხეპრული სიტყვა თავის შვილებისთვის; არ უნახავს არც ერთი ჩხუბი ცოლ-ქმრებ შორის. უპირველესი თვისებანი ამ ხალხისა არის: პატიოსნება, უბრალო ქცევა, სიფხიზლე, ანგარიშით ცხოვრება, განათლება, პოლიტიკურად დაკმაყოფილებული; თანასწორობის გრძნობა, შრომისა და სტუმართ-მოყვარეობა, ზრდილობა.

პატიოსნობა სკანდინაველისა საანდაზოთ არის გამხდარი და ეს ცხადათ მტკიცდება იმ ყველასაგან ცნობილი ფაქტებით, რომ იქ არაფერს არა ჰკეტავენ. ეს ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი ხალხსა, რომ მოსამსახურე ერთს წამს არ დადგებოდა იმ სახლში, სადაც პატრონი მოინდომებდა კამოდების, ან შკაფების დაკეტვას. სახლის პატრონი რომ წავა სადმე,

სახლის გასაღებს გარეთა კარებში არჩენს, რომ ვინიცობაა მეზობელს, ან მოგზაურს დასჭირდეს სახლში შესვლა, შეეძლოს კარების გაღება. დიუ-შალიუ რამდენჯერმე დამდგარა ამისთანა ცარიელ სახლში. ამავე მოგზაურს უნახავს მივარდნილ ადგილებში მთავრობისაგან აშენებული პატარა სახლები მოგზაურებისათვის. ამ სახლებში ყოველთვის მოიპოვება თბილი ტანისამოსი, საცვალი და საჭმელ-სასმელი, დატოვებული რომელიმე მოგზაურისაგან თავის დაბრუნებამდის. თავის დღეში მათთვის ხელი არავის არ უხლია. სტონი ამბობს, რომ იმისმა ქმარმა დიდ გზაზედ დაკარგა ქისა. ერთიც ვნახოთ უკან მოგვდევდა პატარა ბიჭი და იქნევდა ქისას; მოგვცა და თითონ მსწრაფლად გაიქცა, რომ არა გვეჩუქებინა-რა. დიუ-შალიუსაც ბევრჯელ დაჰკარგოდა ფული, ნივთები, მაგრამ ყოველთვის ისევ უბრუნებდნენ; ერთი რაღაც პატარა ნივთი წლის შემდეგ ნორვეგიიდამ ამერიკაში გაუგზავნეს თავის ელჩის ხელით. ერთმა მუშა ქალმა იპოვა ოქროს მედალიონი და მაშინვე დაუბრუნა პატრონს. პატრონმა ჰკითხა. რატომ არ დამალეო? ქალმა უპასუხა: «მერე, როგორღა უნდა შემეხედნა სხვისთვის თვალებშიაო!» ჩვენში? ნუღარას იტყვით. აიღეთ რომელიც გინდათ გაზეთი და წაიკითხეთ: იქიდამა გვწერენ, რომ ქურდობა გახშირდაო, აქ ავაზაკები დაეცნენ სახლსა და გაქურდესო, იქ ცხენები დაიპარესო და სხვა ამ გვარი ამბები შეგხვდებათ ბლომათ, ძალიან ბლომათ. დაკარგულის დაუბრუნებლობას ვიღა სჩივის: ნეტავი რაც კაცს არ დაუკარგავს, იმასაც ძალით არ ართმევდნენ.

ზნეობით სიმტკიცეს ამ ხალხისას ყველაზედ კარგად გვიჩვენებს სტატისტიკური ციფრები. მცხოვრებლების რიცხვს ძალიან ემატება; ნორვეგიაში ეს რიცხვი ერთი-ორად იქცა 62

წლის განმავლობაში. ხოლო შვეციაში 72 წ. განმავლობაში. ამასთანავე ხალხი არსად სცხოვრობს იმდენი ხანი, რამდენსაც აქ. სიკვდილის პროცენტი არის შვეციაში 18,3% 1,000 მცხოვრებელზედ; ნორვეგიაში კი 17,1%, მთელ ევროპაში არის 20 და 25%, რუსეთში კი 30%. სკანდინავიაში სალდათების სიმაღლემ იმატა, ევროპაში კი იკლო. არც ერთ სახელმწიფოში არ არის ისე მცირე რიცხვი დანაშაულობათა, როგორც სკანდინავიაში; მკვლელობა ძალიან იშვიათად ხდება; ნორვეგიაში ან ერთი, ან ორი მკვლელობა უნდა მოხდეს წელიწადში, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე წელიწადი გადის, რომ მკვლელობა სრულიად არა ხდება.

თავის-მოკვლა, რომელიც ისე მძვინვარებს ყველა სახელმწიფოებში—სკანდინავიაში სრულიად არ არის.

მხოლოდ უკანონო შვილების რიცხვითა სდგას შვეცია ერთ წრეზე ევროპის ზნეობით დაცემულ სახელმწიფოებთან; მართლაც იქ 10% უკანონო ბავშვებისა — ეს ძალიან ბევრი არის. მაგრამ ამათ რიცხვში ითვლებიან ბავშვებიც, დაბადებულნი იმისთანა მშობლებისაგან, რომლებიც სამრევლო წიგნებში ჩაწერილნი არიან ცოლ-ქმრებათ, მაგრამ ვერ მოუსწრიათ საეკლესიო წესის შესრულება. შვეციის კანონების ძალით კი ამ ბავშვებს აქვთ კანონიერის შვილების უფლებანი. ნორვეგიაში კი უკანონო შვილების პროცენტი არ აღემატება 8%.

ყველა მოგზაურები ერთ ხმათ ამტკიცებენ, რომ სკანდინაველები ზნეობით ყველა ევროპიელ ხალხებზედ მაღლა დგანან. ერთად ბანაობა მხოლოდ იმისთანა ხალხს შეუძლიან, რომელსაც გარყვნილობა აზრშიაც არ მოსდის. ეგრეთვე შესანიშნავია ის ფაქტი, რომ სკანდინაველები წვანან ერთად კაცები და ქალები, როგორც შინ, ეგრეთვე გემებში. დიუ-შალიუს

მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ერთხელ ის ყოფილა დაპატიჟებული ქორწილში, მაგრამ ის ყველაზე ადრე წასულა დასაძინებლად. იმას ტანთ-გახდა ვერ მოესწრო, კარები გადებულიყო და ოთახში შესულიყო პატარძალი თავის ამხანაგი ქალით, გაეხადნათ ბაშმაკები და ნახევრათ ჩაცმულნი წამოწოლილიყვნენ მეორე კრავატზედ. «ჩვენ მოვედით თქვენთან, უთხრეს იმათ, რომ თქვენ მარტოკა არ მოგეწყინოთო.»

ლოთობა ერთ დროს მძვინვარე მტერი იყო სკანდინავის ხალხისა. ამ საუკუნის ნახევარში ლოთობა ისე გახშირდა შვეციაში, რომ მთელი ხალხის ზნეობა დიდ საფრთხეში იყო; ორმოც ათასზე მეტი ზავოდი ხდიდა 1855 წ. 130 მილიონ ლიტრა არაყსა. მაგრამ ბოლოს დროს გამოიცა კანონები, რომლებმაც შეავიწროვეს არაყის გამოხდა და გაყიდვა, ისე რომ 1877 წ. იხდებოდა მხოლოდ 77 მილიონი ლიტრა არაყი. რასაკვირველია ლოთობაც შემცირდა. ამ კანონებს ზედ დაუმატეთ განათლების ზედ-გავლენა და მაშინ ადვილად დარწმუნებით იმ მოგზაურებს, რომლებიც ამბობენ, რომ ნორვეგიაში მთვრალი კაცის ნახვა ძნელი არისო.

ეკონომიური ცხოვრება, მომჭირნეობა და პირიანობა არიან აუცილებელნი შედეგნი სიფხიზლისა; და თუ ეს თვისებანი არა, სკანდინავის ფერმერები ვერა გზით ვერ მოახერხებდენ ისე მშვენივრად წაეყვანათ თავისი მეურნეობა. ისინი ყოველთვის კეთილ-გონივრათ მომჭირნეობენ, და თავის დღეში არ აიღებენ პირველის, ან მეორე კლასის ბილეთებს გემებზედ. ამასთანავე ისინი ძუნწები არ არიან და სადაც საჭიროა, იქ დიდს უხვობას იჩენენ. რაც შეეხება სტუმართ-მოყვარეობას შვეცია-ნორვეგიელებს არა ჰყავთ ბადალი მთელ ევროპაში. მოგზაურს ყოველთვის სიხარულით, ზრდილობიანად იღებენ, ასმევენ, აჭ-

მევენ და მალიანა სწყინთ, თუ ფული შეაძლიეს.

თანასწორობის გრძნობა არა ხალხში არ არის ისე გაძლიერებული, როგორც შვეცია-ნორვეგიელებში. სკანდინავის ნახევარ-კუნძულზედ ყველა თავის-თავს სხვის სწორათ სთვლის, იმიტომაც ყველა საქმე პატივ-ცემულია და ხელით შრომა სირცხვილად არ მიაჩნიათ. მდიდარი მემამულეები, პარლამენტის წევრები, მსაჯულები თვითონა მუშაობენ მამულებში, მეფე კარლო-XV ხშირად ხნავდა თავისი ხელით. დიუ-შალიუ მოგვითხრობს ერთის ციხის კამენდანტზე, რომელიც იჯდა თავის სახლის კარებში და შვილებს ფეხსაცმელებს უკერებდა. ახლანდელმა მეფემ ოსკარმა II თავისი სიცოცხლე დააზღვევა. აი სადამდინ მიაღწია ურთიერთ-შორის სათნოების გრძნობამ. დიუ-შალიუს უთხრა ერთმა მუშამ: მე ერთს წამსაც არ დავრჩებოდი იმ ოჯახში, რომელიც მომცემდა ცალკე ოთახს; მე დავწვები მხოლოდ იქ, სადაც წევს მთელი სახლობა.» მუშები, მოჯამაგირეები სჭამენ და წვანან პატრონებთან, რომლებიც ამათ მამა-შვილურათ ექცევიან. იმიტომაც მხოლოდ ამისთანა ქვეყანაში შეიძლება შემდეგი მაგალითი: იყო ერთი ლამაზი, ახალ-გაზდა მოახლე, რომელსაც 500 დოლარი ჰქონდა. ბევრმა ითხოვა ეს ქალი, მაგრამ ყველას უარი უთხრა. «რათ გავთხოვდები, ამბობდა ის მხიარულის სიცილით, მე მუშაობა მირჩევნია».

შრომის [illegible]არეობა აუცილებელი თვისება არის მცხოვრებლისა სკანდინავიაში, რადგანაც სამ თვეში მემამულემ უნდა შეასრულოს ერთის წლის მინდვრის სა[illegible]ადაც გა-

საკვირველი არ არის, რომ ის მოკლე ზაფხულში მუშაობს დილის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდის. დანარჩენ დროს ის სხვა-და-სხვა საქმეებს ანდომებს, რადგანაც ბევრი ფერმერები იმავე დროს მჭედლებიც არიან, ხარაზებიც, თერძებიც. ახლა აიღეთ სკანდინაველების ბრძოლა ბუნებასთან: ზოგან ტყეების გაკაფვა, ჭაობების გაშრობა, რომ მოუმატონ სახნავ მამულებს, და თქვენ მაშინ უფრო ცხადად წარმოგიდგებათ ამ ხალხის უზომო შრომის მოყვარეობა. აქაც არ შემიძლიან ჩვენ ქართველებზე არა ვთქვა-რა: რა გვეშველებოდა, რომ ჩვენც ბუნებასთან ისეთი საბრძოლველი საქმე გვქონოდა, როგორც, მაგალითად, იმ ხალხს? რა გვეშველებოდა, რომ ბუნება თვითონვე ძალათი არ გვაძლევდეს ლუკმას.

სავალდებულო სწავლის წყალობით განათლება აქაურ უბრალო ხალხში უფრო გავრცელებული, ვიდრე სხვა სახელმწიფოების პროვინციალურ საშუალო ხალხში. სკანდინაველებს ძალიან უყვართ კითხვა, და გრძელ ზამთარს წიგნის კითხვაში ატარებენ. თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვება წიგნის მაღაზია. მდიდარ ფერმერებს აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკები სასულიერო და სასარგებლო წიგნებისა, რომლებშიაც უთუოდ კანონის წიგნიც მოიპოვება. ჟურნალ-გაზეთებიც ძალიან არის გავრცელებული ამ ქვეყნებში, იმიტომაც აქაურ გლეხს, ადვილად შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს პოლიტიკას, რომელშიაც ის კარგად არის დახელოვნებული. შესანიშნავია, რომ ნორვეგიელი რა[illegible]ან, როდესაც სხვა სახელმწიფოებში კონსერვატ[illegible]ფრო იჩენენ. ესლანდელი მოთავე ნორვე-

გიულების რადიკალებისა არის სოფლელი პატარა ფერმერი, სახელად იოგან სვერდრუპი.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ამ სამეფოში ქალაქებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ. 1879 წ. შვეციაში იყო სულ 4,578,901 მცხოვრებელი და ამათგან მხოლოდ 690,188 სცხოვრობდა ქალაქებში, რომლებიდამაც მხოლოდ სამს ქალაქში იყო 50,000 მცხოვრებელზე მეტი, მაგალითად სტოკჰოლმში—173,433 მცხოვრებელი და გოტებორგში 76,761 მცხოვრებელი. ნორვეგიაში იმავე წელს იყო სულ 1,916,000 მცხოვრებელი, ამათგან ქალაქში მცხოვრებელი იყო 332,398. თითქმის ყველა შვეციის ქალაქს უჭირავს დიდი ადგილი; აქვთ განიერი ქუჩები, დიდრონი დაბალი სახლები, რომლებიც ერთმანერთზედ მოშორებით სდგანან. მომეტებული ნაწილი სახლებისა, როგორც შვეციაში, ეგრეთვე ნორვეგიაში, წითლად არის შეღებილი. ქალაქის მცხოვრებლები, როგორც საერთოდ მთელი ხალხი, განირჩევა თანაბარის შეძლებით; თუ ძალიან მდიდარი არავინ არის, ძალიან ღარიბიც არ არის. გამოჩენილი ისტორიკოსი ფრუდი ამბობს ერთ ქალაქზე სახელად ბერგენზე: «იქ არ არის მდიდარი სახლები, არც გლახები, არც სიღარიბის ნიშნები.—გყავთ თქვენ ღარიბები? ვკითხე ერთს მენახშირეს:—«ღარიბები? მიპასუხა იმან:—დიახ, ბევრი, მაგრამ ისეთები კი არა, როგორც თქვენ ინგლისში; ყველას ჩვენ ღარიბს აქვს ლუკმა-პური.»

ვაჭრობაში შვეციას და ნორვეგიას უჭირავთ თვალ-საჩინო ადგილი, მეტადრე უკანასკნელს. ყოველ-წლიური ვაჭრული მიმობრუნვა ამ პატარა სახელმწიფოსი აღემატება ნახევარ მილიარდ ფრანკს. ყველაზედ მეტს სკანდინავია ვაჭრობს ინგლისთან. ამ ქვეყნებიდამ გააქვთ ტყე და გარდა ამისა შვეციიდამ

მადნეულობა და პური; ნორვეგიიდამ თევზი. ინგლისიდამ შემოდის: ნახშირი, ბამბის და მატყლის ქსოვილები. მადნეულობიდამ სკანდინავიაში პირველი ადგილი უჭირავს: რკინას და სპილენძს. გარდა ამისა შვეციაში პოულობენ თუთიას (ЦИНКЪ) და ვერცხლს. მაგრამ აქ პირველი ადგილი უჭირავს თევზით ვაჭრობას.

ქარხანები არ არის ბევრი შვეცია-ნორვეგიაში. 1875 წ. იყო 2,719 სხვა-და-სხვა ქარხანა, რომლებიც ამზადებდნენ 240 მილიონი ფრანკის საქონელს და ამუშავებდნენ 200,000 მუშას. უკანასკნელ დროს აქ ძალიან გახშირდა სპიჩკების კეთება. 1876 წ. 98 ქარხანა 3,085 მუშით ამზადებდა 45 მილიარდ კოლოფ სპიჩკას და გაჰქონდათ ყველა ევროპის სახელმწიფოებში 9 მილიონი ფრანკისა. წვრილმანი ხელოსნობა ძალიან არის გავრცელებული შვეცია-ნორვეგიაში.

სახელმწიფო ფინანსების შესახებ სამეფო იმყოფება განსაკუთრებით კარგს მდგომარეობაში. ის ცოტა ხარჯს იხდის, არა აქვს სახელმწიფო ვალი და შემოსავალი კი ყოველთვის აჭარბებს გასავალსა. 1881 წ. შემოსავალი იყო 74,995,000 კრონი*) გასავალი კი 61,814,000 კრონი. დანარჩენი ფული 10,000 მეტი წავიდა რკინის გზების გამოსასყიდავად აღებულ ვალებში. ეს ვალები შეადგენენ 220,296,159, მაგრამ სახელმწიფოს აქვს მიწა და სხვა საკუთრება, რომელიც აღემატება ამ ვალს. ნორვეგიაში იყო: შემოსავალი 43,791,900 კრონი—გასავალი ამდონივე, მაგრამ ამ გასავალში არის ნაჩვენები რკინის გზების გამოსასყიდველად აღებულ ვალებში მიცემული 6,000,000 კრონი. და ახალი გზის გასაკეთებლად

*) კრონი უდრის 1 მან. და 45 კაპ.

8,000,000 კრონი. სახელმწიფო მამულები ნორვეგიას აქვს 84,200,000 კრონისა. მაშასადამე ვალი ჰქონია მხოლოდ 15,432,000 კრონი. ამ სახით სკანდინაველებს შეუძლიანთ დაიტრაბახონ თავის ფინანსების კარგ მდგომარეობით. *)

რ. ჩაჯანაშვილი.

---

*) ეს ორი პატარა სტატია შვეციასა და ნორვეგიაზედ წარმოადგენს შემოკლებით გამოკრებილს ცნობებს ორის ვრცელი წერილიდამ, რომელიც იყო დაბეჭდილი რუსულად ჟურნალ «Отечественныя Записки» წარსულის 1883 წ. №№ 2 და 3. სათაურით: Страна полуночнаго солнца и граматныхъ крестьянъ. ავტ.

თვით-მმართველობა საზოგადოთ და ქალა-ქისა კერძოდ.

(წერილი ქუთაისიდგან)

ერობა და ქალაქის თვით-მმართველობა ერთი უკეთესი და უკეთილშობილესი რეფორმათაგანია წარსულის მეფობისა. თვით-მმართველობა, თუ კი იგი ხეირიანად არის მომართული და მართლა თვით-მმართველობის პრინციპზედ არის დაწყობილი და აღშენებული, წარმოადგენს უტყუარს სკოლას, სადაც საზოგადოება იწვრთნება და ვითარდება პოლიტიკურად. დღეს ევროპის ხალხთა შორის პოლიტიკურად უფრო ის ხალხია გაწვრთნილი, იმ ხალხს უფრო შესაფერად აქვს მოწყობილი ცხოვრება და დამოკიდებულებაც უფრო მკვიდრი აქვს გარეთ და შინ, რომელიც სარგებლობს სრულის თვით-მმართველობით. განათლებაც იმ ხალხისა არის, ეკონომიურის კეთილ-დღეობითაც უფრო ამ გვარი ხალხი სდგას მაღლა და მნიშვნელობაც უფრო იმისთანა ხალხის ხმასა აქვს სახელმწიფოთა ურთი-ერთ შორის პოლიტიკაში. პოლიტიკური ფორმა სახელმწიფოისა, რასაკვირველია, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიურს მდგომარეობაზედ, იმიტომ რომ ეკონომიურად უზრუნველყოფილი ნაწილი ყოველთვის ხელმწიფობს და მმართველობას იმ გვარს ხასიათსა და მიმართულებას აძლევს, როგორიც მას

მოუხლება და პოლიტიკურის უფლებითაც ის უფრო სრულად სარგებლობს, ვინემ დანარჩენი ნაწილი, ეკონომიურად უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნილი. ისტორიულად ცნობილია, რომ არეულობისა და რევოლიუციის შედეგებით და ნაყოფით ყოველთვის ნივთიერად შეძლებულს ნაწილს საზოგადოებისას უსარგებლნია და ღარიბსა და ღატაკს კი ერთი, ან ორი რამე თუ რგებია ამ შედეგისა დ ნაყოფისაგან. ამ გვარი გავლენა ეკონომიისა პოლიტიკაზედ და სახელმწიფოს პოლიტიკურს წეს-წყობილება-ზედ ისტორიისა და ცხოვრებისაგან აღიარებული ფაქტია და, მაშასადამე, წარმოადგენს უტყუარს ჭეშმარიტებას. მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკურს ფორმასაც დიდი ზედ-გავლენა აქვს საზოგადოების ეკონომიურს მდგომარეობაზედ, ამასაც ვიტყვით, რომ არის იმისთანა მდგომარეობა ხალხის ცხოვ-რებაში, როდესაც პოლიტიკურ საქმეთა გარდაწყვეტა და პო-ლიტიკურის საგნის დამთავრება არის პირველი ნაბიჯი ეკო-ნომიურის კეთილ-დღეობისა. პოლიტიკური უფლება ერთი მძლავრ იარაღთაგანია, რომლითაც შეიძლება ნივთიერის მდგო-მარეობის განკარგება. უწინდელს დროში, როდესაც მონობა და ბატონ-ყმობა ჩვეულებრივსა და კანონიერს მოვლენას შეად-გენდა, მონა და ყმა მოკლებული იყო იურიდიკულად უფლე-ბას, რომ საწინააღმდეგო ხმა ამოეღო თავის არა-კაცურს მდგო-მარეობაზედ; ეთქვა, რომ ისიც ადამიანია, რომ იმასაც უფ-ლება აქვს დააკმაყოფილოს თავის ტვინისა და კუჭის მოთხოვ-ნილება. ამიტომ შეცდარად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ვითომც თავდაპირველად ცხოვრების ეკონომიურად გაუმჯობესობას უნ-და მეცადინეობდეს კაცი და პოლიტიკური უფლება თავის-თა-ვად მოჰყვება ამ გაუმჯობესობასაო. ამ აზრის ერთ-მხრივობას ამტკიცებს, როგორც ისტორია ხალხთა წარსულის ცხოვრები-

სა, ისე თანამედროვე ცხოვრების გამოცდილებაც. ევროპაში დღეს პირველს პლანზედ სდგას ეგრედ-წოდებული «მუშათა საქმე», ესე იგი მუშა ხალხის ცხოვრების განკარგება, — ეს საქმე წარმოადგენს საზოგადო სოციალურს საგანს. მაგრამ დაუკვირდით მუშების განათლებულს, წრფელსა და უერთგულესს წარმომადგენლებს და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი იღვწიან, სხვათა შორის, იმაზედაც, რომ პოლიტიკური უფლება, სახელმწიფო საქმეებში ხმის უფლება მიენიჭოსთ მუშებსა და დაბალს ხალხს უფრო მომეტებულად ფართედ, ვინემ ეხლა აქვთ მინიჭებული. რატომ? იმიტომ, რომ ამით შესაძლებელია სახელმწიფო ორგანიზმის სხვა-და-სხვა ნაწილები ისე მოიწყოს, რომ მუშა-მაწარმოებელი ულუკმა-პუროდ, მშიერ-მწყურვალი, შიშველი და გაუნათლებელი არ დარჩეს. და ყველა ამით კი არ ისარგებლოს უხვად იმან, ვინც მუშა-მწარმოებელი არ არის.

თვით-მმართველობას, სხვათა შორის, ერთი ძვირფასი გამამართლებელი საბუთი აქვს კიდევ, და სახელდობრ ის, რომ თავის საქმის ავისა და კარგის ამბავი უფრო ადგილის კაცმა იცის, ვინემ სხვამ მოსულმა და ამას გარდა ყოველს საქმეს ის უფრო ერთგულად, თავიანად და მუყიათად ჰკიდებს ხელს, ვის პირდაპირს ინტერესებსაც ეს საქმე ეხება. რუსეთში და ჩვენშიაც თვით-მმართველობას, რასაკვირველია, ნიადაგი ერთობ სუსტი ჰქონდა. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვითომც ხალხი მომზადებული არ ყოფილიყოს, ან დღეს არ იყოს ამ თვით-მმართველობისთვის მომზადებული და ან ვითომ ნიჭი არა ჰქონდეს თვით-მმართველობის შეთვისებისა და გამოყენებისა ცხოვრებაში. ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთის ხალხი მომზადებული არ იყო რეფორმებისათვის, ან კი როგორ შეიძლებოდა მომზადებული ყოფილიყო თავისუფალის მმართველობი-

სათვის ის ხალხი, რომელიც საუკუნოობით მონებისა და ბატონ-ყმობის ატმოსფერაში ტრიალობდა და რომელიც მონობისა და ბატონ-ყმობის სკოლაში იზრდებოდა!... მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვიტყვით, რასაკვირველია, რომ თვით-მმართველობის შემოღება რუსეთში ვითომც უდროვო ყოფილიყო, როგორც ბევრი ჰფიქრობს... თქმა არ უნდა, რომ იქ, სადაც ხალხის ცხოვრება შეუფერხებლად მიმდინარეობს პროგრესის გზაზედ, სადაც ხალხის ფიქრს, აზრს, მოსწრაფებას და თვით-მოქმედებას ხელოვნურს, გამოგონილს დაბრკოლებას არ უღობავენ,—იქ, ვამბობთ, რასაკვირველია, ყოველი რეფორმა პირ-და-პირი ბუნებრივი შედეგია წინა-მავალის ცხოვრებისა, ნახტომი კი არა, ერთი ფეხის წინ გადადგმა არის, ნაბიჯი; იქ ხალხი ყოველთვის მომზადებულია ამ ნაბიჯისათვის, რეფორმისათვის, იმიტომ რომ წინა-მავალს ცხოვრებას მისი ტვინი პოლიტიკურად განუვითარებია. რუსეთში ცოტა სხვა ნაირად მოხდა საქმე. რუსეთში განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრეს რეფორმების შემოღება ნაბიჯი კი არა, ნახტომი იყო, თითქმის სრული და თითქმის მოუბრუნებელის კავშირის გაწყვეტა იყო წარსულს ცხოვრებასთან; მაგრამ მიუცილებელი კი იყო ამ ნახტომის ქმნა. ყირიმის ომმა რუსეთის შეგნებული საზოგადოება დაარწმუნა, რომ ბატონ-ყმობა იყო ის უმთავრესი სენი, რომელიც ხრწნიდა სახელმწიფო სხეულს და რომელიც შეუძლებლად ხდიდა ცხოვრების წარმატებას. ეს საზოგადოება და მასთან მართებლობაც ცხადად ხედავდა, რომ თუ ეს ბატონ-ყმობა არ ამოიფხვრებოდა ძირიანად, ისე ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ რუსეთს ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან ფეხი გაეწყდია, ესე იგი, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ბატონ-ყმობასთან მოუფიქრებელი იყო, რომ რუსე-

თის საზოგადოება განათლებას, ცივილიზაციას და კულტურულს წარმატებას ზიარებოდა.—ამიტომ მართებლობამ, საზოგადოების შეგნებულის ნაწილის დახმარებით, მოსპო ბატონ-ყმობა და შემოიღო სხვა-და-სხვა რეფორმები, რომელთ შორის პირველი ადგილი უჭირავს: სამსჯავრო რეფორმას, ერობას და ქალაქის თვით-მმართველობას. მართალია, ამ რეფორმებმა სრულიად ვერ გაამართლა საზოგადოების იმედი; მართალია, ამ რეფორმებს სულ ის შედეგები არ მოჰყვა, რომელთაც რეფორმების მომხრენი და თაყვანის-მცემელნი მოელოდენ, მაგრამ აქედგან სულაც არ გამოდის თვითონ რეფორმების უადგილობა. ერთი რომ, თუ ამ რეფორმებით არა, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, მისი პოლიტიკური შეხედულება და გამოცდილება ასე შორს ვერ წავიდოდა, თვითონ განათლება და მეცნიერებაც ფეხს ვერ აიდგამდა და მეორეც ამ რეფორმებს ისეთი პრინციპი უდევსთ დედა-ბოძად, რომ მათი ნაკლის გასწორება ადვილად შეიძლება, და შეიძლება სწორეთ იმავე თვით-მმართველობით, თუ კი გარეგანს, მეხანიკურს დაბრკოლებას არ შეიხვედრებენ.

დღეს როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიაც ბევრი მტერი ჰყავს ამ რეფორმებს და იმ მტრებში ზოგიერთნი იქამდის გაკადნიერებულან, რომ ჰქადაგებენ მათს სრულიად მოსპობას და ურჩევენ მართებლობასა და საზოგადოებას უკან დაბრუნებას და იმ წეს-წყობილების მიღებას, რომელიც ჰქონდა რუსეთს დიდებულ ალექსანდრე მეორემდის. ეს ვაჟ-ბატონები ამტკიცებენ, რომ ამ უკანასკნელს დროს რაც უწესოება მოხდა რუსეთში, ყველა რეფორმების შედეგი არისო, აგრეთვე ეგრედწოდებული ნიგილიზმი, სოციალიზმი და სხვა ათას გვარი «იზმი» რეფორმების ნიადაგზე ამოვიდაო. რეფორმებმა საზო-

გადოება გარყვნათ, სარწმუნოება დასცათ, უმცროს-უფროსო-ბა მოსპოთ, მთა და ბარი გაასწორათ და სხვა და სხვა... ამ მოწინააღმდეგეთ მთავარმა ბატ. კატკოვმა დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც თავის გაზეთში «მოსკოვის უწყებებში» გამოსთქვა ის აზრი, რომ ვითომც რეფორმებს რუსეთის საზოგადოება შეცდომასა და დაბრკოლებაში შეეყვანოს, ვითომც ეს რეფორმები საზოგადოებას მიეღოს ხელმწიფე იმპერატორის განუსაზღვრელ უფლებათა შესამცირებლად და თითქმის კონსტიტუციის მომასწავებელ და წინა-მორბედ ნიშნადაც.

აქ, რასაკვირველია, სუყველაფერი იმაზედ არის დამოკიდებული, თუ კაცი რომელის მხრიდგან უყურებს საქმეს, რას ეძახის გარყვნას, ზნეობის დაცემას. ამის შესახებ ყოველს კაცს, ასე ვსთქვათ, თავის შეხედულების კუთხე აქვს. მაგ. რომელიმე პოლიციის ჩინოვნიკი საზოგადოების გარყვნილებას იმაში ჰხედავს, რომ მის წინაშე მოწიწებით აღარ არიან; რომელსამე მღვდელს სარწმუნოების დაცემად ის მიაჩნია, რომ იმდენს საწირავს აღარ აძლევენ, რამდენსაც წინეთ აძლევდენ, და ან კიდევ იმის მოძღვრებას და მღვდელობას მაგდენს სულისა და ხორცის განმკურნებელს მნიშვნელობას აღარ აძლევენ. იმისთანა ადამიანებიც ბრძანდებიან, რომელნიც საზოგადოების გარყვნილებას იმაში ხედავენ, რომ ეს საზოგადოება ბედავს ხმის ამოღებას, საკუთარს მსჯელობას, ითხოვს კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ერთის სიტყვით, ბედავს თავის არსებობის გამოცხადებას.

ამ მოწინააღმდეგერთა შორის არიან იმისთანანიც, რომელნიც

თავის დროს თავ-გამოდებით და გულ-წრფელად იღვწოდნენ რეფორმების შემოღებისათვის და რეფორმების ძლიერს მოწინააღმდეგე დასს ბურთსა სჩრიდნენ პირში. რამ გახადა იგინი შემდეგში რეფორმების მტერად? მხოლოდ მათმა პოლიტიკურმა ჭკლ-მოკლეობამ!. ისინი, უმეცარნი, ჰფიქრობდნენ, რომ რეფორმა საზოგადოებაში დაამყარებდა მშვიდობას, ბედნიერებას, ცხოვრების კმაყოფილებას; იმათ სიზმარშიაც კი ვერ წარმოედგინათ, რომ საზოგადოების ტვინი, ბატონ-ყმობის ყალიბზედ გამოჭრილი წეს-წყობილებათაგან განთავისუფლებული, ახალს პირობებში აღზრდილი და ფრთებ-გაშლილი, თან-და-თან გავითარდებოდა, დამთავრდებოდა და მაშინ აღარ დაკმაყოფილდებოდა ნახევრად გაკეთებულის საქმით, ან და უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, საქმის დაწყებით; არამედ მოითხოვდა დაწყებულის საქმის გავრცელებას და გათავებასაც იმ გვარად, რა გვარადაც ეს უფრო სარგო იქნებოდა საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის.

ისინი იმდენად ჭკუა-მოკლენი გამოდგნენ, რომ წინ და წინვე ვერ წარმოიდგინეს, რომ გლეხი-კაცი, პირადის მონების უღელ-ახსნილი, ცოტად თუ ბევრად თავისუფლებაში დაბადებული და აღზრდილი, აღარ დაკმაყოფილდებოდა ცხოვრების იმ პირობებით, რომელნიც მის მამასა და პაპას, სრულს მონებაში აღზრდილს, მიაჩნდა კანონიერად, ღვთისაგან დადგენილად და რომელთ წინააღმდეგობას ღვთის გმობად სთვლიდა, რომ ამის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა სწავლა-განათლებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და ამიტომ ბევრის

წეს-წყობილების თავის სასარგებლოდ შეცვლას. მოკლედ რომ ვსთქვათ მაცხოვრის სიტყვებით, რეფორმის მომხრენი ვერ შე-მძუენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ახალი ღვინო ყოველ-თვის და ყოველგან ითხოვს ახალს თხიერს, ახალს ტიკებს, რომ რეფორმის შემომღებნი თავის წინააღმდეგნი არ უნდა გამხდარიყვნენ და რეფორმების შემოღებისათანავე უნდა ეზრუ-ნათ თვით საზოგადო პრინციპის თან-და-თან შეცვლისათვის და ბოლოს ის საზოგადო პრინციპი უნდა აღიარებინათ, რო-მელიც ამ რეფორმების მთავარს დედა-აზრს ეშესაბამებიან, ან და, უმჯობესია ასე ვსთქვათ, რომლიდგანაც შემოღებული რე-ფორმები ლოგიკურად გამომდინარეობენ. თუ რეფორმების მომ-ხრეებმა უარ-ჰყვეს კერძო წეს-წყობილებათა დრო-გარდასული და მავნებელი პრინციპი, იმათ, ამისდაგვარადვე, უნდა უარ-ეყოთ ის მთავარი პრინციპიც, რომელზედაც ეს კერძო მათგანვე უარ-ყოფილი წეს-წყობილებანი იყვნენ დამყარებულნი, როგორც დედა-ბოძზედ.

ამ რეფორმებს ჰყავთ მეორე გვარი მოწინააღმდეგენიც, რომელთაც ეკუთვნიან რუსეთის უკეთესნი მწერალნი და საზო-გადო მოღვაწენი. მოწინააღმდეგენიო რომ ვამბობთ, სულ მარ-თალიც არ არის, იმიტომ რომ ისინი პრინციპიალურად რე-ფორმების მომხრენი არიან და რეფორმების დედა-აზრის თა-ყვანის მცემელნი, მხოლოდ უკმაყოფილებას აცხადებენ იმაზედ, რომ ამ რეფორმებს ფრთა შეაკვეცეს, აზრი, შინაარსი წაარ-თვეს და დაუტოვეს მხოლოდ ფორმა. ძმარი თვითონ არაფე-რი შვილი იყო და კიდევ წყალს ურევდნენო, იმისი არ იყოს, ისე მოუვიდა რეფორმებსაც. რეფორმებს, როგორც ყოველს ახალს დაწყებულებას, როგორც ყოველს საქმეს, რომე-ლიც კი კაცის ხელიდგან გამოდის, ბევრი ნაკლულევანება

ჰქონდა, მაგრამ ეს ნაკლულევანება შემდეგში უნდა გასწორებულიყო ცხოვრების ახალს პირობების მიხედვით, ზოგი ელემენტები რეფორმისა სულ უნდა გამოცვლილიყო, ზოგი უნდა ახალის მოთხოვნილობისა მებრ, მეცნიერებისა და ცხოვრების გამოცდილების თანხმად უნდა შეცვლილიყო და ამ ცვლილების დროს ყოველთვის ფართო ადგილი უნდა მიეცათ საზოგადოების აზრისათვის, ყველგან და ყოველთვის უნდა ალეარათ ნდობა საზოგადოებისადმი, რომელიც თან-და-თან უნდა განთავისუფლებულიყო ათას-გვარის მზრუნველობისაგან. ეს არ მოხდა და ამიტომ რეფორმებმაც დაჰკარგეს უმთავრესი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. აი აქ გამოჩნდენ ის მოწინააღმდეგენი ან და უკმაყოფილონი, რომლებზედაც ზევით გვითქვამს და რომელნიც ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავისთავად მშვენიერს რეფორმებს ყოველი ნაკლულევანება თავიდგან აშორონ და დაუმკვიდრონ მათ შემდეგი განვითარების გზა.

ჩვენ აქ ვისარგებლებთ წარსულს იანვარში რომ ახალი ხმოსნების, ქალაქის თავის და გამგეობის წევრის აღმორჩევები იყო ქუთაისში და, რამდენათაც გარემოება ნებას მოგვცემს, ვეცდებით, რომ დავანახვოთ მკითხველებს მთავარი ნაკლულევანება ქალაქის თვით-მართველობისა საზოგადოდ და ჩვენის ქუთაისისა კერძოდ. აქ ჩვენ არ შევეხებით იმ საარჩევანო ციებ-ცხელებას, რომლის ატმოსფერაშიაც ტრიალებდა მთელი ქუთაისის საზოგადოება ერთის თვის განმავლობაში მაინც. ამ ციებ-ცხელებას უნდა დავაბრალოთ ის, პირველის შეხედვით, თითქმის აუხსნელი გარემოება, რომ ქალაქის თავად და გამგეობის წევრად ისინი არ აღმოირჩენ, რომელთაც წინ-და-წინვე ულოცავდა საზოგადოება ქალაქის თავისა და გამგეობის წევრის სავარძლებს. მაგრამ ჩვენ აქ მაგდენ სასაყვედუროსაც ვერ

გხედავთ და კანდიდატებს სულაც არ უნდა ჩაეთვალოსთ ცოდვათ მეცადინეობა, რომ თავიანთი თავი გაიყვანონ, თუ კი, რასაკვირველია, კაცის ღირსების დამამცირებელს საშუალებას არ ხმარობენ. ამაზედ სიტყვას მოკლედ მოვსჭრით, მხოლოდ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი, ჩვენის აზრით, ანომალური მოვლენა, რომელიც შევნიშნეთ აღმორჩევების დროს. ქუთაისი იმერეთის დედა-ქალაქია, სადაც სცხოვრებენ წმინდა სისხლის ქართველები, გაქართველებული სომხები და ურიები, (ფრანგები ხომ შთამომავლობითაც ქართველები არიან); აქ სხვა უცხო ელემენტი ძალიან მცირეა, ასე რომ მისი სახეში მიღება, როდესაც ქუთაისის მცხოვრებზედ ლაპარაკობთ მეტი რამ გამოვა. ამისთანა ქალაქში გამოდის კანდიდატად გამგეობის წევრის ადგილზედ თავიდგან ბოლომდის უცხო ტომის კაცი (ბ. ლ—სკი). ამას ჩვენ, რასაკვირველია, პირად კანდიდატის გმირობად ჩავთვლიდით, რომ მას საკმაო პარტია არ აღმოსჩენოდა ხმოსნებთა შორის, რომელთა რიცხვშიაც ითვლება ორად-ორი უცხო ტომის კაცი—ყველასაგან პატივ-ცემული ნაფიცი ვექილი ბ. ს—კი და თვითონ კანდიდატი ბატ. ლ—ვსკი. ეს კანდიდანტი კინაღამ არ იქმნა აღმორჩეული გამგეობის წევრად. ძნელად ასახსნელია ეს, ვიმეორებთ, ანომალური მოვლენა!... მადლობა ღმერთს, ჩვენს ქალაქში საკმაოდ არიან განათლებული ქართველები, რომელთაც უფრო შეუძლიანთ სამსახური გაუწიონ ქალაქის მცხოვრებლებს. მაგრამ, მასხლას! ტყუილად კი არ ამბობს ერთი ვიღაც რუსის მგზავრიც თავის წერილებში ვარშავიდგან, რომ საქართველოში ჩვენ ისე ვგრძნობთ ჩვენს თავს, როგორც საკუთარს სამშობლოშიო; სადაც კი მიიხედ-მოიხედავ, ყველგან ჩვენებურობის ნიშნებს შევხვდებით.

დავუბრუნდეთ ისევ მთავარს საგანს. თავი და თავი ნაკლულევანება ქალაქის თვით-მმართველობისა იმაში მდგომარეობს, რომ საარჩევანო უფლებით ნამდვილად, de facto სარგებლობს არა მთელი მოსახლობა ქალაქისა, არამედ შესამჩნევად უმცირესი ნაწილი, რომელიც უფრო შეძლებულია და გავლენის მქონი. ამის გამო ქალაქის საქმეებსაც განაგებს მხოლოდ ეს უმცირესობა და, რასაკვირველია, განაგებს უფრო ისე, როგორც ხელს მისცემს თვითონ მისს პირადს ანგარიშებს. ჩვეულებრივი კაცი ყოველთვის ცოდვილ კაცად რჩება, ის უფრო თავის ერთგულია, ვინემ საზოგადო საქმისა, ის თავის მოქმედებაში სარგებლობს იმ მეთერთმეტე მცნებით, რომელიც ამბობს: ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოვო და ან როგორც რუსები იტყვიან: своя рубашка ближе къ тѣлу... აღმორჩევითი უფლება და თვით-მმართველობა იმითია კარგი, რომ საზოგადოებას ნებას აძლევს, რომ თავის საქმეები თვითონვე განაგოს, თავის თავს თვითონვე მოუაროს, საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზედ თვითონვე იზრუნოს. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ მაშინ არის საფიქრებელი, როდესაც თვით-მმართველობის წარმომადგენლებს ირჩევს მთელი ქალაქის მოსახლობა და არა უმცირესი ნაწილი; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ საზოგადო ინტერესი არ გახდეს კერძო ინტერესის მსხვერპლი. ქალაქის არა თუ ყოველი მკვიდრი მცხოვრები, არამედ დროებით, რამოდენიმე წლით მოსული კაციც კი გულით და სულით მოწადინებულია, რომ ქალაქის საქმეები კარგად მიდიოდენ, ე. ი. რომ ქალაქში იშოვებოდეს გასასყიდლად კარგი და იაფი საჭმელ-სასმელი, რომ ქალაქს ჰქონდეს მშრალი და საკმაოდ განათებული ქუჩები და მოედნები, რომ ქალაქი არ წარმოადგენდეს თავის უწმინდურე-

ბით ყოველის ავად-მყოფობის ბუდეს, რომ ქალაქს ჰქონდეს სკოლები, სადაც შვილების გამოზრდა შეიძლებოდეს, ჰქონდეს რიგიანად და შესაფერს ადგილს გამართული სასაფლაოები და სხვ. და სხვა... ამიტომ სამართალი მოითხოვს, რომ ყველას ვალად ედვას შეძლების დაგვარად ფულის შეტანა ამ საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და თან ხმაც მიენიჭოს ქალაქის მმართვაში; ქალაქის დებულების ძალით კი ამ ხმით სარგებლობს მხოლოდ ის, ვისაც ან უძრავი ქონება აქვს და ან ვაჭრობს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ. ამ საზოგადო ნაკლულევანებას ემატება ის, ასე ვსთქვათ, კერძო უბედურებაც, რომ საარჩევანო უფლებით სარგებლობს ძლიერ მცირე ნაწილი ქალაქის იმ მცხოვრებთაცა, რომელთაც მინიჭებული აქვთ ეს უფლება. მაგალითად, ქუთაისში ხმის უფლება აქვს ცენზით სულ ორი ათას სამოც-და-თვრამეტს (2078) პირს, მაგრამ ამათში ამომრჩეველთა რიცხვი ამ უკანასკნელს ამორჩევაზედ იყო მხოლოდ ხუთას ოც-და-ექვსი (526) ე. ი. საარჩევანო უფლებით ნამდვილად სარგებლობს, დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, ოც-და-ხუთი პროცენტი (25%), ანუ ასში ოც-და-ხუთი. ამ ხუთას ოც-და-ექვს ამომრჩეველში პირველის განყოფილებისა (კატეგორიისა) არის ოც-და-ექვსი (26), მეორესი სამოც-და-ოთხი (64), ხოლო მესამისა ოთხას ოც-და-თექვსმეტი (436). ამათ ამოირჩიეს ხმოსნებად სულ ოც-და-თექვსმეტი კაცი (36). თითო განყოფილებაში თორმეტ-თორმეტი ხმოსანი; თუ ჩვენ სახეში მივიღებთ პირველად იმას, რომ პირველის განყოფილების თორმეტი ხმოსანი და უმეტესობა მეორის განყოფილებისა ეკუთვნიან ქალაქის მცხოვრებთა უფრო შეძლებულს ნაწილს და მეორედ იმას, რომ იმათგან ირჩევა ქალაქის გამგეობა, რომელიც, რასაკვირველია, ყოველთვის

მოწადინებულია ასიამოვნოს მხოლოდ იმ ხმოსნებს, რომლებზედაც მათი ბედი დამოკიდებულია, მაშინ დამეთანხმებით, რომ ქალაქის საქმეებს განაგებს და მართავს მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა უმცირესობა და ისიც შეძლებული ვაჭრები და მებუჟეებისთანა მოვასხეები. რამდენად საქმის ამისთანა მდგომარეობა მავნებელია საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებთათვის, ამას მკითხველი ადვილად მიხვდება, როდესაც შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და ეგრედ წოდებულს «დაფასებით გარდასახადზედ» გვექნება ლაპარაკი.

რასაკვირველია, საქმისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა და შეძლებულს უმცირესობასაც იმდენი გავლენა აღარ ექმნებოდა ქალაქის საქმეების წარმოებაზედ, რომ ქალაქის თავს, გამგეობის წევრებს და სეკრეტარს ირჩევდენ არა ხმოსნები, არამედ ყველა აღმორჩევითი უფლების მქონენი. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო შესაძლებელი არის, რომ მესამე განყოფილების აღმომრჩევლებმა მეორე განყოფილებიდგან რამოდენიმე ნაწილის დახმარებით შეადგინონ უმრავლესობა და აღმოირჩიონ მმართველობის წარმომადგენლებად უფრო იმისთა პირნი, რომელნიც შედარებით უფრო მიუდგომელად იზრუნებენ ქალაქის საქმეებისათვის. ეს იმითაც კარგი არის, რომ ქალაქის გამგეობას ათავისუფლებს რამოდენიმე შეძლებულის ხმოსანის კლანჭებიდგან და დამოკიდებულებიდგან.

რის ბრალია, რომ 2078 აღმომრჩეველში საარჩევნო უფლებით სარგებლობს მხოლოდ 526 კაცი? იმისი მხოლოდ, რომ 1552 აღმომრჩეველს ქალაქის სასარგებლოდ შეწერილი გარდასახადი ვერ შეუტანია თავის დროზედ,— ე. ი. ასში სამოც-და-თუთხმეტს (დაახლოებით) ან შეძლება არა აქვს და ან არ სურს, რომ ეს გადასახადი შეიტანოს! ამ ორს მიზეზში

ერთ-ერთი მოქმედობს, თუ ორივე, ჩვენ მაინც და მაინც არ შეგვიძლია დაჯეშმარიტებით ვსთქვათ. რადგანაც ამისათვის საკმაო მასალა ხელათ არა გვაქვს. ცოტა რამ საბუთი კი გვემოვება, რომ მთავარ მიზეზად სიღარიბე და ქალაქის ეკონომიური დაცემულება აღვნიშნოთ. მართლაც, ქუთაისის თვით-მმართველობის კაი ძალს შემოსავალს შეადგენს ის გარდასახადი, რომელიც გაწერილია უძრავს ქონებაზედ, სახლებზედ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქუთაისში დიოგენის კლასსიკურის ფარნითაც ვერ იპოვნით თავისუფალს სახლს, თუ კი ცოტა რამ ხეირიანობა ატყვია. ყველა ხეირიანი სახლები დაგირავებულია ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში; ამას გარდა შეტანილია «ცეცხლისაგან საზღვევს საზოგადოებაში.» მივიღოთ სახეში ისიც, რომ ძალიან ბევრს მართებს «ქალაქის საურთიერთ-ნდობის საზოგადოების» ვალი. მაშასადამე, სახლის შემოსავალს ადევს ბანკისა და ხსენებულის საზოგადოების ყოველ-წლიური გარდასახადი, იმავე სახლს აძევს «დაფასებითი გარდასახადი» ქალაქის სასარგებლოდ. მიუმატეთ ამას თუნდ მხოლოდ ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად სახლი შეადგენს ერთად-ერთს წყაროს, რომლისაგანაც იკვებება მისი პატრონი და თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა სამძიმო იქნება სახლის პატრონებისათვის ეს რამოდენიმე გვარი გარდასახადი,—ამის ბრალია, ჩვენის ფიქრით, რომ სახლის პატრონები იმდენს ვალს ვეღარ უძლებენ, რომ სახლი მათ სარგებლობას აღარ აძლევს და იმიტომ ზოგს აღკრძალვა ადევს კერძო მოვალისაგან, ზოგიც ბანკის ვალში იყიდება და ზოგსაც ცეცხლი ეკიდება...

ქალაქის თვით-მმართველობას, რასაკვირველია, ვერას ვუსაყვედურებთ ამ გარემოების შესახებ, იმიტომ, რომ თუ მან

სახლებსაც არ დაადვა გადასახადი, მაშ საიდგან ექმნეს შემოსავალი და რა საშუალებით დააკმაყოფილოს ქალაქის საზოგადო საჭიროებანი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მაინც ორიოდე სიტყვა ვსთქვათ გადასახადის გაწესებაზედ და იმ ბოროტ-მოქმედებაზედ, რომელიც ძალიან ადვილად შესაძლებელია, როდესაც ქალაქის საქმეებს მართავს შეძლებული უმცირესობა. სახლის გადასახადი შეადგენს სახლის წმინდა შემოსავლის ათს პროცენტს (10%) ე. ი., ას მანეთზე ათს მანეთს. წმინდა შემოსავლის გამოსაანგარიშებლად სახლის შემოსავალს აკლებენ სახლის რემონტისათვის ოც-და-ათს პროცენტს (30%), თუ ქვისა არის, ორმოცს პროცენტს (40%), თუ ხისა არის და თუთხმეტს პროცენტს (15%), თუ დუქანია. ამიტომ ვსთქვათ, თქვენა გაქვსთ ქვითკირის სახლი, რომელიც წელიწადში გამლევსთ სულ ორას მანეთს. აქედგან ჯერ გამოაკლებენ რემონტისათვის სამოცს მანეთს და დანარჩენის თოთხმეტი თუმნიდგან წაიღებენ ათს პროცენტს. ე. ი., ას მანეთზედ თუმანს და სულ თოთხმეტს მანეთს. ადვილი წარმოსადგენია თქვენი მდგომარეობა, თუ ამ სახლს მართებს ბანკის ვალი და «ცეცხლისაგან საზღვევს საზოგადოებაში» შესატანი ფული და თუ ამას გარდა, ამ სახლიდგან შემოსავლის მეტი სხვა საღსარი ცხოვრებისა არა გაქვსთ. ახლა ვინ დაგვარწმუნებს, რომ სახლის შემოსავალი პირ-უთნევლად და მიუდგომელად იქნება დაფასებული იმ კომისიის მიერ, რომელიც ირჩევა საბჭოსაგან, სადაც შეძლებული უმცირესობა ბატონობს?... ვინ გვეტყვის, რომ შეძლებულის კაცის სადგომს სახლებსა და დუქნებს არ აკლდებოდეს გადასახდელი და ღარიბის კაცის სახლსა და დუქანს არ ემატებოდეს?!...

დაფასებითის გადასახადის თავის დროზედ შემოტანას

უშლის კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. ქუთაისის საბჭოს გარდაუწყვეტია, რომ სასლზედ გაწერილი გარდასახადი შემოიტანებოდეს თუ პირველს თებერვლამდის არა, უსათუოდ პირველს მარიამობის თვემდის მაინც, შემდეგ კი ეს გარდასახადი ითვლება ვალად და პოლიციურს ზომებს ხმარობენ მისის მოგრევისათვის. ეს პირობა რომ სახლის პატრონმა დააკმაყოფილოს და პოლიციის ბოქაულის სტუმრობის ბედნიერება თავიდგან აიშოროს, საჭიროა, რომ იმას ჰქონდეს ან თავისუფალი კაპიტალი და ან სხვა-და-სხვა წყაროებიდგან შემოსდიოდეს ეს ფული. წინააღმდეგს შემთხვევაში ის თავის დროზედ ვერ შეიტანს ფულს ქალაქის სამმართველოში, იმიტომ რომ ჩვენში ძალიან ხშირად სახლი ქირავდება თვეობით და თითქმის არასოდეს მდგმური წინ და წინ არ აძლევს ქირას სახლის პატრონს, რომელსაც ვალად სდებენ, რომ მთელის წლის ხვედრი გარდასახადი შეიტანოს სამმართველოში უთუოდ წინ და წინ,—ან პირველს თებერვალს და ან პირველს მარიობისთვეს...

როგორც ხედავს მკითხველი, ქალაქის სასარგებლოდ ფულის შემომტანნი ვერ არიან კარგს მდგომარეობაში. ამიტომ მათგან ნება-ყოფლობით, თუ პოლიციურის ზომებით შეკრეფილს ფულს დიდის სიფრთხილით უნდა ექცეოდეს კაცი, იგი უნდა დაიხარჯებოდეს მართლა და ნამდვილ ქალაქის საზოგადო საჭიროებაზედ. მაგრამ სანამ ამ საყურადღებო საგანზედ და აგრეთვე შესავლის აღრიცხვაზედ რამეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს საქმეს, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობას მოსდის ქალაქის პოლიციისაგან. საქმე ის გახლავსთ, რომ პოლიცია კანონით ვალდებულია შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის გამგეობას

«დაფასებითის გარდასახადის» შეკრებაში მათგან, ვისაც ეს გარდასახადი არ შეაქვს კუთვნილებისა მებრ თავის დროზედ. საბჭოსაგან უკვე დამტკიცებულის ხარჯთა-აღრიცხვის ძალით, ქალაქის პოლიციის გამგეობას ეძლევა მდგომარე წელში 11,854 მან. ამას გარდა პოლიცმეისტერს აქამდის რომ სახლის ქირასათვის ეძლეოდა ოც-და-ოთხი თუმანი, ამ წელში მოუმატეს კიდევ თექვსმეტი თუმანი. (ეს მარტო პოლიციის გამგეობის ჯამაგირია). დამეთანხმებით, რომ ქალაქი სიძუნწეს არ იჩენს პოლიციის გამგეობის წინაშე და ამიტომ პოლიცია უნდა იყოს ვალდებული, რომ თავის მოვალეობა ქალაქისადმი წმინდად შეასრულოს, ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ქალაქის კაი ძალს შემოსავალს შეადგენს «დაფასებითი გარდა- სახადი»; თუ ეს გარდასახადი თავის დროზედ არ შემოვიდა, ქალაქის თვით-მმართველობა რიყეზედ გამოგდებულს თევზს დაემგვანება, ხოლო ამ გარდასახადის შეკრება, თუ იგი ვალად ირიცხება, არის პოლიციის მოვალეობა. წინა წლების მაგალითებიდგან აშკარად სჩანს, რომ ეს გარდასახადი ვერ შემოდიოდა თავ-თავის დროს და კარგი ძალი რჩებოდა მცხოვრებლებზედ ვალად. გამგეობა, რასაკვირველია, ყოველთვის ეხვეწებოდა პოლიციას, რომ უკანასკნელს მიეღო ზომანი ამის შესახებ, ამას გარდა გამგეობას ერთი საშუალება გამოუგონებია და ეს საშუალება ძალიან უბრალოა. ქალაქის გამგეობა აძლევს პოლიციის პრისტავს იმ ფულის ხუთს პროცენტს (5%), რომელსაც პრისტავი წარადგენს გამგეობაში მცხოვრებლებთაგან მოკრებილს. ამ საშუალების შემწეობით ჰფიქრობენ, რომ წრეულს «დაფასებითი გარდასახადი» თუ სულ არა, სამოც-და-ათი პროცენტი (70%) მაინც შემოვა. გამგეობისა და საბჭოს მოლოდინი, იმედია, გამართლდება...

ამ პროცენტებიანათ რომ ვიანგარიშოთ, ქალაქს პოლიციის გამგეობის მოსამსახურეთა შენახვა უჯდება წელიწადში არა 11,854 მან., არამედ ბევრად უმეტესი თორმეტის ათასის მანეთისა...

ახლა გადვიდეთ შემოსავალ-გასავლის სმეტაზედ. ამ სმეტის განხილვამ და დამტკიცებამ დიდი ბაასი გამოიწვია ქალაქის საბჭოში. ზოგიერთი ხმოსნები, მაგ. ბბ. თუმანოვები და პასიკოვი, იმ აზრისანი იყვნენ, რომ ქალაქის ნამდვილის შემოსავლის შეტყობისათვის მიუცილებლად საჭირო არისო, რომ ის ფული, რომელიც დღეს ვალად ირიცხება სხვა-და-სხვა პირებზედაო და რომლის შემოსვლას გამგეობა მოელის ცალკე ხაზში (რუბრიკაში) ინიშნებოდესო და არა იმავე ხაზში, რომელშიაც სხვა შემოსავალი არის აღნიშნულიო. ეს აზრი არ იქმნა შეწყნარებული, რადგან ამის წინააღმდეგ გამოილაშქრა, როგორც გამგეობამ, ისე ხმოსნების უმრავლესობამაც. ზოგი ამას უბრალო და ყოვლად უმნიშვნელო ფორმას ეძახდა და ზოგიც ამბობდა, რომ თვითონ სმეტა სხვა რა არისო, თუ არა მოსალოდნელის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაო. უკანასკნელი აზრი ჩვენ შეცდარ აზრად მიგვაჩნია და აი რატომ. თუ ხსოვნა არა გვღალატობს, ყველასაგან ცნობილი ინგლისის მწერალი სმაილსი ერთს თავის თხზულებაში (Бережливость) ამბობს, რომ უანგარიშო და სულელია ის კაციო, რომელიც მომავალის, მოსალოდნელის შემოსავლის ანგარიშზედ სცხოვრებსო და ამიტომ იმაზედ მეტს ხარჯავს, რის შემძლებაც დღეს ხელთა აქვსო. ჩვენ, თუ მაინც და მაინც გნებავსთ, ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ყოველის დაწესებულების სმეტაში ყოველთვის ცალკე, საკუთარს ხაზში აღირიცხება იმ ფულის რაოდენობა, რომელიც, ასე

ღომდის, გამოიანგარიშოთ ცალ-ცალკე აქა-იქ ნაჩვენები ამ გვარი შემოსავალი და გამოერიცხოთ იმ ჯამიდგან, რომელიც სმეტის ბოლოს არის ნაჩვენები, როგორც საზოგადო შემოსავალი. ამოდენს წვალებას და ამ არევ-დარევას განა ის არა სჯობიან საქმისათვის, რომ ის შემოსავალი, რომელიც მოსალოდნელია წარსულის წლების ვალების ანგარიშში, საკუთარს ხაზში იყოს ნაჩვენები?!. სწორედ ეს მოსაზრება ჰქონდათ სახეში ზოგიერთს ხმოსნებს, როდესაც ამტკიცებდენ, რომ ქალაქის შემოსავალ-გასავლის სმეტა შედგენილ იყო იმ ფორმაზედ, როგორი ფორმაც საზოგადოდ არსებობს ამისთვის. ამ ფორმაზედ რომ შეედგინათ სმეტა, მაშინ ქალაქის საბჭო ცხადად და ადვილად დაინახავდა, რომ ქალაქს სულაც არა აქვს ნამდვილად ის შემოსავალი, რომელიც ნაჩვენებია სმეტაში. ეს სხვათა შორის იმითაც კარგი იქნებოდა, რომ ხარჯების აღრიცხვის დროს ცოტა უფრო ყაირათს დაიჭერდა. მაგალითებრ, სმეტიდგან სჩანს, რომ ქალაქს შემოუვა წრეულს ას ხუთი ათას სამოც-და-ცხრა მანეთი (105,069 მან. და 21 კაპ.), მაგრამ აქედგან უნდა გამოვაკლოთ სამას ოც-და-ცხრა მან. (329), რომელიც ვალად ითვლებოდა ერთს მოქალაქეზედ და რომლიდგანაც ეს მოქალაქე განათავისუფლეს, რადგან აღმოჩნდა, რომ უკანასკნელთან შეკრული კონტრაქტი უსაგნო, ფიქტიური იყო. ამას გარდა იმავე შემოსავალიდგან უნდა გამოირიცხოს ის ფული, რომელსაც ქალაქი მოელის წარსულის დროის ვალების (НЕДОИМКИ) ანგარიშში, —ეს ფული შეადგენს თითქმის ათი-ათას მანეთს. გარდა ამისა, ხაზინიდგან მოელიან წრეულს რვა ათას მანეთზედ მეტს, რომელიც უკანონოდ დაუკავებიათ ქალაქისათვის იმ შესაწევრიდგან, რომელსაც ხაზინა აძლევს ქალაქს; ახლა თუ მივიღებთ სახეში, რომ

ძალიან შესაძლებელია, «დაფასებითის გარდასახადისაგან» და სხვა წყაროებიდგანაც რამოდენიმე ათასი მანეთი არ შემოვიდეს წრეულ, მაშინ ცხადი იქნება, რომ ქალაქის შემოსავალი თუ მეტით არა, თოთხმეტ-თუთხმეტი ათასი მანეთით მაინც ნაკლები იქნება. ჩვენ ჭეშმარიტებაზედ შორს არ ვიქნებით ვსთქვათ, რომ ქალაქს უნდა შემოუვიდეს წრეულს ბევრით არა უმეტეს ოთხმოც-და-ათი ათასის მანეთისა... მართალია, გამგეობას პოლიციის იმედი კი აქვს, რომელსაც ნედოიმკების შეკრებისათვის ხუთს პროცენტს აძლევს.

ახლა ისიც ვნახოთ, თუ რა ხარჯი მოელის ქალაქს გასავალის სმეტიდგან. ამ სმეტიდგან სჩანს, რომ ქალაქს მოელის სავალდებულო ხარჯი ოთხმოც-და-თექვსმეტი ათას მანეთზედ მეტი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ძალიან საეჭვოა რომ დაიფაროს ნამდვილის შემოსავლით. ასე რომ გამგეობამ, გარემოებათა ძალით, უნდა შეამციროს არა თუ არა-სავალდებულო ხარჯი, არამედ ზოგიერთი მუხლი სავალდებულო და აუცილებელის ხარჯისაც. ჩვენ, რასაკვირველია, ვერავის ვერ ვუსაყვედურებთ იმას, რომ ქალაქს შემოსავალი ცოტა აქვს და მოთხოვნილება კი ბევრი. მაგრამ ჩვენ იმის საბუთი კი გვაქვს, ვურჩიოთ გამგეობას, რომ იგი უფრო რიგიანად და უფრო დაკვირვებით ადგენდეს სმეტას. მაშინ საბჭო უფრო დაკვირვებით გაანაწილებს სხვა-და-სხვა ხარჯს და არა ისე, როგორც ეხლა შვრება. საქმე ის კი არ არის, რომ ხიდების რემონტისათვის დანიშნო ქაღალდზედ ორი ათას-ოთხასი მანეთი, ქუჩების შეკეთებისათვის იმავე ქაღალდზე ორი ათას-ორასი მან. და ქალაქის განათლებისათვის ორი ათას ექვსასი მანეთი და სხვ და სხვ.; არამედ საქმე ის არის, თუ ნამდვილად რამდენი შეიძლება და-

ინიშნოს და დაიხარჯოს კიდეც ამ საგნების დასაკმაყოფილებლად.

ამას გარდა, ჩვენის ფიქრით, ცოტა რამ გაუგებრობაც არის ხარჯის სმეტაში. მაგ. სმეტა შესდგება სულ ორი განყოფილებისაგან; ერთს განყოფილებაში არის აღრიცხული «სავალდებულო ხარჯი», ხოლო მეორეში «არა სავალდებულო ხარჯი»; პირველს განყოფილებაში, სხვათა შორის, ნაჩვენებია ვალების გარდასახდელად 6,726 მან. და კიდევ ის ფული, რომელიც ვითომც უნდა გარდაიხადოს ქალაქმა ჯარის სადგომის ქირად წარსულის წლებისა, სულ 10,877 მან. ამას გარდა იმავე განყოფილებაში აღნიშნულია ორასი მანეთი, რომლითაც ეძლევათ შემწეობა ქალების გიმნაზიის ზოგიერთა მოსწავლეებს. ხოლო «არა სავალდებულო ხარჯთა» განყოფილებაში მომწყვდეული არის იმ ერთად-ერთის სასწავლებლის ხარჯი, რომელიც ქალაქსა აქვს გახსნილი. რას ნიშნავს ეს?! იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უსათუოდ სავალდებულო ხარჯი უნდა დაკმაყოფილდეს და არა სავალდებულო კი შეძლებისა გვარად?!... თუ ასე იქმნა, მაშინ ხომ «არა სავალდებულო ხარჯს» და მასში ერთად-ერთს საქალაქო სკოლასაც ერთი კაპეიკიც აღარ დარჩება, იმიტომ რომ სრულიად სავალდებულო ხარჯი შეადგენს ოთხმოც-და-თექვსმეტი ათას მანეთზედ მეტს, რომელიც საჭიროა, როგორც ზევითაც ვამბობდით, რომ ქალაქს შემოუვიდეს მთელის წლის განმავლობაში. მაგრამ ნამდვილად ეს ასე როდია,—ჩვენ ვიცით, რომ გამგეობა ყოველთვის აკმაყოფილებს სასწავლებელს, თუნდაც რომ ამისათვის დასჭირდეს ზოგიერთი «სავალდებულო ხარჯის» შემცირება და, მაშასადამე, თვითონ გამგეობას მიაჩნია სასწავლებლის ხარჯი სავალდებულოდ. თუ ეს ასეა, მაშ რაღას ნიშნავს ამ ხარჯის ჩვენე-

ბა «არა სავალდებულო ხარჯთა» განყოფილებაში? ამას ის არა სჯობია, რომ «სავალდებულო ხარჯთა» განყოფილებაში ჩაირიცხებოდეს ის ხარჯი, რომელიც თავის-თავად სავალდებულოა და შეიტანებოდეს სმეტის ხაზში (въ графу) მხოლოდ ის რაოდენობა ფულისა, რომელიც ქალაქის საშუალების მიხედვით შესაძლებელია მიეცეს, ხაზის წინ კი დაიწერებოდეს მთლად ამ სავალდებულო ხარჯის რაოდენობა. მაგ. სმეტას რომ დავუჯეროთ, ამ წელიწადში ქალაქი გადაიხდის ჩვიდმეტი ათას მანეთზედ მეტს, რომელიც ვალად აწერია დღეს. მართალია, ეს ხარჯი თავისთავად სავალდებულოა და ქალაქმა უნდა გადაიხადოს იგი, ამიტომ უფრო კარგი ის იქნებოდა, რომ ეს ფული მთლად დაწერილიყო ხაზის წინ, ხოლო ხაზში შეეტანათ მარტო ის, რის გადახდაც წრეულს შეუძლია ქალაქს... ზოგიერთი ხმოსნები ამბობენ, რომ სმეტა სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ მოსალოდნელი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა (смѣта есть предположеніе). ერთი ის, რომ ეს სულ მართალიც არ არის, იმიტომ რომ თუ თვითონ ქალაქის თვით-მმართველობა რა მოისპობა, უსათუოდ გარეშე ყოვლის მიზეზისა, უნდა დაკმაყოფილდეს გამგეობა, პოლიცია და ზოგიერთი სხვა ხარჯი, თუნდაც დანარჩენი ხარჯისათვის ერთი კაპეიკიც აღარ დარჩეს, მეორეს მხრით ქალაქს აქვს უეჭველი,—უზრუნველ-ყოფილი შემოსავალი. ამას გარდა თუ სმეტა წარმოადგენს მარტო საგულებელს საგანს, предположеніе-ს, მაშინ აღარც განყოფილებაა საჭირო და ამ გვარად შეიძლება ვუყუროთ ყველაფერს... ერთის სიტყვით, სმეტის შედგენას იმაზედ უფრო ყურადღება უნდა მიაქციონ, ვინემ ახლა აქცევენ და საბჭომაც

სმეტის განხილვისა და დამტკიცების დროს ცოტა მეტი გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს...

ბოლოს, მკითხველების ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ საქმეს ქალაქისას. პირველი საქმე ის არის, რომ ამა წლის დასაწყისიდგან ქუჩა უნდა შეაკეთოს იმან, ვისი მამულიც ამ ქუჩის პირზედ მდებარეობს, ასე რომ ქალაქის გამგეობა მოვალეა მხოლოდ ზოგიერთი ქუჩები და მოედნები შეაკეთოს. ჩვენ ეს უადგილოდ მიგვაჩნია. დრო დაგვარწმუნებს, რომ ქუჩების გაკეთების საქმე უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, ვინემ აქამდის იყო. საბუთი საჭირო არ არის მკითხველის დასაჯერებლად, რომ სახლების, თუ ადგილების პატრონები თავისის ნებით ქუჩებს არ შეაკეთებენ. რა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში გამგეობამ? ჩვენის ფიქრით ის, რომ ქუჩები უნდა შეაკეთოს ქალაქის საზოგადო შემოსავლით და შემდეგ სუდის წესით, გინა სხვა გვარად ეძიოს დახარჯული ფულები მამულების პატრონთაგან, რომელთ მოვალეობასაც შეადგენდა ქუჩების შეკეთება. თუ ასე არ მოიქცა, ქუჩები მთლად გაფუჭდებიან და მათის რემონტისათვის თავს არავინ შეიწუხებს!.. და ამას ხომ ისევ ისა სჯობია, რომ ქუჩების რემონტი იდვას თავის თავზედ გამგეობამ და ამისთვის დააწესოს ცალკე გადასახადი ქალაქის მცხოვრებლებზედ! ჩვენ ვამბობთ, რომ ქუჩების შეკეთებისათვის ახალი გადასახადი გაეწეროს ქალაქის ყველა მცხოვრებლებს შეძლებისა და გვარად, რასაკვირველია. მარტო სახლის პატრონებისაგან ფულის ხდევინება მიგვაჩნია უადგილოდ, იმიტომ რომ კარგი და წმინდა ქუჩები ყველა ქალაქის მცხოვრებისათვის ერთ ნაირად საჭიროა და ამიტომაც ყველას უნდა შემოჰქონდეს ფული ამ საგნ[illegible]...

მეორე აზრი შეეხება ი[illegible]ქმეს, რომელიც მთლად

გაუგებრობაზედ არის დამყარებული. ერთი ინსტრუქცია, რომელშიაც სხვათა შორის, სწერია, რომ გამგეობის წევრის კანდიდატს, რომელიც წევრის ავათმყოფობის გამო ასრულებს მის თანამდებობას, უნდა მიეცეს სწორედ იმდენი ჯამაგირი, რამდენიც წევრსა აქვს დანიშნული. იმავე ინსტრუქციის ძალით, ავათ-მყოფს წევრს ოთხის თვის განმავლობაში ჯამაგირი ეძლევა, ასე რომ შეიძლება მოხდეს, რომ ოთხის თვის განმავლობაში წევრსაც სრული ჯამაგირი ეძლიოს და მის კანდიდატსაც. რომელ წყაროდგან უნდა ეძლიოს ეს ფული კანდიდატს, ამაზედ ინტრუქცია მაინცა-და-მაინც გარკვევით არას ამბობს. სწერია მხოლოდ: Кандидату, исправляющему обязанности члена, производится жалованіе въ размѣрѣ, получаемомъ заболѣвшимъ членомъ, изъ суммъ по опредѣленію каждый разъ Думы. აქედგან პირ-და-პირ სჩანს, რომ კანდიდატს უნდა ეძლიოს ჯამაგირი იმდენი, რამდენსაც წევრი იღებს; ამის წინააღმდეგ ლაპარაკი, სანამ ეს ინსტრუქცია არავის გამოუცვლია, ემგვანება წყლის-ნაყვას. მაგრამ საიდგან მიეცეს ეს ფული, ამისი კი არა მოგვხსენოთ, — საფიქრებელი კი არის რომ სახსარი უნდა აღნიშნოს საბჭომ (изъ суммъ по опредѣленію каждый разъ Думы).

ამას გარდა კიდევ სთქვეს, რომ ბატ. ან. ქ—მე სამის თვის განმავლობაში წევრის თანამდებობას ასრულებდაო და ამიტომ სამას მანეთს ითხოვსო და როგორ ინებებთო? შეიქნა ერთი ალიაქოთი!.. გაიყვნენ ორ ბანაკად: ერთი ბანაკი ამტკიცებდა, რომ ბ. ქ—მეს ერთი კაპეიკიც არ ერგებაო, მეორე კი, ინსტრუქციაზედ დამყარებული, ამბობდა, რომ ერგებაო; გამოჩნდნენ იმისთანაებიც, რომლებიც ეკითხებოდნენ ქალაქის

თავს: კარგი და რომელის საშუალებიდგან უნდა ვუზღოთ ამოდენა ფული ბ. ქ—მესაო?!.. ბოლოს სთქვეს, რომ მიეცეს მხოლოდ ნახევარიო, ე. ი. თუთხმეტი თუმანი, რადგან ექვსას მანეთს ისეც იღებდაო ბ. ქ—მე, როგორც ერთი მოსამსახურეთაგანიო...

აქ ჩვენუნდა ვიჰკითხოთ შემდეგი: 1) ინსტრუქცია პირ-და-პირ ამბობს, რომ კანდიდატს, გამგეობის წევრის თანამდებობის აღმასრულებელს, უნდა მიეცეს იმდენი ჯამაგირი, რამდენიც დანიშნული აქვს წევრს, მაშასადამე, ამ ინსტრუქციის ძალით გამგეობას სრული ნება აქვს ეს ჯამაგირი მისცეს ვისაც ერგება; თუ ეს ასეა, მაშ რაღა საჭირო იყო კითხვა, მიეცეს თუ არა ბ. ქ—მეს ჯამაგირიო, რომელიც მას კანონით ეკუთვნოდა? ან, იქნება, სხვებსაც ასე ეძლევათ ხვედრი ჯამაგირი? და 2) რას ნიშნავს: жалованіе производится изъ суммъ по опредѣленію каждый разъ Думы? ეს იმას ნიშნავს თუ არა, რომ თვითოეულს შემთხვევაში საბჭომ უნდა განსაზღვროს ის წყარო, საიდგანაც გამგეობამ უნდა დააკმაყოფილოს წევრის თანამდებობის აღმასრულებელი? საჭიროა ვკითხოთ: 1) იცოდა თუ არა საბჭომ ინსტრუქციის არსებობა და თუ იცოდა, რატომ თავის დროზედ არ მიიღო ზომები მისის გარდახედვისათვის? 2) სრული უფლება აქვს თუ არა ბ. ქ—მეს, რომ იმავე ინტრუქციის ძალით გარდაახდევინოს ქალაქს სამასი მანეთი სრულად? და 3) თუ ვინიცობაა ბატ. ქ—მემ ამ უფლებით ისარგებლა, საიდგან აპირებს ფულის მიცემას?—საზოგადო შემოსავლიდგანო, იტყვით, მაგრამ შემოსავალს ხომ თავისი გამოანგარიშებული, გადამეტებული ხარჯებიცა აქვს?!..

მანელი.

შინაური მიმოხილვის მაგიერი

საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ერი და ქვეყანა მხოლოდ მაშინ სდგას წარმატების გზაზე, მხოლოდ მაშინ შეჰსცქერის და შეჰსტრფიალებს ბედნიერს მომავალს, როცა საერთო, საქვეყნო საქმეებში ყველა მისი მკვიდრი, ან უფრო მომეტებული წილი ქვეყნისა და ერისა მონაწილეობას იღებს ცნობიერად და გონიერად საზოგადოობრივ ცხოვრებაში. არავითარს საერთო საქმეს, საერთო დაწესებულებას არ მიეცემა დიდი ძალა, დიდი სიმტკიცე, თუ ან ერთი, ან მეორე შეადგენს მხოლოდ რამდენთამე ხვედრს, რომელიმე საზოგადოების, ან ერის რომელიმე ნაწილის კუთვნილებას. ყოველი დიდი და საშვილი-შვილო საქმე მაშინ იქნება მტკიცე, მაშინ მოიკიდებს ფეხს, მაშინ შეადგენს შეურყეველს ძალას, როცა იმ საქმეს ეკუთვნის მთლად ერის სიმპატია, როცა მას სიხარულით შესცქერს და სიყვარულით შესტრფიალებს მთლად ქვეყანა.

ერი და ქვეყანა, რომელიც იმ სიმაღლემდე ასწევს, რომ ერთსულობით და ერთგულობით რამ საერთო საქმეს ემსახუროს, დიდებული ერია და დიდებული ქვეყანა. ის ერი და ის ქვეყანა, რომელიც არ ასულა ამ სიმაღლემდე, არ გამოუცდია სიხარულის გულის-ცემა ამ გვარ საერთო, საქვეყნო საქმისათვის სამსახურის დროს, ჯაფით, შრომით, ენერგიით, თავდადებით, იგი ერი და ქვეყანა ისტორიაში ადგილს ვერ და-

ჭერს, მაღალ და დიდებულ ერთა-შორის ვერ დადგება, კაცობრიობის სალაროში ვერა განძს ვერ შეიტანს.

ჩვენს ერს ერთს დროს ჰქონია დიდი ერთ-სულობა და ერთ-გულობა თავის ისტორიულს ცხოვრებაში. ჩვენს ერს გამოუცდია და უგრძვნია თავის ისტორიულის ცხოვრების განმავლობაში დიდებული წამი საერთოდ ჯაფისა, შრომისა, მოღვაწეობისა, თავდადებისა, სისხლის დაღვრისა საერთო, საქვეყნო საქმისათვის. მან ამ გვარად გაზარდა თავის საერთო კალთით და აღორძინა ქრისტიანობა, მან თავ-დადებით და სისხლის დაქცევით დაიცვა თავისი მიწა-წყალი, მამული მტერთაგან. ამაშია საბუთი მისდამი ყურადღებისა კაცობრიობის მიერ, ამაშია უფლება მისი ისტორიულ ერთა შორის ეჭიროს განსაზღრული ადგილი, ამაშია საფუძველი, რომ რუსეთი პატივს სცემს ერს, რომელსაც ერთხელ, ერთს წამს, ერთის საკაცობრიო საქმისათვის მაინც უმუშავნია, ულვაწნია, უბრძოლნია—ეს არა-ფერი—უმუშავნია ერთად, ულვაწნია საერთოდ, უბრძოლნია საყოველთაოდ ერთ-სულობით, ერთ-გულობით გამსჭვალულს.

დღეს კილო ჩვენის საზოგადოობრივის ცხოვრებისა უფრო დაბალია, ნელია, ძარღვის ცემა ქართველობისა უფრო სუსტია, ნაკლებ აჩქარებული, მიბინარებული. მაგრამ ნუ თუ იგი მძლავრად არ დაიწყობს ცემას, როცა საქმე ჩვენს საერთო ბედნიერებას შეეხება, რომელსამე საქვეყნო საგანს, რომლის მოწყობისაგანაც ჩვენი ბედი და უბედობა, ჩვენი მომავალი იქნება-გადასაწყვეტი, ჩვენ არ გავკეთილშობილებდით წინაპართა მაგალითის მიხედვით?!

არა გვჯერა. არა გვჯერა, იმიტომ რომ ეგ კეთილშობილება, ეგ ამაღლებული სულის მდგომარეობა, ეგ აჩქარებუ-

ლი გულის ცემა საქვეყნო საქმისათვის, რომელიც წარსულში ჩვენ გამოგვიჩენია—ჩვენ სისხლში და ხორცშია ისევ დარჩენილი, ყოველივე ძალა, ენერგია ბუნებაში, ვიდრე იგი არ გამოვა ამ დაფარულ მდგომარეობიდამ, მაგრამ, როცა კი გაიღვიძებს, გაიღვიძებს იმავ ერთ-სულობით, იმავ ერთ-გულობით.

თებერვლის ხუთი პირველი ნაბიჯია ამ მხრივ. გორის ყრილობა, 5 თებერვალს შემდგარი, წინამორბედი ნიშანია იმისა, რომ ეს ძალა თავს იჩენს, საქვეყნო საქმისათვის განმტკიცდება და ისეთს ნაყოფს მოიტანს, რომელიც სამუდამოთ დაგვაყენებს უმეტესად განათლების გზაზედ, და წარმატების ტრფიალს გაგვიღვიძებს.

ამ გვარსავე ფიქრსა და იმედებს აღვიძებს თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა ყრილობა იმავე საგნის შესახებ, რომელსაც გორის 5 თებერვლის ყრილობა შეეხებოდა. გორის მაზრა, დუშეთისა და თბილისისა ერთ-გულობით მოეკიდნენ საქმეს, გაიწერეს სარჯი საქვეყნო საქმისათვის, თავიანთ შვილების აღზრდისათვის. შვილების აღზრდა, ახალ-თაობის განათლების საქმე, რასაკვირველია, დიდი და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეა. მაგრამ ამის გარდა ამ საგანს მეორეც ზედ ემატება. ორისა და სამის მაზრის გარდაწყვეტილებას, იმედია, თან მოჰყვება ამ გვარივე თითქმის ერთ-ხმივი გარდაწყვეტილება თელავისა და სიღნაღის მაზრისაც და მაშინ უფლება გვექმნება ვსთქვათ რომ თითქმის ნახევარი საქართველო, ესრედ წოდებული აღმოსავლეთის მისი ნაწილი, ერთხელ მაინც, ერთის წუთის განმავლობაში მაინც ერთის საქვეყნო სურვილით განიმსჭვალა, ერთის საშვილი-შვილო საქმისათვის ღონისძიება არ დაიზოგა, მძიმე ტვირთს არ მოერიდა და თითქმის როგორც

ერთმა კაცმა აღარა საჭიროებს თავის საკუთარის გიმნაზიის დაარსებისა.

როცა ქვეყანა ერთს რომელსამე საერთო საქმეში გამოიჩენს ამ გვარს ერთ-გულობას, ერთიანობას, იმედია სხვა დროსაც, შემდეგაც, როცა უფრო საჭირო იქნება ამ გვარი ერთობა, ერთობრივი სურვილი, ერთობრივი ტვირთი, არც მაშინ დაიხევს უკან თავის სამშობლოს საბედნიეროდ, მის კეთილდღეობისათვის.

ამ გვარად შეიქმნება საუკეთესო და უკეთილშობილესი ტრადიცია საერთოდ ქვეყნის სამსახურისა და ეს ტრადიცია მოძღვრებად იქნება აღიარებული, რომლის წინაამძღვრობა, რომლის ღალატი ოვით ღვთის გმობად ჩაითვლება.

ამ უკანასკნელ დროს მთავრობამ გადასწყვიტა ერთი სასიამოვნო საქმე თავად-აზნაურობის შესახებ, რომელსაც თავის-თავად არა მცირედი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც ამის გარდა, სხვა მნიშვნელობაც მიეცა. ჩვენ ვამბობთ ნახევარ პრიკაზის ვალის პატივებაზედ თავად-აზნაურობისათვის უმაღლესის მთავრობის მიერ. მეორე ნახევარი ამ პრიკაზის ვალისა თავად-აზნაურობა ვალდებულია გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ 37 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ამ ვალის პატივების მნიშვნელობას თავის-თავად, ჩვენ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ყველამ კარგად იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის მამულების უვალობას და რა ძნელია მამულებისათვის ერთხელვე მასზედ ტვირთად დაწოლილის ვალის მოშორება, ან რა ადვილად იზრდება და მკვიდრდება ეს ვალი თუ ერთხელ როგორმე დაედო იგი მამულს.

ეხლა ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ

იმ ბაასს, რომელიც გამოიწვია ამ ვალის პატიეების საჭიროებაზე გაკვრით წარმოთქმულმა გენერალ ფადეევის აზრმა იმის ქართველთადმი თანაგრძნობით სავსე წერილში.

როგორც მკითხველს კარგად ეხსომება, მან სხვათა შორის გამოსთქვა, რომ ფრიად საჭიროა ჩვენთვის დავიცვათ ქართველობა, როგორც ერი და საზოგადოება, რომ მას უნდა მიეცეს შეძლება სრულიად თავისუფლად ავარჯიშოს თავისი ეროვნული აზრი და გონება, ძალა და ღონე, განავითაროს ერთიც და მეორეც და, როგორც ერთგული რუსეთის სამეფოსტახტისა, მტკიცედ იდგეს ჩვენ განაპირა ქვეყანაში ჩვენის ინტერესების დასაცველადაო. ამასთან ქართველნი ჩვენი თანა-მორწმუნენი არიან და მათის სარწმუნოების განმტკიცებისათვის ყოველ-გვარი საჭირო ცვლილება უნდა მოვახდინოთო. სამსაჯულო და სამასწავლებლო სფეროში მათს ენას უნდა ადგილი მიეცესო და დასასრულ თავად-აზნაურობას უნდა აპატიოს 3 მილიონი პრიკაზის ვალით საზოგადოთ ამ ქვეყნის გაჭირებულ ეკონომიურ მდგომარეობიდამ დასახსნელადაო.

ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ ქართველობის მოწინააღმდეგეთ აეტეხნათ ლაპარაკი ამ საგანზედ. ერთის ლიბერალურის რუსულის გაზეთის რედაქციამ თავის სახელობით დაბეჭდა ორი ვრცელი მესვეური წერილი ამის შესახებ, მაგრამ სტატიას ისეთი უკუღმართობის ბეჭედი აზის, ისეა ფაქტები საცოდავათ დამახინჯებულნი და ისეთის ტენდენციით დალაგებულნი, რომ ადვილად მიხვდებით, რა ზნის პატრონის კალამს უნდა ეკუთვნოდენ იგინი, რა ჯურის კაცი უნდა იყოს ეს რედაქციაში ჩათესლებული ქართველთა მოწინააღმდეგე მოლაშქრე. უპირველესად ყოვლისა მას მოუნდომებია დამტკიცება იმ აზრისა, რომ ამიერ კავკასიაში ს—ობა ყველა კავკასიაში მოსახ-

ღე ტომზე მომეტებულია რიცხვით და რადგან ეს პირ-და პირ ვერ მოუხერხებია და ზეიდლიცის ეტნოგრაფიული რუკა წინ გადაჭღობებია, მიუმართავს ერთის საშუალებისათვის, რომელიც საანდაზო წაღას მოგაგონებთ, ყველა ზომის ფეხზე ადვილად ჩასაცმელს. პუბლიცისტს ს—ობისთვის ზედ მიუთვლია ოსე-ბი, თათრები, სპარსები, ტალიშინის მცხოვრებნი, ქურთნი და კიდევ სხვანი, რომელთაც მეცნიერება სთვლის ს—ბთან ერთად ინდო-ევროპიელ მოდგმის ხალხებად. მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რატომ არ მიათვალა ამათვე თვით რუსის ხალხი, ნემეცები, ფრანცუზები, ინგლისელნი და სხვა ევროპიულნი ხალხნი, რო-მელნიც მეცნიერების გამოკვლევისავე თანხმად ინდო-ევროპიის მოდგმას წარმოადგენენ. ჩვენ გვგონია, რომ მისთვის აქაც ზეიდლიცის რუკას მოუტეხნია კისერი. ამ რუკაში შეცდომით სწერია, რომ სომხები, ქურთები, სპარსელები, ტალიშელნი ირანის შტოს ეკუთვნიანო და იმასაც ეს გაუმეორებია. ის კი დავიწყებია, რომ მეცნიერებამ სომხური ენის გამოძიების სა-ფუძველით სომხურის ენისა და ხალხის მონათესაობა აღიარა არა ინდო-ევროპიულ მოდგმის ირანის შტოს ხალხებთან, არამედ სლავოლიტოვის შტოს ხალხებთან. *)

ავტორს არ მოსწონებია, რომ ფადეევი ქართველებს მა-მაცს ერს ეძახის კავკასიელ ერთა-შორის და მოჰყოლია ცრუ-ლიბერალურ მსჯელობას მასზედ, რომ გარეულ ხალხს მამაცს არავინ დაუმახსებსო, რომ კულტურული ტომი კავკასიაში არის

*) სტატია კ. პატკანოვისა სომხურ ენის შესახებ. Извѣстія Кавказскаго отд. Рус. геогр. общ. О мѣстѣ, занимаемомъ армянскимъ языкомъ въ кругу индо европейскихъ т. VI Тифлисъ 1879—1881.

ს—ობათ და სხვ. ჯერ ხომ იქ მოიტეხა კისერი, როცა ს—ბის უმრავლესობა უნდა დაემტკიცებინა კავკასიის ერთა შორის, ახლა აქ ინჩხვრევს კისერს, როცა სცდილობს რომ უარ-ჰყოს, როგორც კულტურული ძალა ქართველობისა, ისე მისი ეროვ-ნული, მამა-პაპით თან დაყოლილი თვისება—სიმამაცე და ბრძოლაში შეუპოვრობა. ეს უკანასკნელნი თვისებანი ისე ნათ-ლად განასხვავებენ ქართველებს ბევრ სხვა ერთა შორის და ისე ცნობილია ყველასაგან, რომ ამაზე ბევრი ლაპარაკი მომეტებუ-ლი იქმნება. ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ავტორის ამ ორ-გვარის აზრის დაკავშირებაზე. სიმამაცე ქართველობისა ველურობააო და არა ჭეშმარიტი გულადობა, რომელსაც იჩენ-დენ ომში ბევრი ს—ის გენერლებიო. ამასთან კულტურულს ხალხს მშვიდობიანობის დაცვის მსურველს განათლებულის ცხოვრების გასავითარებლად, რასაკვირველია, კუდა ბეგის ფაფა-ხური არ გამოადგებათ და არც მოსწონთო. ამ გვარ აზრების დაკავშირებით ორი რამ ჰსურს დაამტკიცოს: ერთი რომ ქარ-თველობას ნამდვილი სიმამაცე არა აქვს და კულტურულის გან-ვითარებისათვის უძლურიაო და მეორე შრომისა და შვიდობია-ნობის მოყვარე ს—ობა არც ნამდვილ სიმამაცეს არის მოკ-ლებული და კულტურულის ძალითაც მაღლა სდგას ბევრადაო. პირველ საგნის შესახებ, როგორც ვსთქვით, სიტყვას არ გა-ვაგრძელებთ; რაც შეეხება მეორეს, აქ კი ნება გვქონდეს ვსთქვათ, რომ დღესაც კი, როცა ასეთი დრო დადგა ქართველობისათვის, იგი ბევრად მაღლა სდგას კულტურის მხრით სხვა ამიერ და იმიერ კავკასიის ერთა შორის. დღესაც მას შესცქერიან არამც თუ მთები და მთიელნი, არამედ ბარის სხვა-და-სხვა ტომნიც, რომ მისი უმრავლესობა, შეჯგუფული ერთ მართალის პატარა, მაგრამ მტკიცედ დაკავშირებულ ეტნოგრაფიულ ეულად, არ არის მოკლე-

ბული არც კულტურულ მისწრაფებათა და არც მაღალ და კეთილშობილურ იდეალებისადმი ლტოლვას, რაიცა დაამტკიცა განათლების საქმეში ერთ ხმად მიღებულმა გარდაწყვეტილებამ მთელის აზნაურობის-მიერ. თვით ხალხი მტკიცედ არის დაბინადრებული თავის მიწა-წყალზედ და სრულიად გაქართველებული ჰყავს ყველა უცხო ტომის წარმომადგენელნი თავის ახლო დასახლებულნი არამც თუ სოფლად, არამედ ქალაქებშიც კი. გაქართველებულნიო რომ ვამბობთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რამე ძალა ეხმარნოთ მათ ამისათვის, ან სხვა ვინმე შესწევნოდეს ძალითა. არა. ეს გარემოება მომხდარა თავის-თავად, მკვიდრთა კულტურის ძლიერებისა და ცხოველების გამო. და ეს ძლიერება და სიცხოველე ისეთი ყოფილა რომ, მოსულებს აღარც ენა შერჩენიათ, აღარც ჩვეულობა, აღარც წესი და აღარც წყობილება თავისი. დღეს მხოლოდ ერთსა და ორს ალაგას თუ ვხედავთ, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ისევ თავს იჩენენ მოსულთა განსაკუთრებული ხასიათი, ენა და ჩვეულებანი, მაგრამ ეს მათი კულტურის მიზეზით კი არა სწარმოვობს, ეს გარემოება დროების მიზეზით მოხდა, საზოგადოთ ეროვნულის ცნობიერობის და განმტკიცების დროის წყალობით. ჩვენ სრულიად არა გვგონია წერილის ავტორთან ერთად, რომ მსწავლულთა, მოსწავლეთა უმეტესობა, გამოცემათა და წიგნთა ბეჭდვის გალიძერება უფრო ს—ობაში შეინიშნებოდეს, ვიდრე ქართველობაში. ჯერ მარტო ის აიღეთ, რომ მთელს მათ ამიერ კავკასიის ლიტერატურას ერთი ისეთი პოეტი არ მოუძებნება, როგორიც იყო მაგ. გრ. ორბელიანი, ან ნ. ბარათაშვილი. სხვას ნუღარას ვიტყვით.

თუ ავიღებთ წარსულს დროს, მაშინ ხომ უფრო საზარალო იქნება ს—ბისათვის შედარება ჩვენსა და იმათ კულტუ-

რულ ძალისა, ლიტერატურისა და მსწავლულთა და მოსწავლეთ რაოდენობისა. მარტო «ვეფხვის-ტყაოსანი» ღირს ერთ ლიტერატურად. ერეკლეს 40 წლის მღელვარე მეფობის მოგონებას შეუძლიან მთელი ქვეყანა ფეხზედ დააყენოს, იმ მეფობას, რომელშიაც მრავალია მაგალითი სამშობლოს სამსახურისა, თავდადებისა, მამულის განდიდებისა, სწავლის და სიბრძნის მოყვარეობისა და რომლის შემდეგაც სულ სამოცსა და ოთხმოცს წელს არ გაუვლია. ამ 20 და 40 წლის წინად, ასისა და ორასის წლის წინად, სამსა, ოთხსა, ხუთსა და ექვს საუკუნის წინად რას წარმოადგენდა ს—ეთი და ს—ობა? არასფერს, სრულიად არასფერს. ან თუ წარმოადგენდა რასმე ისევ უდაბნოს წარმოადგენდა, ურიასტანს, აოხრებულს მტრისგან, ხალხს დაწიოკებულს, დამფთხალს და ცხვრებივით აქეთ-იქით გაფანტულს. აი ნამდვილი სურათი ავტორის კულტურულის ხალხისა წარსულში.

ასეთია ის სვე-უბედური სტატია გაზ. ნოვოსტისა, რომელიც ასე უწყალოდ აჩეხინებს კისერს თავის დამწერს იმ აშკარა ტენდენციის და მიდგომითის მსჯელობის გამო, რომელსაც მისი დამწერი თავ-შეუკავებლად გაჰყოლია და რომელშიაც ამტკიცებს, რომ პრიკაზის ვალის პატივება სრულიად საჭირო არ არისო.

—

მეტს სიფრთხილეს არ იჩენს თვით მეცნიერების პირით მოლაპარაკე, კათედრის პატრონი სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ბ-ნი კეროპე პატკანოვი ქართველობის მიმართ.*)

*) იხ. журналъ Министерства народнаго просвѣщенія 1883 წ., დეკემბრის წიგნი, სტატია კ. პ. პატკანოვისა: Ванскія надписи и значеніе ихъ для исторіи передней Азіи. *О древней грузинской хроникѣ*.

ამ პატივ-ცემულს ბ-ნს დაუბეჭდია ვრცელი ვითომ მეცნიერული გამოკვლევა საქართველოს საისტორიო ქრონიკაზედ, ქართლის ცხოვრებაზედ, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მის პირველ თავების შესახებ და სენკოვსკისა არ იყვეს კინაღამ იმასაც არ ამბობს სხვათა შორის, რომ მეთორმეტე საუკუნემდე ქართველები არა ყოფილან დედა-მიწის ზურგზედ. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ პატკანოვის სტატიაში ხელ-აღებით არც ერთი რიგიანი მოსაზრება არ მოიპოვებოდეს, არც ერთი მეცნიერული დასკვნა საქართველოს ძველის დროის ისტორიო-გრაფიის შესახებ. მართალია, რომ ჩვენი ძველი ისტორია, ანუ «ქართლის ცხოვრების» ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ისტორიის უწინარეს დროს შეეხება და შემდეგ დროისაც ქრისტეს დაბადებამდე, ძალიან მცირე შინაარს წარმოადგენს და მასთან ეს შინაარსი ბევრად საჭიროებს კრიტიკულს განხილვას, შემოწმებას, სინქრონიულის წესით და სხვ. და სხვ., მაგრამ ამასთანავე სამართლიანობა და მიუდგომლობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ეს ნაწილი ჩვენის მატიანესი მაინც ძვირფასი მასალაა კრიტიკულად განვითარებულის მეისტორიეს ხელში. სწორედ ეს სამართლიანობა და მიუდგომლობა ვერ გამოუჩენია ბ-ნს პროფესორს და თითქმის ხელ-აღებით უარ-ჰყოფს მნიშვნელობას ჩვენის მატიანეს ხსენებულის ნაწილისას, სთვლის მას შეთხზულად ერთს ვიღაც უმეცარ ბერისაგან და ისიც ტომით სომხისაგან არა უგვიანეს მეცამეტე საუკუნისა. ჩვენ ესე გვარი აზრი არა თუ მარტო შემცდარ და უსაფუძვლო აზრად მიგვაჩნია, არამედ მიდგომით, განზრახ ქართველთ წინააღმდეგ გამოთქმულადაც ვსთვლით. ფაკტიურსა და მეცნიერულ წერილს ამ სტატიის წინააღმდეგ ჩვენ «ივერიის» შემდეგ წიგნში დავბეჭდავთ, რომელშიაც დამტკიცდება, როგორც ვითომ და დი-

დი ნასწავლობა და ერუდიცია ავტორისა საქართველოს ისტორიის შესახებ, ისე მეცნიერულის ძიების უხეირო წესი, მისგან შეთვისებული. ახლა კი ზოგიერთს მის გაკვრით წარმოთქმულს აზრს შევეხებით. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მკითხველი ახლავე მისვდეს, რა ღირსების ტენდენციით არის დაწერილი საზოგადოთ ეს გარეგნობით მეცნიერული გამოკვლევა.

ამ უკანასკნელ დროს გავრცელებული მეცნიერთა შორის აზრი ქართველობის სიმრავლეზე აზიის წინა-მხარში განამდე და შავის ზღვის სამხრით კერძომდე პატკანოვს ცხადათ ეტყობა, რომ არ მოსწონს და ამბობს, რომ ეგ აზრი ჯერ ნაადრევია და დასამტკიცებელი საბუთები არ მოეძებნება. მაგრამ ამას პირდაპირაც ვერა ამბობს. მან კარგად იცის გაიდკლერკის აზრი ქართველობის გავრცელებაზე მცირე აზიაში და ამიტომ ვერ ჰბედავს ამის გადაჭრით თქმას. *) ამ გვარადვე იქცევა იგი, როცა ლაპარაკობს ვანის წარწერებზე, რომლის გარკვევა დ წაკითხვა სწავლულთა ფიქრით მხოლოდ ქართულის ენის შემწეობით შეიძლება და რომლის ენასაც ახლანდელის ქართულის პირვანდელ ფორმად სთვლიან. ერთს ალაგას ავტორი ვახტანგ გორგასლანზე ამბობს, რომ ის ძლიერი მეფე არ იყოვო და ვერც იქნებოდაო. და არამც თუ ძლიერი, სახელადაც კი მეფე არ ერქმეოდაო, თავადი ან მთავარი თუ იყოვო. რათა ჰგონებს ასე პატივ-ცემული პროფესორი?—სომხის მეისტორიენი ამბობენ, რომ ვახტანგ გორგასლანი მშიშარა და

*) ამ საგნის შესახებ იხ. ჟურნალი Ausland 1870 წ. № 51; აგრეთვე ბროშურა პროფ. დ. ჩუბინოვისა: ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.

უძლური იყოვო და ისიც მათ უჯერებს. მაგრამ არა, ეს მეისტორიენიც რომ არ ამბობდენ, ავტორი მაინც ამასვე იტყოდა. მას არ უნდა დაეჯეროს, რომ რამე ისტორიული ცხოვრება ჰქონია საქართველოს მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნემდე, როდესაც ბაგრატიონთ გვარი გაძლიერდა; და პატკანოვის აზრით გაძლიერდა იმიტომ, რომ სომხეთიდან მოვიდა საქართველოში. ეს ბაგრატიონები იქ ბაგრატუნები იყვნენ, ხოლო საქართველოში ბაგრატოვანები გახდნენო.

მცხეთას ნაპოვნის ქვის წარწერა 75 წლისა ქრ. შემდეგ ბერძულ ენაზედ ცხადათ ამტკიცებს, რა ძალა და მნიშვნელობა ჰქონია ივერიელების მეფეს, რომლისთვისაც, რომის იმპერატორს აუშენებია ციხე. ფარსმან II-ის მიღება რომში 138 წელს და მისი სტატუის ამართვაც კაპიტოლიაში ამტკიცებს აგრეთვე ქართველთ მეფეების მნიშვნელობას და სიძლიერეს არამც თუ მეხუთე საუკუნეში ვახტანგის დროს, არამედ I, II და III საუკუნოებშიაც კი ქრისტეს შემდეგ. ეს ყველაფერი მიაფუჩეჩა ბ-ნმა პატკანოვმა. ვიღაც სომხის მეისტორიე ლაზარესთვის დაუჯერებია და ქვის წარწერისთვის კი, ესრედ წოდებულ მონუმენტალურ საბუთისთვის კი ყურადღება არ მიუქცევია.

ხალხს დღევანდლამდე არ დაუვიწყებია იმისი სხელი, დღევანდლამდე გაკვირვებით იხსენიებს მის სიძლიერეს, მის ბრძოლას მთიელებთან, ოს ბაყათართან, სპარსელებთან (თქმულობა გარე-კახეთში, ივრის ხეობაზე) და გმირად მიაჩნია, რომელიც ქვის უზარმაზარ ბურთს ათამაშებდა ხელშიო; რომელმაც იალბუზზე ფეხი შედგა და დიდმა მთებმა შექნეს დრეკაო, ოსებსა შემოუტანია და ჩერქეზეთში გადარეკაო.

ვახტანგზე გავრცელებული თქმულობანი ხალხში და აგ-

რეთვე მითიური თქმულობა ამირანზე ამტკიცებენ, რომ მას სხვა ბევრი თქმულობა უნდა ჰქონდეს კიდევ, როგორც სხვა-და-სხვა ისტორიულ პირზე და თავის პირვანდელ დროის თავ-გადასავალზე, ისე მითოლოგიურ ღმერთებზე, მაგრამ დღე-ვანდლამდე ეს თქმულებანი არ არის ცნობაში მოყვანილი და დაწერილი. ვიდრე ლენროტმა ვრცელი სახალხო ეპიკური პოემა «კალევალა» არ მოსძებნა და არ შეჰკრიბა, არავინ არ იცოდა რომ ფინებს ამისთანა რამ სახალხო ეპოპეია ექმნებოდათ. —პატკანოვს კი დაუჟინია და ათჯერ მაინც ამბობს, რომ ქართველების ხსოვნას არ დაუცავს არც ერთი რამ თქმულობა თავის წარსულ ბედ-იღბალზედ.

აგრეთვე მართალი არ არის პატკანოვის აზრი «ქართლის ცხოვრების» ყველა იმ ხელ-ნაწერების დაკარგვის შესახებ, რომელიც ვახტანგს ჰქონია ხელში, როცა მისი დაბეჭდვა განუზრახავს. დღეს ზ. დ. ბაქრაძეს აქვს ვრცელი ხელ-ნაწერი «ქართლის ცხოვრებისა», რომელიც როგორც გარეგნობით ეტყობა მეჩვიდმეტე საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი უძველესის ხელ-ნაწერიდგან. ამ ხელ-ნაწერის «ქართლის-ცხოვრების» შედარება დაბეჭდილის ტეკსტთან, როგორც თვით ბატ. ბაქრაძე ამტკიცებს, ბევრს საყურადღებო ვარიანტებს წარმოადგენს და ბევრ ბნელს საგანს ჩვენის ისტორიულის ცოდნისას სრულიად სხვა ნათელსა ჰფენს.

დასასრულ გული არ გვითმენს, რომ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ იმის შესახებ, რომ ავტორი მიაწერს «ქართლის ცხოვრების» შედგენასაც კი არა, უხეირო შეთხზვას უსწავლელს სომხის ბერს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ სომხურად თარგმნილი ქრონიკა ქართველებისა, იგივე ქართლის ცხოვრება, ანუ უკეთა ვსთქვათ, მისი პირველი ნაწილი 1125 წლამ-

დე, ე. ი. დავით აღმაშენებლის სიკვდილამდე შედგენილია მეთერთმეტიდამ მეცამეტე საუკუნემდეო. საკვირველია სწორედ! ამ ორს საუკუნეს შუა სდუღდა ქართველების ცხოვრება, ამ დროს უმაღლეს ხარისხამდე აღწია განათლებამ, მაშინ დაიწერა გამოჩენილი «ვეფხვის-ტყაოსანი» და ნუ თუ ამ დროსვე შესდგა «ქარ.-ცხვ.« და ისე უხეიროთაც, როგორც ამბობს ავტორი «ვანის წარწერებისა». მაგრამ აქაც ცხადათ სჩანს, რა ტენდენცია აქვს ავტორს სახეში. ამით ის ამბობს ვითომ, რომ ორი წუთი იყო საქართველო კარგს მდგომარეობაში და მხოლოდ მაშინ შეიძლოვო თავის მატიანეს შედგენა და ისიც უსწავლელის და მოსყიდულის სომხის ბერის შემწეობითაო, მატიანე, სავსე შეცდომებით, ანაქრონიზმებითაო და სხვ. თქმით ეს უნდა თქვას უთუოდ ავტორმა, მაგრამ თქმა კი არ არის საქმე, საქმე ის არის დარწმუნდეს ვინმე ამ თქმით. ვინ დაიჯერებს, რომ ერთი და ორი წუთი გაგრძელებულიყოს რომელიმე ერის კარგი მდგომარეობა და ამ დროს განმამავლობაში შექმნილიყოს უცებ ისეთი უკვდავი და გენიალური ნაწარმოები, როგორიც არის «ვეფხვის-ტყაოსანი». რომ «ვეფხვის-ტყაოსანი» გაჩნდეს ერის ლიტერატურაში, ეს ლიტერატურა ცოტად, თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, ენა შემუშავებული, საზოგადოებრივი ცხოვრება რიგსა და წესზე დამყარებული. ხოლო ყველა ეს პირობანი ცხოვრებისა ერთი წამით კი არა ჩნდებიან, საუკუნეებით შემუშავდებიან, ხან-გრძლივის ერის ერთობრივის შრომითა და ღვაწლით, ერის გონებისა და აზრის დამაშვრალობით.

ჩვენ გვინდოდა სხვა გვარ მეცნიერებზე ლაპარაკი, თუნდ მაგ. იმისთანებზე, როგორიც გულაკია, რომელმაც ორი ლექცია წაიკითხა «ვეფხვის-ტყაოსანზე» ამ დიდ-მარხვაში და რომელსაც ქართული კარგად შეუსწავლია, მაგრამ ჩვენი შინაური მიმოხილვა ისე გაგრძელდა, რომ ამას თავს ვანებებთ ამ ხანობით.

განცხადება.

ჟურნალი

«ივერია»

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი ხელის მოწერისა:

მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე

განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» აგრეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილოვის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისავალი ეზოდამ), ხოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» ანუ *«ДРОЭБА»*

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» «დროების» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.